ჯგუფი "ემბრიონი" პირველად ორი წლის წინ ბათუმში, ფესტივალ "მატარებელზე" მოვისმინე. ცოტა არ იყოს - დავიბენი, როცა სამმა მორცხვმა პატარა თინეიჯერმა უცებ დიდი გიტარები გადაიკიდეს და ისეთი ხმაური "ანიეს" - ბათუმლები სულ თავ-ქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ეს რა თქმა უნდა, ზუმრობით, ისე კი "ემბრიონებმა" საინტერესო იმიჯითა და კარგი მუსიკით თავიდანვე მიიქცია ყურადღება. მას აქეთ კი ბევრი რამ შეიცვალა: "ემბრიონს" სტილის დახვეწილი გამოცდილი ჯგუფი soft-eject ენმარება, აქამდე კი მათი მუსიკის წინწაზე ინგლისელი პროდიუსერი მარკ ტოლი მუშაობს.

მარკ ტოლი ე.წ თავისუფალი პროდიუსერია, რომელიც წელს ინგლისში, მანჩესტერში საკმაოდ ცნობილი ფესტივალის In The City ფარგლებში "ქართული სცენის" მონყობას აპირებს. In The City მანჩესტერში სექტემბერში იმართება ხოლმე. იქ მსოფლიოს ყველა კუთხის ჯგუფები იკრიბებიან და საკუთარი ქვეყნის პრეტენტაციას ახდენენ. ამ ღონისძიებისთვის ტოლმა ოთხი ქართული ჯგუფი: საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე Scydiving Penguins, Blast, თბილისური Soft Eject და "ემბრიონი" შეარჩია. ინგლისელი პროდიუსერის განსაკუთრებულ ინტერესს ეს უკანასკნელი წარმოადგენს. როგორც Soft Eject-ის გიტარისტმა განმარტა, ამის მიზეზი "ემბრიონის" (ასე ეძახიან გოგონებს მუსიკალურ ნრეებში) ძალზედ ახალგაზრდა ასაკი და, უფრო კი, მათი მუსიკალური ორიენტაცია: ჯგუფის წევრები საესეებით მზად არიან დასავლური ბაზრობის და სტილურადაც შესანიშნავად ენერტიან პრიტანულ კონტექსტში. "ემბრიონი" სამი წევრისაგან შედგება - სამივე გოგონა, და თანაც



კახუი „ემბრიონი“

თინეიჯერი. ყველასთვის მოულოდნელად ისინი "მიმე" მუსიკას უკრავენ, თანაც საესეებით პროფესიულად დონეზე. რაც შეეხება ყველაზე მთავარს - როკისთვის ასე საჭირო სულისკვეთებას - ამ მხრივ, ხომ გადასარგებდაა ყველაფერი. პირდაპირ ვეღის ირონია, აღნიშნავენ Soft-ები (ეს Soft Eject-ის "მოფერებითი" სახელია), რომ ეს გოგონები თბილისში ცხოვრობენ, თორემ ისე, ტიპური ბრიტანელები არიან. რეპერტუარს ჯგუფის ლიდერი ნინო წერს. თავად არის გიტარისტიც და ვოკალისტიც. დანარჩენები (მაკა და სოფო) ბას-გიტარასა და დასარტყამ ინსტრუმენტებს ინანილებენ.

ამჟამად მარკ ტოლი Soft Eject-ის სტუდიოში "ემბრიონის" სამ სიმღერას იწერს. თანამშრომლობით ორივე მხარე მეტად კმაყოფილი ჩანდა. ინგლისელი პროდიუსერი სულაც არ ზღუდავს ქართველი გოგონების შემოქმედებით თავისუფლებას, ეს უკანასკნელი კი მისგან სასარგებლო პროფესიულ რჩევებს, არანეივრებაში მივიწერავს და შედეგად - დასავლური მენიშვნის და შედეგად - დასავლური სტანდარტების პროდუქციას იღებენ.

ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ აღიქვამდნენ ინგლისელები ქართველების დანერლი და მესრულეულ ინგლისურენოვან მუსიკას. Soft Eject-ისა და "ემბრიონის" ნამუშევრები მარკ ტოლმა ამ მხრივ ძალზედ დადებითად დაასახათა. დასძინა კიდევ; ზოგჯერ ინგლისელები უფრო მეტ გრამატიკულ შენიშვნებს უშვებდნენ. ხოლო ჩემს შეკითხვაზე, იქნებ ინგლისელებს ქართველიენი მუსიკა უფრო საინტერესო მოეჩვენებოდა?

„არტ-იხადი“, თბილისში

ნავახვის დღესასწაულს გახარეთავს

მედია-ნიუსი. მალე თბილისში, საცურაო კომპლექსზე „ლაგუნა ვერე“ „არტ-იხადი“ შოუს გამართავს, რომელიც ნეპტუნის დღესასწაულს მიეძღვნება. ამ შოუში „არტ-იხადში“ გაერთიანებული ყველა საესტრადო მომღერალი მიიღებს მონაწილეობას.

როგორც „არტ-იხადში“ - აცხადებენ, ღონისძიება მარტო მუსიკალური ნომრებით არ შემოიფარგლება.

რეზო გაბრიძის იხილა

ხვალ ქართველი რეჟისორისა და დრამატურგის რეზო გაბრიძის დაბადების დღეა. რეჟისორს 67 წელი უსრულდება. იგი საკუთარი იუბილის აღნიშვნას არ აპირებს და ამ დღეს ჩვეულ სამუშაო ამპლუაში ხვდება.

თბილისის მარიონეტების თეატრში ამჟამად განახლებული სპექტაკლის „ჩემი გაზაფხულის შემოდგომაში“ გენერალური რეჟისორები მიმდინარეობს და ხვალ წინასაპრემიერო ჩვენება გაიმართება.

ხალხური თვითგანმანათლებლის ფესტივალი დასრულდა

გულში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში ხალხური თვითშემოქმედების ფესტივალში გამარჯვებულთა ცერემონია გაიმართა. ფესტივალში საქართველოში არსებულმა 80-მდე ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა და ინდივიდუალურმა შემსრულებელმა მიიღო მონაწილეობა. ოპერის თეატრში გამართულ გალა-კონცერტს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სრულდენტი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უნიშნდისი და უნივერსიტეტი ილია II დაესწრა.

გრან-პრი, 3000 ლარი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა დაანე-

ბა. კონცერტი წყლის დღესასწაულს ეძღვნება და იქ მისული მკურნებელი თავადაც გახდება მისი მონაწილე. კონცერტის მსვლელობისას „არტ-იხადში“ მკურნებელს მრავალ სიურპრიზს პპირდება.

გარდა ამისა, 29 ივნისს „არტ-იხადის“ ინიციატივით, ვერის პარკში საქართველოს კალათბურთის ეროვნული გუნდის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებული კონცერტი გაიმართება.

გარდა ამისა, 29 ივნისს „არტ-იხადის“ ინიციატივით, ვერის პარკში საქართველოს კალათბურთის ეროვნული გუნდის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებული კონცერტი გაიმართება.

თეატრის დასმა გაზაფხულზე შევიცარიანი წარმოადგინა სპექტაკლის პრემიერა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ რეზო გაბრიძემ 1984 წელს დადგა. სპექტაკლის მუსიკალური და მხატვრული გაფორმება მას ეკუთვნის. სპექტაკლის მთავარ გმირს - ჩიტ ბორიას მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე ასმონავანებს. განახლებული სპექტაკლის პრემიერას ქართველი მკურნებელი სექტემბერში იხილავს.

სა, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირთან და თბილისის კულტურის ინსტიტუტთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ "როკვას" გადაეცა. პირველი პრემია - 1500 ლარი მოიპოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა. მეორე პრემია - 1000 ლარი - თელავისა და ჩოხატაურის კულტურის მინისტრის, ხოლო მესამე პრემია - ლენტეხისა და ლაგოდეხის ანსამბლმა გაინაწილეს. გამარჯვებულთათვის პრიზები სხვადასხვა ორგანიზაციებმა დააწესეს. ჯილდოს გარეშე გალა-კონცერტის არც ერთი მონაწილე არ დარჩენილა.

BOM-BOM-BOM CHI-CHI-CHI

ხვალ ფილარმონიაში ტანია მარია იმღერებს

ბიძინა მაცაპვილი

ის პირველი იყო, ვინც თბილისს ხანგრძლივი მუსიკალური დეტა მოუხსნა შვიდი წლის წინათ. მაშინ მისი სახელი საქართველოში მხოლოდ ჯაზისა და ლათინური მუსიკის მოყვარულთა წრეებში იცოდნენ, თუმცა, ნამდვილ მუსიკას დანატრებული მსმენელი, იმ დროისათვის ბილეთების სიძვირის მიუხედავად, მაინც არ აკლდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს.

შვიდი წლის შემდეგ ის ისევ პირველია... პირველი, დიდი საერთაშორისო ვარსკვლავი, რომელიც მეორედ ჩამოვიდა თბილისში. გუშინ საღამოს შვიდ საათზე ბრაზილიური რიტმების დეფოფალს, ცეცხლოვან, მაგიურ, სექსუალურ ტანია მარიას და მის ჯგუფს, "ვივა ბრეზილ კვარტეტს" აეროპორტში თბილისის VI საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორები, "ისტერნ ფრონტოუმენის" ბიჭები, ჟურნალისტები, სამების პოპულარული შემსრულებელი ქეთი ფარესიშვილი, მუსიკათმცოდნე მიაა დათუნაშვილი და მუსიკის დიდი მოყვარული, სახელმწიფო ტელერადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია დახვდნენ.

ტანია მარია, რომელიც ამერიკასა და საფრანგეთში ცხოვრობს, თბილისში პარიზიდან ჩამოფრინდა. როგორც აღმოჩნდა, გაზაში ინსტრუმენტების სამი კონტინერი გაქრა. შეიძლება, ამის მიზეზია, საფრანგეთის აეროპორტების მუ-



ბაქო ბალახაილის ფოტო

შაკების გაფიცვა, მაგრამ, ნუ გედარდებთ - თუ ინსტრუმენტებმა კონცერტისთვის ვერ ჩამოაღწია, აქაურ რესურსებს გამოიყენებენ. მთავარია, ტანია როგორ ხასიათზე იქნება. მის ხასიათს კი ბევრად განსაზღვრავს ხვალინდელი საფეხბურთო მატჩის შედეგი ბრაზილიასა და გერმანიას შორის. თუმცა, ტანია ხომ სულთ ხორცამდე პროფესიონალია, თანაც - ნამდვილი ბრაზილიელი: ჩვენს რედაქციაში სტუმრობისას ერთი წამი არ გაჩერებულა - თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად მღეროდა, იმპროვიზირებდა, ცეკვავდა, როკავდა, იცინოდა. და ყველაფერ ამას ისე ბუნებრივად და გადაამდგამად აკეთებდა, შეუძლებელია, არ აპყლოდი თამაში და მისი სახელდახლო შოუს მონაწილე არ გამხდარიყავი.

მე არ ვყოფილვარ ბრაზილიაში და რიოს კარნავალი მხოლოდ ტელევიზორით მაქვს ნანახი. ამიტომ, ყოველთვის ცოტა გადაჭარბებულად მიმანდა საზოგადოების ზომავადსული ალტაცება ამ კარნავალის ხსენებაზე. მაგრამ, გუშინდელის შემდეგ მივხედი - იყო ბრაზილიელი, ნიშნავს გქონდეს სიცოცხლით ტკობის საოცარი უნარი; ხოლო, როცა ხარ ბრაზილიელი და თანაც მუსიკოსი, ნიშნავს ამ შენი უნარით ყველა ირგვლივ მყოფი დააფაფაო.

ამიტომ, გაუკეთეთ საჩუქარი საკუთარ თავს - მოუსმინეთ ხვალ ფილარმონიაში ტანია მარიას. ეს ზეიმი თქვენ დიდხანს, ძალიან დიდხანს დაგამახსოვრდებათ.

შავი მთავის წითელი მსახიობი

ანა კორძია-სამადავილი

ვინც კი დღესე კოტე ყუბანეიშვილის კულბში ყოფილა, ალბათ, დამეთანხმება, რომ ის სრულიად განსხვავდება თბილისში არსებული სხვა "ადგილებისგან": ოთახში შესული, უშუალოდ კოტესა და ნანას სტუმარი ბრძანდებით. თუ ლიტერატურა არ გაინტერესებთ, აქ არაფერი გესაქმებთ, დასალევად სხვაგან ვობს წასვლა. კოტესთან ყოველთვის სიმშვიდეა, შეგიძლიათ ნივნები შეიძინოთ, დიდი არჩე-

ვანია, თუ ვერ შეიძენთ, იქვე ჩამოვადებით და წაიკითხავთ, ხელს არავინ შეგიშლით, პირიქით: ნანა ჩაით გავიმასპინძლდებით და დაუზარლად ავიხსნით, სად რა დევს და რა ხდება ნივნის სამყაროში ახალი. შეგიძლიათ მაისურიც იყიდოთ, წარწერაიანი, თავად კოტესაც ასეთი აცვია: "ЖИТЬ НЕДЛГО ОЧЕНЬ ВРЕДНО" - სავსებით ვეთანხმები. ისე, წარწერების ფართო არჩევანია, ჩემთვის ახალიც გაჩნდა, "შპიონერი", ჩე გვევარას პორტრეტია-ნი. აუცილებლად ვიყავი.

რაც მთავარია, კოტესთან შეიძლება საინტერესო მოვლენის შესწორეც გახდეთ. გუშინ სწორედ ასეთი საღამო იყო. თბილისელ საზოგადოებას კიდევ ერთი სასაინტერესო სიურპრიზი ელოდა: სიზა ლაბაზაშვი შავი მთების წითელი მსახიობის სევიდანი ისტორია გვიამბო. წარმოდგენა პროკოფიევის, სტრავინსკის, ქეიჯისა და რანინის მუსიკის ფონზე გაიმართა. ავტორი, სცენოგრაფი და მსახიობი-მანიპულატორი სიზა ახალგაზ-

რდაა, 29 წლისა. თეატრმა სამი წლის წინათ გაიტაცა, განათლებით კი მოქანდაკეა. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და სწორედ მოსკოვის ლიტერატურული წრეების რეკომენდაციით მოხვდა კოტესთან. თავად დაუცველი და მგრძობიარე ადამიანის მთაბეჭდილებას სთვებს, სპექტაკლიც ასეთი იყო. სინათლე ჩაქრა, მსახიობის თხოვნით მაყურებელმა მობოლური ტელეფონები გამოართო და სიგარეტები ჩააქრო. წარმოდგენა მერბა მ-

მარდავილის სიტყვებით დაიწყო: როცა ზუსტად არ ვაზროვნებთ, ეშმაკი გვატრიალებს... ამიტომ ვამბობთ: არ მინდოდა, არ მიფიქრია... მსახიობმა ცხრა მთა გადაიარა და სახლში დაბრუნდა. უნდა მოგახსენოთ, რომ თავიდან მისი დანახვა არ მესიამოვნა: ოთხი ხელი ჰქონდა, საშინლად მეჩვენა. სიზმრებიც საშინელი ესიზმრა, ეშმაკი დაადგა თავზე, ავტორიც ყვებოდა, რომ სუფრა შემზარავი იყო და კომპარიდან გამოსვლა ძალიან უჭირდა. რით დამ-

თავრდა ეს ამბავი, თითოეულმა მაყურებელმა თავისთვის გადავიყიდა და სწორედამო მოიქცა: სიზას თქმით, ასეც უნდა იყოს. ავტორის მინიმალისტური მიდგომა ინვესტა ასეთ განცდებს, სასაცილო და უბადრუკი კომპარის პერსონაჟები, დიდებული მუსიკა თუ ყველაფერი ერთად - ვერ გეტყვით, ერთი კია, რომ 15-წუთიანი წარმოდგენის შემდეგ მაყურებელი აღფრთოვანებული იხსება: "კარგია! კარგია!", და მართლაც კარგი იყო.

თანამედროვე მსოფლიოს თეატრი ნამდვილად პოლიტიკურია

ბარბანის ოთხ კალაქში ფესტივალი ხვალ დასრულდება

ენო სუხაბაძე

30 ივნისამდე ბონში, კიოლნიში, დიუსელდორფსა და დუსელდორფში იმართება ფესტივალი "მსოფლიოს თეატრი". 10 დღის განმავლობაში 40 პრემიერა შედგება, მოენწყობა გამოფენები და გაიმართება ქუჩის დღესასწაულები.

ფესტივალი აშკარად პოლიტიზირებულია, ამას არავინ მალავს, რადგან თავად გახსნის ცერემონია, რომელიც 21 ივნისს ჩატარდა, საკმაოდ მრავლისმეტყველი იყო:

ქრისტოფ შლინგენსიფმა ბაზრის მოედნებზე, ფეხით მოსიარულეთა ზონებსა და სადგურებში სახუმარო წინასაარჩევნო კამპანია ჩატარა. ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოფენა, რომელიც 60-იანი წლებიდან დღემდე არსებულ შემოქმედებითი პოზიციებს წარმოაჩენს, ასევე პოლიტიკური ხასიათისაა: I promise it's political. მოწვეული არიან ხელოვანები, რომელთაც პერფორმანსს განიხილავენ როგორც შუალედურ მრეს სახვით ხელოვნებასა და თეატრის შორის. ისინი მიზნად ისახავენ ობიექტის, სივრცისა და მანხველის "თემატიზირებას", გამოიყენებს და ამგვარად ძალაუფლების, გავლენისა და სხვა სახის პოლიტიკური საკითხების წინ ნამოწევას. კონცეფციის განხილვით დიდად რომ არ დაგტვირთოთ, მოკლედ ვიტყვი: საუბარია იმაზე, რომ პერფორმანსის ხელოვნება პოლიტიკური კრიტიკის ეელი ყოფილა. ამ გამოფენას უამრავი საღამოს პროგრამა, მოხსენება და, ცხადია, პერფორმანსები ავსებს.

ფესტივალში უამრავი ქვეყნიდან ჩამოსული ხელოვანები მონაწილეობენ. მრავლად არიან მესამე მსოფლიოს წარმომადგენლები, აზიელები, აფრიკელები, სამხრეთამერიკელები (ერთი სიტყვით, ჩვენს გარდა - ყველა).

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მოქალაქეთა უმრავლესობას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ დიდი სიმპატია ცუდ ტონად



ქრისტოფ შლინგენსიფი

Western West Germany 2002 Theater der Welt



მიზნით, დევიზი - Western West Germany 2002 თავისთავად რაღაცაზე მეტყველებს. ამ დევიზის გასამართლებლად დუსელდორფში როდენი-სალუნია მონყობილი, სადაც შეიძლება თავი კოვბოიდ წარმოიდგინოთ, განურჩევლად იმისა, მაყურე-

ბელი ხართ თუ მსახიობი, პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი. ბონში დიდი კარავი დაიდგა, რომელშიც მარტინ პორნმა და ქრისტიან მატისენმა თავიანთი Jackson pollock პარი გახსნეს, სწორედ ისეთი, documenta X-ზე რომ იყო ნაჩე-

ნები. გარემოში, რომელი 40-იანი წლების ამერიკის მოგვაგონებს, იმართება ღონისძიებები, რომელთა თემაც პოლიტიკის, თეატრისა და სუბიექტის ურთიერთდამოკიდებულებაა. კიოლნი ფესტივალის ცენტრი

უნინდელი British Council-ის შენობა გახდა. ამ ადგილის კონცეფცია, დიზაინი და ყველა საორგანიზაციო საკითხი კიოლნის უმაღლეს სასწავლებლებში დიზაინისა და მოდის შემსწავლელ სტუდენტებს დაევალათ. პოლიტიკური განათ-

ლების ფედერალური ბიურო მართავს მოხსენებებს საერთო სათაურით "მსოფლიოს საზმრეთი" - ძირითადი თემა ნეოლიბერალიზმია. ვერ ვიტყვი, რამდენად შეესაბამება ეს ფაქტი ამ კონცეფციას, მაგრამ სახალისო ნამდვილადაა: 19 სირიელი მუსიკოსისა დაპირებული, რომ რამდენიმე ღამეს ნეოლიბერალიზმის მკვლევართან ერთად გაატარებს და დიდ ზარ-ზეიმს გამართავს.

ჩვენთვის კარგად ცნობილი ალექსანდრ პეტლიურა ორგანიზატორების მიერ ამომწურავადა დახასიათებული: კოლექციონერის ვენების შეყვარობილი ხელოვანი, თანაც რუსი. დიუსელდორფის საფესტივალო ცენტრში ის ყოველ საღამოს მართავს საბჭოთა ისტორიის სურათების ჩვენებას - ყვავილებით მოჩირთული კაბები, თეთრი ქურთუკები და ოქროს სამკაული. ამ ჩვენებებს ჰქვია ჯაშუშის ვენებები, ხალხთა მეგობრობა და ბრილიანტები მუშათა კლასისთვის. იქვე რუსული პლინებიც იქნება და ვოდაკა - ხელოვანის წარმომავლობისათვის ხაზგასმულად.

ალბათ, მკითხველიც მიხვდა, რომ "მსოფლიოს თეატრი" მთლად თეატრალური ფესტივალი არაა. თუმცა ოთხივე კალაქში შესანიშნავი წარმოდგენები იმართება, მათ შორის კლასიკაცა (რამდენიმე ოიდნ-პოს მუფე, ვერდიდეს მიხედვით განხორციელებული დადგმა და მუზილის "უთისებო კაცის" თეატრალური ვერსია). ბევრია თანამედროვე დრამატურგთა პიესებიც და ყველაფერი ეს ხდება მრავალ ენაზე, მრავალი ეროვნების ხალხი ირევა იქ... თუკი სრულ პროგრამას გადავხედავთ, ცნობილი სახელებიც შეგვხვდება - ფრანკ კასტორფი, ჰანს-პეტერ ლინჩერი - მათთან ერთად კი შემოქმედები ავღანეთიდან, განადან, იმ მხარეებიდან, საიდანაც ჩვენთან ჩამი-ჩუმი არ ისმის. ძალიან საინტერესო ამბებია. ბოლისდაბოლოს, კარგი სასუქტაქლის სახანავად ნეოლიბერალისტებსაც გაუძლებს კაცი.

ლაშა ბუღაძე

ბიძინას აზვავი

(ოცახური დრამა)

სუფრა. ბევრი ხალხია. თამადა ჭიქით. აქვე ზის ბიძინას მამა - სოსო. თამადა: (ამთავრებს სადღევრ-ძელს) ...არჯოს მისი თამადაობით ყველა პატარას!.. ჩემი ბიძინას თამა-დობით!

სოსო: (ყვირის) ბიძინა, ბიძინა, მამა!..

თამადა: მოიყვანეთ ეგ ვაჟკაცი აქა!.. ბიძინა!

სოსოს ძველი მეგობარი სანდრო ჩლაიძე: ბიძინა, ბიჭო!

შემოდის ბიძინა - დაუდგენელი ასაკის ბავშვი-მოზარდი-ყმაწვილი-ბიჭუნა. სოსო მას სიყვარულით წა-მოუთქავენს კეფაზე.

სოსო: აიტ! მაიმუნი ესა! სოსოს ძველი მეგობარი სანდრო ჩლაიძე: (ხელს მოკიდებს ბიძინას და სკამზე დააყენებს) ა, ასე! ვაჟ-კაცურად! (იციინის)

თამადა: (კოცნის ბიძინას) ბიძინა, ხო იცი, შენ მე ჩემი ოხრებები მიყვარხარ... გენაცვალე შენ! (იციინის. აპირებს ჭკუის დარღებებს, გა-

დაფიქრებს; ჩურჩულით ეუბნება) მიდი, ახლა, ერთი კარგად შეაგინე მამაშენს! ვაჟკაცურად, ა!

სოსო - ანუ ბიძინას მამა ძალით იციინის.

სოსოს ძველი მეგობარი სანდრო ჩლაიძე: (იციინის; შეუჩნდება ბიძინას) მიდი, ერთი კარგად შეაგინე! შენი დედა ვატირე-თქო, მამა! ქუქი-მუქი თქო შენ!.. ა! ბიძინა! შეაგინე კაცურად!

ბიძინა მოულოდნელად შარვალს ჩაიხდის, მერე ნიფხავსაც. დაძაბული სიჩუმეა.

თამადა: (ბიძინას) რა ჰქენი, ბიჭო!

სოსოს ცოლი ნიალა: (კისკისით შემოდის ოთახში) გააგიჟეთ ბავშვი და აერიო! ეგონა - პასპორტი გვიჩვენო, ეუბნებოდიო. სუფრაზე იციინას. თამადა ბიძინას კოცნის.

თამადა: არა, ბიჭო, შეაგინე-მეთქი! შენი ასე და ისე-თქო, უთხარი მამაშენს! (იციინის)

ბიძინა: (მოულოდნელად კვი-ლით. აგრესიულად. თვალბში უყუ-რებს მამამისს) შენი დედა ვატირე, მამა, მე შენი... შენი კარვის ტრა... (ნიალა მას პირზე ხელს ააფარებს) შენი მექრთამე, ნაბიჭვარი დედა რომ მო... (ნიალა ცდილობს ბიძინას გა-ჩუმებას, მაგრამ არაფერი გამოხ-დის; სტუმრები დაძაბული სახეებით შესცქერიან ისტერიულ ბავშვს) შენი თესლი თავი რომ მოე... (ნიალა პირ-ზე ხელს აფარებს ბიძინას; სოსო გაბრაზებული და წითელი უყურებს შეილს) ... შენ დაგაჯვი თავზე! (ნია-ლას ცემა-ცემით გაჰყავს ბიძინა ოთახიდან, მაგრამ ბიძინას ხმა მაინც აღწევს აქამდე) ...შენი გაჩენის დღე რომ მო...

დაძაბული სიჩუმეა.

თამადა: (დუმობის შემდეგ; უხერხულ მდგომარეობაშია - მიმარ-თავს ბიძინას მამას) არა უშავს, სო-სო. ოჯახში კონფლიქტი ვის არ მოს-ვლია.

ფარდა



ილია ჭიჭინაძის ნახატი კონკრეტული დამატება ირანული გრაფიკით

სიკვდილი ტარნას წინ

ხუთშაბათს, ლას-ვეგასში ლეგენ-დარული The Who-ს ბასისტი, ჯონ ენ-ტუისტილი გარდაიცვალა. 57 წლის მუ-სიკოსი მკვდარი იპოვეს ადგილობრივი სასტუმროს, Hard Rock-ის ნომერში, სადაც ჯგუფის სამთვინი ამერიკული ტურნეს გამო იმყოფებოდა. The Who-ს საკონცერტო გამოსვლები გუმინ უნდა დაწყებულიყო. ჯერ-ჯერობით არაა დადგენილი უბედური შემთხვევის მი-ზეზი, თუმცა ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია ძიება. შეგახსენებთ, ჯგუ-ფის კიდევ ერთი წევრი, კეიტ მუნი 1978 წელს ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერების გამო გარდაიცვალა.



ჯონ ენტუისტილი (მარჯვნივ) ბოლო პრესკონფერენციაზე

ლეგენდარული ბრიტანული როკ-ჯგუფი, რომელიც 60-ანი წლების და-საწყისიდან მოღვაწეობს, როკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დედაბოძი იყო 70-იანებში. მათი პოპულარობა კი ფან-ტასტიკურად გაზარდა ჯგუფის როკ-ოპერამ "ტომი".

TV პროგრამა 29 ივნისი

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'რუსთავი - 2' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'კავკასია' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

Table with TV program listings for 29 June, including channels like 'იმედი' and 'იმედი' with various show titles and times.

A large advertisement for 'საბჭო' (Soviet) brand products. It features a stylized 'S' logo and lists various items like 'საბჭო-6' and 'საბჭო-7' with their prices and descriptions. The background is a grid pattern.



ვერაგი სული, პნელი ქალაქი,
 ბინძური მტკვარი, ავი ზრახვები,
 ბინძური კაფი, ქვეყანა ბინძური,
 ყალბი ღიმილი, სიცრუე მტკნარი...

კეთილი სურვილი, მგ ზავრობა კეთილი,
 არსება ნათელი, გონება ნათელი...
 ნათელი მუსიკა, მხატვრობა ნათელი,
 ნათელი მწერლობა, ნათელი ამინდი,
 ნათელი სპექტაკლი, ნათელი ხუმრობა,
 ნათელი ქუჩები, ზღაპარი ნათელი,
 ნათელი დღეები, განწყობა ნათელი,
 ნათელი ბუნება, ოთახი ნათელი,
 ნათელი დილა...

სრული ძალადობა, სრული აპათია,
 სრული უნდობლობა, სრული აგრესია,
 სრული დასასრული, მარტოობა სრული,
 სრული სიყვარული, სრული შემოდგომა,
 სრული სილატაკე, სრული გაზაფხული,
 სრული აგონია, სრული ჰარმონია,

კიდევ რა გგონია?
 კიდევ რა გქონია?
 კიდევ რა იქნება?

გიორგი მირზაშვილი
 21.VI.2002

მარსა აპოლონოვიჩა ორბი

არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპული ქარტია

მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს მის წევრებს შორის, კერძოდ, იმ იდეალები და პრინციპების დასაცავად და განსახორციელებლად, რომლებიც მათ ერთობლივ მემკვიდრეობას შეადგენენ;

მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპის კულტურული კონვენციას 1954 წლის 19 დეკემბერს, იკისრეს ამ კონვენციის მუხლი I-ის ძალით, მიიღონ სათანადო ზომები, რათა დაიცვან საერთო კულტურული მემკვიდრეობა და ხელი შეუწყონ მასში ეროვნული შენატანის განვითარებას;

აღიარებს რა, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ევროპის კულტურის მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის შეუდარებელ გამოხატულებას, ეკუთვნის ყველა ხალხებს და რომ ყველა ევროპულმა სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ნამდვილი სოლიდარობა ამ მემკვიდრეობის დაცვის საქმეში;

მიიჩნევს რა, რომ არქიტექტურული მემკვიდრეობის მომავალი დიდად არის დამოკიდებული მის ინტეგრაციაზე ხალხების ცხოვრების კონტექსტში და იმ ნონაზე, რასაც მას მიანიჭებენ რეგიონალური თუ ქალაქის დაგეგმარების სქემებში;

ითვალისწინებს რა მინისტრების ევროპული კონფერენციის რეკომენდაციებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც ჩატარდა 1969 წელს ბრიუსელში და ევროპის საბჭოს კონსულტაციური ასამბლეის 589 (1970) რეკომენდაციას, რომელიც დასამუშავა არქიტექტურული მემკვიდრეობის ქარტიის საკითხი;

გამოხატავს რა მიზანდასახულობას, გაატაროს ერთიანი ევროპული პოლიტიკა და შთანხმებული დონისძიებები არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვად, რომლებიც დაფუძნებულია ინტეგრირებული კონსერვაციის პრინციპებზე;

ამდევს რა რეკომენდაციებს, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა გადადგან საკანონმდებლო, ფინანსური და საგანმანათლებლო ნაბიჯები არქიტექტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებული კონსერვაციის პოლიტიკის გასატარებლად და აღუძრან საზოგადოებრიობას ინტერესი ამგვარი პოლიტიკისადმი, 1975 წელს ევროპის საბჭოს ეგდით გამართული ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის წლის შედეგების გათვალისწინებით;

1975 წლის 26 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპული ქარტია საჯაროდ გამოცხადდა ამსტერდამში, 1975 წლის 21-25 ოქტომბერს ჩატარებულ ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის კონგრესზე.



ლებულობს და აცხადებს წინამდებარე ქარტიის პრინციპებს, რომელიც ჩამოაყალიბა ევროპის ძეგლებისა და ნაკრძალების კომიტეტის საბჭომ;

1. ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა მოიცავს არა მხოლოდ ჩვენი უმნიშვნელოვანეს ძეგლებს; იგი აგრეთვე გულისხმობს უფრო მცირე შენობებს და ნაგებობებს ჩვენი ძველ ქალაქებში და დამახასიათებელ სოფლებში, ბუნებრივ და ხელით შექმნილ გარემოში.

მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს ძირითად ძეგლებს იცავდნენ და ანახლებდნენ ისე, რომ გარემოცვას არ უწყვედნენ ანგარიშს. ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა აზრი, რომ თუ გარემოცვა არ არის შესაფერისი, ძეგლები ბევრს კარგავენ თავიანთი ხასიათისა.

დღეს აღიარებულია, რომ შენობათა ჯგუფები, რომც არ გააჩნდით განსაკუთრებული თვისებები, შეიძლება წარმოადგენდნენ ხელოვნების ქმნილებებს, სხვადასხვა პერიოდისა და სტილის ერთმანეთში შერწყმით. ასეთ კომპლექსებსაც სჭირდება დაცვა.

არქიტექტურული მემკვიდრეობა არის ისტორიის ამსახველი და გვეზმარება წარსულსა და თანამედროვეობას შორის კავშირის დამკვიდრებში.

2. არქიტექტურული მემკვიდრეობაში გამოხატული წარსული ქმნის გაწონასწორებული და სრული ცხოვრებისათვის აუცილებელ გარემოს.

სწრაფად ცვლადი ცივილიზაციის პირობებში, როდესაც ბრწყინვალე წარმატებებს თან ახლავს ბევრი საფრთხე, დღეს ხალხი ინსტიტუტურად შეიგრძნობს ამ მემკვიდრეობის ღირსებას.

მემკვიდრეობა უნდა გადაეცეს მდგომარეობაში და სრული მრავალსახეობით, როგორც ადამიანის მესხიერების უმთავრესი ნაწილი. სხვაგვარად მოისპობა ადამიანის შეგნება, რომ მას აქვს უსასრულო განვითარება.

3. არქიტექტურული მემკვიდრეობა არის მუცუცველი სულიერი, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ღირებულების კაპიტალი.

ყველა თაობა სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევს წარსულს და ახალ-ახალ შთაგონებას პოულობს მასში. ეს კამბიტალი საუკუნეების განმავლობაში იცვლება; მისი ნებისმიერი ნაწილის მოსპობა ჩვენ გვაღარბებს, ვინაიდან ვერაფერი ახალი შექმნილი, რა შესანიშნავიც არ უნდა იყოს, ვერ შეაყვებს ამ დანაკარგს.

4. ისტორიული ცენტრების და კომპლექსების სტრუქტურა ხელს უწყობდა პარმონიულ სოციალურ წონასწორობას.

სხვადასხვა საქმიანობის განვითარებისთვის შესაბამისი საშუალებების შექმნით, ძველი ქალაქები და სოფლები ხელს უწყობდა სოციალურ ინტეგრაციას. მათ კვლავაც შეუძლიათ ითამაშონ ეს სოციალური როლი.

5. არქიტექტურული მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი როლი აქვს შესასრულებელი განათლებაში.

არქიტექტურული მემკვიდრეობა იძლევა მდიდარ მასალას ფორმებისა და სტილების ასახსენლად და შესაძლებლად და მათ გამოყენებაზე. დღეს, როდესაც ხილვითი შეფასება და უშუალო გამოცდილება გადაწყვეტ როლს თამაშობს განათლებაში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ სხვადასხვა პერიოდის ნაშთები და მიღწევები.

ამ ყველაფრის გადარჩენა შესაძლებელი შეიქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მისი მომავალი მეპატრონე, გაიმსჭვალება მისი დაცვის მოთხოვნებით.

6. მემკვიდრეობას საშიშროება ემუქრება.

ამ ყველაფრის უცოდინრობა, მრავალი სახის დაზიანება და დაუდევრობა. ურბანისტული დაგეგმარება შეიძლება დამლუკველი იყოს, როდესაც ხელისუფლება ზედმეტად ადვილად ექვემდებარება ეკონომიკურ დანალას ან საავტომობილო მოძრაობის მოთხოვნებს. არასწორად გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგია და დაუფერებლად ჩატარებული რესტავრაციაც შეიძლება

დამლუკველად იქცეს ძველი ნაგებობებისათვის. და, რაც მთავარია, მინისა და უძრავი ქონების სპეკულაცია უწყობს ხელს შეცდომების გამრავლებას და ნულზე დაყავს ყველაზე ყურადღებით შემუშავებული გეგმები.

7. ინტეგრირებული კონსერვაცია ამ საშიშროებას თავიდან გავაცილებს.

ინტეგრირებული კონსერვაცია მიიღწევა ფაქიზი სარესტავრაციო ტექნიკების გამოყენებით და შესაფერისი ფუნქციების სწორი არჩევანით. ისტორიის განმავლობაში ქალაქების ცენტრები და ხშირად სოფლებისაც, უწყურადღებოდ რჩებოდა და იქცეოდა დაბალი დონის დასახლებად. მათი რესტავრაცია უნდა მოხდეს სოციალური სამართლის სულისკვეთებით და არ უნდა გახდეს უფრო ღარიბი მოსახლეობის სახლების მიზეზად. ამის გამო, კონსერვაცია უნდა იქცეს ქალაქისა და რეგიონების დაგეგმარების უმთავრეს საზრუნავად.

უნდა აღინშნოს, რომ ინტეგრირებული კონსერვაცია არ გამოირიცხავს ძველებზე რაიონებში თანამედროვე არქიტექტურის გამოყენებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ გათვალისწინებულ იქნება არსებული კონტექსტი, პროპორციები, ზომები და მასშტაბები და იქნება გამოყენებული ტრადიციული საშენი მასალები.

8. ინტეგრირებული კონსერვაცია დამოკიდებულია ლეგალურ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ტექნიკურ საყრდენზე.

ლეგალური ინტეგრირებულმა კონსერვაციამ უნდა გამოიყენოს ყველა არსებული კანონი და წესდება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. სადაც ასეთი კანონები არასაკმარისია ამ მიზნების მისაღწევად, საჭიროა შესაბამისი ლეგალური ინსტრუმენტების დამატება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

ადმინისტრაციული იმისათვის, რომ გატარდეს ინტეგრირებული კონსერვაცია, საჭიროა კარგად დაკომპლექტებული ადმინისტრაციული სამსახურის ჩამოყალიბება.

ფინანსური როდესაც ეს საჭიროა, არქიტექტურული მემკვიდრეობის მოვლა და რესტავრაცია წახალისებულ უნდა იქნას შესაფერისი ფინანსური დახმარებისა და სტიმულირების ფორმებით, საგადასახადო ზომების ჩათვლით.

ტექნიკური დღეს საკმაოდ ცოტაა არქიტექტორი, სხვადასხვა სახის ტექნიკოსი, სპეციალიზებული ფირმა და გამოცდილი ხელოსანი, რომ თავი გაართვას რესტავრაციის ყველა მოთხოვნას.

აუცილებელია, განვითარდეს სასწავლებლები და გაიზარდოს პერსპექტივები შესაბამისი ტექნიკური და მართვის სამსახურებისთვის, ხელოვნებისთვის. სამშენებლო მრეწველობაც უნდა თვითონ ცდილობდეს, მიესადაგოს ამ მოთხოვნებს. ტრადიციული ხელოსნობა უნდა ნახალსდეს და არ იქნას დამეცხული მისი მივიწყება.

9. ინტეგრირებული კონსერვაცია ვერ იქნება წარმატებული თანამშრომლობის გარეშე.

თუმცა არქიტექტურული მემკვიდრეობა ყველას კუთვნილობა, მისი სათითაო ნაწილი მინც ყოველი ჩვენგანის საზრუნავია.

საზოგადოებრობა უნდა იყოს შესაძლებელი ინფორმირებული, ვინაიდან მოქალაქეებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მის საცხოვრებელ გარემოს ეხება.

ყოველი თაობა სასიცოცხლოდ არის დანიჭრებული ამ მემკვიდრეობაში და პასუხისმგებელია მისი შემდეგი თაობისათვის გადაცემაზე.

10. ევროპული არქიტექტურული მემკვიდრეობა ჩვენი კონტინენტის კართო კუთვნილებაა.

კონსერვაციის პრობლემები არ არის რომელიმე ერთი ქვეყნის დამახასიათებელი. ისინი მთელს ევროპას ეხება და კონინონირებულია უნდა განიხილებოდეს. სწორედ ევროპის საბჭოს საქმეა, რომ შევქმნათ სახელმწიფოებმა ერთიანი პოლიტიკა გაატარონ სოლიდარობის სულისკვეთებით.

რეკონსტრუქციის ტიპი

დედაქალაქის ხელისუფლება "მისალმოსთა" კატეგორიაში

"აუცილებელი საჭიროებაა, რომ ძველი ტფილისის ნაშთებს ახლავე სათანადო ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეს ნაშთები ახლავე შესწავლილი იქნეს, მით უმეტეს, რომ ზოგი შენობა სიძველისაგან ძლივსა სულს დაფავს, და შორს არ არის ის დრო, როდესაც რომელიმე ვერაგული ხელი მას დაანგრევს, რომ მის ნანგრევებზე აავსოს ახლანდელი სარგებლიანი შენობა. თუკი ჩვენ ძველი ტფილისის სიძველეების შენარჩუნებას ახლავე ხელი არ მოვკიდებთ, მერმე უკვე გვიან იქნება."

დავით კაკაბაძე.

ამ დღეებში, თბილისის ურბანული განვითარებისა და მემკვიდრეობის სამეთვალყურეო საბჭოს შეკრებაზე საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დედაქალაქისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ. გთავაზობთ ამ შეკრების მონაწილეთა მოსაზრებებს.

დათო მალრადი: - ძველ თბილისთან მიმართებაში დღეს ინერციით გრძელდება იგივე ტენდენცია, რაც იყო ათწლეულების მანძილზე. ესაა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ფასეულობების სრული უგულვებლყოფა. ჩვენი კულტურული ფასეულობები კორუფციისა და კომერციის სასპარეზო გახდა. შეიქმნა საგანგაშო მდგომარეობა, სადაც მოქმედებს სამკუთხედი: ჩინოვნიკი - მემკვეთი - შემსრულებელი. საზოგადოების ზენისის შედეგად ხელისუფლებამ ტენდენცია იგივე დატოვა და მხოლოდ ფრაზეოლოგია შეცვალა. ყველა იმას გაიძახის, რომ ქალაქი უნდა გადაარჩეს, მაგრამ ყველაფერი გრძელდება ისეთივე მახინჯი ტენდენციით, რაც ათწლეულების განმავლობაში მოქმედებდა. არაფერი არ შეცვლილა, პირიქით, გაათმაგებული ენერგიით შუუტიეს



ამ ქალაქს. სრულიად იგნორირებულია კანონი, მძვინვარებს კორუფცია, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ დედაქალაქის არქიტექტურულ ანსამბლზე ირეკლება.

ვახტანგ ლევაია: - კანონმდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური მოწყობა, როგორც ურბანული პროცესების მართვის, ისე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით. გარკვეულ კონსტიტუციურ რეორგანიზაციას თუ

არ ჩავთვლით, დღეს გვაქვს მართვის სტალინური სტრუქტურა. პირამიდის თავშია მთავარი არქიტექტორი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ნების აღმსრულებელია, ვერტიკალი უსიტყვოდ ასრულებს დირექტივებს უემოდან ქვემოთ. არ არსებობს მითითებულია ქვემოთი, რათა არა იარეკლოს საზოგადოებრივი აზრი და ქალაქში რეალურად მიმდინარე პროცესები. ამას ორი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, კონტინგენტს, რომელიც

ამ პროცესებს მართავს, სხვაგვარად არ შეუძლია, მეორე მიზეზი კი, უბრალოდ, უცოდინრობაა. მაგალითად, 24 ივლისს, მთავარმა არქიტექტორმა ტელევიზიით განაცხადა: "გაკეთდა დასკვნა, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია ურბანული პროცესების მართვა". ეს დასკვნა კაცობრიობამ ორი საუკუნეა, რაც გააკეთა და თუ ვინმეს სურვილი ექნებოდა, ძალიან მარტივად შეიძლებოდა ამის შეტყობა. ხელისუფლება

მისალოცების კატეგორიაშია, და ალბათ კიდევ ბევრ ახალ ამბავს გაივლებს, თუნდაც იმას, რომ სატრანსპორტო პრობლემები ვერ გადაწყვედება მიკროავტობუსების საშუალებით, ეკონომიკური პრობლემები - ბაზრობის საშუალებით. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი ამბები თანამდებობებზე კი არ შეიტყონ, არამედ დოჩანაშვილისეული კარცერ-ლუქსებში და მაშინ აღარც საზოგადოება დაზარალდება.

კალაქური პროზა

რომანის გავრცელება. დასაწყისი იხ. "ქობაჯი" NN9-10, 2002, „24 საათი“ NO-13

საბრალლო არჩილა მთლად გალევულიყო, ისედაც უშადო ვინმე ბრძანდებოდა და ბეზიაც ვერ მორეოდა. ცხოვრების სახსარი აღარსანიდან ჩანდა და ბეზია კატოც ყველაფერს ყიდდა. ბეზია კესო ამის გამო გერმანულად ბრაზობდა და კოტეს ლანძღვასაც გამოურევდა ხოლმე.

და ერთხელ, ღამით, კოტე მოვიდა. კიდევ უფრო გამხდარი იყო, კიდევ უფრო მალაღი და მთლად ქედუხრელი. მთელი ეს წელიწადი ნახევარი ტყეებში გაეტარებინა და გაქცევასაც არ აპირებდა, რამდენიმე თავდადებულთან ერთად ტერორის მისდევდა და კომუნისტების განწმენას ცდილობდა. ნინა ეხვეწებოდა, წადიო, აღარ ჩამოხვიდვო. კოტე უარობდა, უთქვენოდ არსადაც არ წავალიო. ეს საბინელი ღამე თუ ასხოვდა არჩილას. თუ ნახვიდი, მაინც არ დაგტოვებოთ ამ ქვეყანაშიო, ამათ სისხლს დაღლეო, ასე თქვა და გაუწინარდა.

ამის შემდეგ აღარავის უნახავს ამ ქვეყანაში.

რვა თვისა და ოთხი კვირის შემდეგ კი მიხო დაიბადა. ასე იყო. ქალბატონი კესო მთელი სამი თვის განმავლობაში მოითხოვდა საიდუმლო აბორტს. ნინა უარზე იყო, ბეზია კატო მითუმეტეს. თუმცა, ორივემ იცოდა, რომ ამ აბზის გახმინება ახალი უბედურების დასაწყისი იყო. ერთი ცალყურა გამოძიებული სამშობიაროშივე მიადგა ნინას. პალატაში შეაბოტა ორი ჯველის თანხლებით და თამამად ჩამოჯდა სანოლის კიდევ. თამაზე ხელი გადაისვა და ცხვირის ქსუტუნით ჰკითხა ქალს:

"ბავშვი ვისია?"
"ვისიც უნდა იყოს", თქვა ნინამ ხმადაბლა.

"მამა, მამა ვინ არის?.. თუ არ გვეტყვი, მამა ვინ არის, ჩვენ საბჭოთა კანონს ავამოქმედებთ. საბჭოთა კანონი ჰუმანურობა, ხელმოკლე უქმრო დედებს ემხარება და მათ შვილებს სახელმწიფოს ხარჯზე შრდის. შენ უმუშევარი ქალი ხარ. ერთი შვილი უკვე გაყავს, ლოგინად ჩავარდნილ დედამთილსაც უვლი. აქ ბავშვს რაღას გასწვდები? პროლაეტარული სახელმწიფო ასე ვერ მიაგდებს ბავშვს. ამიტომ, ნაიყვანით და გავხრდები. ახლავდ ნაიყვანით. ჩვენი ვალია დაგვიმართო" და დედას შეხვდა, "თუ, რა თქმა უნდა, მამის ვინაობა არ დადგინდა. ეტლი მოყვანილია. საბუთები მზადაა..."

"კოტე მაჭავარიანი, კოტე მაჭავარიანი არის ბავშვის მამა, ჩემი ქმარი", ნინა თითქოს მზად იყო ამისთვის.

გამომძიებელი ძლივს მორჩა სიცოცხლე. ის ორნიც გახარებულნი ჩანდნენ.

"ბანდიტი მაჭავარიანი, რომელიც ხუთი წელიწადია არ გინახავს?"
"ვნახე..." ხმა ჩაუნყა და დედას.

"გეტყობა, მამა ვინ არის. კარგად გინახია, კარგად უნახია, არა? კაი სახანავიც იქნებოდა?" მთლად ჩაბჭირდა გამომძიებელი.

"არ ვიცი, სად არის..."

"აქ ხომ არ არის?" საბანში ხელი შეაკურა გამომძიებელმა და უცებ შეწყვიტა სიცილი. "ვიცი, რომ არ იცი, ამიტომაც გელაპარაკებით ამდენს... ჩვენ ვიცი, სადაც არის. შინაურულად გეტყვი. შენი ბანდიტი ქმარი ამჟამად არის ვარშავაში, დგას პირისხლიან პოლსუეკის სამსახურში. სხვა მისნაირ ბანდიტებთან ერთად შეიკედლა მათნარმა ბანდიტმა. არის პანების პოლონეთის ოფიცერი... მაგრამ ახლა სხვა საქმეზე ვართ", მან უბნადა სიგანეზე გრძლად გაკეცილი ქალადლი ამოაძვინა და გაშალა, "აი, ჩემო მოქალაქე მაჭავარიანისავ, აქ სენი, რომ შენი ყოფილი ქმარი, ნააფიცრალი და ბანდიტი, საბჭოთა ხელისუფლების მტერი, ასე და ასე, ემსახურება უცხო ქვეყანას შენი

ქვეყნის წინააღმდეგ და თუ ოდესმე დაგიკავშირდება, შეგხვდება და ან წერილი მოგივა მისი ან სხვა რამე, დაუყოვნებლივ შეატყობინებ საგანგებო ორგანოებს... სხვანაირად... სხვანაირად არ ხარ მაგ ბავშვის გამზრდელი. ვინ იცის, სუსტი ბავშვიც იყოს და ვერ გაძლოს. რა უნდა აჭამო შენ?" მკერდზე საბანი გადახადა ნინას, "ფანქარი, ბიჭო"...

იმ ორიდან ერთ-ერთმა მოკლე ფანქარი გაუნთოდა.
"ჰა, ქალო, ქიმიურია. ენაზე გაისვი", აჩქარდა გამომძიებელი. "რას მიყურებ? მოანერე ხელი. სახელმწიფოს ერთგულება უხდება. ხო ცხოვრობ ამ სახელმწიფოში?"
ნინამ მოანერა.

ქიმიური ფანქარის ლურჯი წერტილი დარჩა ტუჩზე.

დედამ იცოდა, რომ მოვიდოდნენ და ნაიყვანდნენ. გარშემო ბევრნი მიჰყავდათ, საერთოდ უდანაშაულოებიც, უხინჯოებიც, დღემდე მეგანგებ ნაიყურულა ეზოში, ჩვენი მენისქვილე ნაიყვანესო, მუნჯიო და მუნჯიც ნაიყვანესო. ფიქრობდა, რომ მას მოადგებოდნენ, შეგუებულნი იყო. არჩილა ჩვიდმეტი-

კაკ მორჩილაძე

სა შესრულებდებოდა და მომდევნო წელიწადს სკოლასაც დაამთავრებდა. მიხოც თერთმეტის გახდებოდა წლის ბოლოს. იქით მოუვლიდნენ ბეზია კატოს გარდაცვლების შემდეგ მარტო დარჩენილ ქალბატონ კესოს. ისეთები გავხარდე, გადარჩებიანო, თითოთ კი თავი გადადგო. იცოდა, რომ ველარ დაბრუნდებოდა.

მაგრამ შეცდა. ორი მანქანით მოვიდნენ. რვაწი იყვნენ. მიხოს ეძინა. გაოგნებულმა ვერაფერი მოასწრო.

"ნუ ნერვიულობ, ყველაფერი გაიკრევა", ამბობდა ერთი, "არ უნდა დამდენი რამე..."

"ათი წლის არის..." ქოშინებდა დედა.

"თქვენც მოდიხართ... იმიტომ, რომ ათი წლის არის".

"შენს ქმარს დაბარაღე, ფაშისტ ნაბიჭვარს", იგინებოდა მეორე.

"კი მაგრამ, ეს ხომ ბავშვია. ბავშვი სად მიგყავით?..."

"სად მიგყავის და გავასუქებო და დაგვხრებო მამამისის სახელზე", თქვა მესამემ მშვიდად.

"არჩილა. არჩილა... აბა, შენ იცი, ხელი არ გაუშვა, ხო იყო რა დაბზნულია?"

"დაბრძანდით, ნუ ნერვიულობთ. რამდენიმე შეკითხვა აქეთ თქვენს ქმარზე და ბავშვებსაც უნდა ვკითხოთ", ამშვიდებდა პირველი. "დაბრძანდით..."

"საერთოდ არ უნახავთ, საერთოდ არ ასხოვით... ხელი მოვანერე ათი წლის წინათ".
ის მესამე იცინოდა.

ჭონათან სმოლი

VIII თავი

სწორედ რომ ლანჩის დრო იყო, როცა დაისხა და არასებური შვარცის კანტორის კარი შედო ტანხმელმა და მხრებში გამართულმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ხასიათზე ვერ იყო. მას ოთახში შემოჰყვანა ნოვს ენდროუდის თამამი ზუზუნი, შიგნით კი დაუხვდა ორი კაცი, რომელთაგან არც ერთი არ იყო მისტერ დასი.

ეს კაცები გვარიანად მოშინაურებულნიყვნენ დასის მაგიდასთან.

გადახსნილ ყუთზე დარჩენილი "პიცა სალამის" ნაგლეჯი და მაკეფანისა და "სტელა დარტუს" დაცილილი ბოთლები სწორედ ამაზე მეტყველებდა. ერთ სტუმართაგანს დასის საუბრული კედლამდე მიეგორებინა და შივ ჩაფლული შეჩერებოდა ჭერს იმგვარად ჩაფიქრებული, რომ თითებში ჩასწვოდა სიგარეტი. ეს პირველი ნერვიული, გაძვალტყავებული, თუმცაღა საგულდაგულოდ მოვლილი ჩანდა, დიდი მონდომებით გაპარულს, ფრჩხილზე მანიკური ულაპლაპებდა. მეორე უფრო დაბალი იყო, თუმცა ტანსრულად კი გამოიყურებოდა. მისტერ დასის საქალაქდები გადმოელაგებინა და პრილა საფურცლებებს ჩაჰკირკიტებდა.

ახლად შემოსული თითქოს გაქვაგადო, თითქოს უკან დაბრუნება დააპირო, მაგრამ კედელთან მიმჯდარი კაცის რკინაში ნაკლები ხმა მიწვდა:

- რა გენბავდათ? You welcome...
- მე... არაფერი, უბრალოდ...
- მისტერ დასს ხომ არ ექებო? - კვლავ ჭერს შეაჩერდა გამხდარი, ტანსრული კი გაფაციცებით შეაცქერდა.

- დიახ, რაღაც პატარა საქმე მქონდა.
- მოცდა მოგინეეთ, - ნამოდგა გამხდარი, - მოცდა მოგინეეთ და თან ძალიან დიდხანს. ღმერთმა ქნას, ძალიან დიდხანს მოგინოთ.
- სამწუხაროდ, მეჩქარება... - თქვა ახალგაზრდა კაცმა, - საღამოს გამოვივლი, ან სულაც ხვალ...
- ჯობს, მოიცადოთ, - თქვა ისევ გამხდარმა, - დიდი ხანია მისტერ დასს იცნობთ?
- არც ისე...
- უცხოელი ხართ, როგორც გატყობთ...
- ძნელი მისახედრი არ უნდა იყოს.
- ლტოლვილი?
- ცხოვრებისა და მუშაობის უფლება მაქვს. ლტოლვილი ოდესღაც ვიყავი...
- თქვენი ლაპარაკის მანერა მარწმუნებს, რომ ლონდონის ქუჩებში უცხო კაცი არა ხართ. რას საქმინაობთ?
- რაში გაინტერესებთ? - გაბრაზდა ახალგაზრდა კაცი, - ვცხოვრობ, ვმუშაობ...
- როგორც ლტოლვილი, მისტერ დასის კოლეგები იქნებოდით.
- თქვენ ნარმიოდგივით, არა... - კარისაკენ გაიხინა მოსულმა.
- აბა, მამ საიდან იცნობთ?
ის მეორე კვლავ ჩუმად იყო, მაგიდაზე ხელბედაყრდნობილი უსმენდა მათ საუბარს.
- რა თქვენი საქმეა?
- კარგი, - ის თითებში შერჩენილი ნაწმევანი მოისროლა გამხდარმა - ნუღარ ვიცულელუტებო. მე გახლავართ დეტექტივ-სუპერინტენდანტი პარმსი, ეს კი ჩემი თანაშემწე, მისტერ უილსონია.
იმ ტანსრულმა დინჯად დაუქნია თავი.
- ადვოკატის გარეშე არ დაგელაპარაკებთ, - იყო პასუხი.
- სამწუხაროდ, თქვენი ადვოკატი მკედარია, - გრძელი ხელები დანებებით გაშალა მისტერ პარმსმა მეტიც, მოკლულია. აი, სწორედ მანდ ეგდო, სადაც თქვენ დგახართ. მისტერ დასი მოკლეს, მოკლეს დაინით... ასე რომ, აქ ტყუილად არ ვსხედვართ. შეიძლება ითქვას, თქვენც გვლოდებოდით. თქვენი

გვარი გავინტერესებს, ისე ლაპარაკი მოუხერხებელია.

- დიკ ვიტინგტონი, - მიუგო ახალგაზრდამ.

- ჰოდა, მე ჯორჯ ლიოდ ჯორჯი ვარ. ეროვნული დაზღვევის ნომერი გაქვთ? რაიმე საბუთი ხომ არა გაქვთ თან?... იმას ნუ იზამთ, რომ კაცი ავადდევით, ან დაგაპატიმროთ. მიზნართი თქვენი გვარი.

- მაკვარლიკი, (ნიორია - garlic.) ზუსტად ასე ჟღერს ჩემს მშობლიურ ენაზე ჩემი გვარი.

თანაშემწე უილსონს გაეცინა, სუპერინტენდანტს კი არც გაღიძებია:

- და რომელია თქვენი მშობლიური?

- Georgian.

- გეოგრაფიაში ყოველთვის მოვიყოლებოდი... - აღიარა მისტერ პარმსმა - ისტორიაშიც...

- Do you have Shevardnadze again? - გამოიცოცხლდა უილსონი.

- I don't know. I live in London, since...

- O, I know, I know... by next door neighbourhood is Georgian...

- Really? - ვითომ გაეხარდა ახალგაზრდა კაცს.

- აი, მაგალითად, - მაგიდაზე მითითა მისტერ პარმსმა - აი, ამ დეგილას მტვერი ნაკლებია. თითქმის არც არის. ხელი აიღეთ უილსონ, კვალი არ ნაშალოთ. არ გახსოვთ, რა იდგა აქ?

- აქ? აქ, მგონი, მაგიდის მოწყობილობა, - კეფა მოქექვა ახალგაზრდა კაცმა, - აი, ასეთი, ჩვეულებრივი, პლასტმასისა. მარკერი, საშლელი, ფანქრები. აი, რომ ტრიალეს... სახაზავიც არის...

- მერე... სად წავიდა? - მისტერ პარმსმა უბები ხელი ჩაიყო და რაღაც ნატები ამოიღო, - მისი უნდა იყოს?

- ალბათ...

- კარგია... მე თქვენ აუცილებლად დაგირეკავთ... ოღონდ, ეს კი უნდა მიზნართი, რა საქმეზე მოხვდით მისტერ დასთან?

- მე... სულ უბრალო საქმეზე. მისტერ დასის სიკვდილმა კი დამამწუხრა, მაგრამ... იმ დღეს აქ შემოვიარე ერთ საქმეზე და მოხოვა, სასწრაფოდ ნაღდი ფული მჭირდება და რაცა გაქვს ჯიბეში, მომეციო. ოთხას ფუნტამდე მქონდა, - თვალის დაუნაშამებლად განახადა ახალგაზრდა კაცმა, - დღეს უნდა

თუმანს აქეთ წავიდე და იქით წავიდე. ეს ათი მწელიც კიდე, საროკაში გავარდა. აი, საროკა ვიყიდე, - მალხაზ მ.-მ პარკში ხელი ჩაყო, იქიდან ჭაობისფერი ზაფხულის პერანგი ამოაძვინა და გაშლა ცვადა - ნახე, რა მაგარია? - პერანგის გულზე ვეფხვის პირდაფენილი თავი ამოექარგათ თეთრი, ყვითელი, შავი და წითელი ძაფებით - ვეფხვია...

- ეს ნაგავი სად იყიდე?

- ნაგავი რათ არი? აი, იქით ჩალე...

მიანი კაცის მაღაზიაა, თავზე ჩალმა ადევს მახაზაზვიით, კაი კაცია. ორი თუმანსა მეგონა და თუმანში მომცა. გადახაზული იყო წინა ფასი. ვერ ვიგებ ამით ფასებსა. სულ ცხრა-ცხრა წერია... ჰო, შენა, ნინო, არ იცი ვინმე სამუშაო უნდოდეს? რკინის თუ რამეა, ან ნაღდი უნდათ, ან ბარის პირი. საფლავესაც ვაკეთებ, ხო იცი...

მარა ეს მერესია. ახლა საქმე მაქ...

- დროზე, თორე ჩამტყლენ მეტროში, - საათს დახვდა ნინი.

მალხაზ მ.-მ უბიდან ქალაღდები ამოაძვინა, გადახვეული კონვერტი და რაღაც პუკლეტი.

- აი, წერილები მივიღე. იმათგან იქნება. აბა, სხვა ნაცნობი შენ აქ არა მყავს, ისინი და შენა, მგონი, რუსულათაც უნდა ეწეროს. ერთი, მინახე, რა. საქმეში ჩავდგი, მერე ნახე ერთი რა პატივი გცე...

ნიომ ქალაღდები გამოართვა და ჩააცქერდა.

- რა მედი გაქ. ადრე მაინც ყოფილიყო ასე, - ჩაილაპარაკა თავისთვის.

- რო, რ უნდათ? დახვიე აქედანო და... ჰა? - დაეკითხა მალხაზ მ.

- მიღებული ხარ. თავმსახური მოცეცს. ორ დღეში გლაზოში ნაგეყავნენ და იქ იცხოვრებ.

- სადა?

- გლაზოში.

- სხვაც ქალაქში?

- ჰო. პოტლანდიაში.

- სხვა ქვეყანაში?

- არა, სხვა ქალაქში.

მალხაზ მ.-მ ამოიხარა.

- ეგრეც ვიცოდა, რო აქ არ გამაჩერებდნენ... აგე, ავკრიფე ყველაფერი და გამოიქეცი. მე იქ წამსველლი არა ვარ. იქ ვის ველაპარაკო?

- იქაც კია ქართველები.

- მერე შენნაირი შემხვდება, რო სიტყვა არ დამამადლოს?

- იქ ინგლისურს ისწავლი, კოლევში გატარებენ.

- ეგენი არ ვიცი. შენ უფრო გემრიელათ მასწავლი. შექსელოთ ჰო მასწავლელ? კიდე ისა, ბაიწორ ნაუ...

- იქ თუ არ ნახვედი, ძებნას დაგინწყებენ და რომ გიპოვინან, ქვეყნიდან გაგაგდებენ. ნახედი, რა, იმდენ ხანს გავში უნდა ვიყო...

- ეგრე არ დამტოვო, გოგო, - ხმა ჩაუნყდა მალხაზ მ.-ს - ხაბა-ხუბაიკით ვარ ნამოსული. გამოიქეცილო ვარ. ერთ-ორ კვირას უნდა შემინახო სადმე.

ნიომ დაუხტვინა.

- ფეხზე ძლივს ვდგავარ, - უთხრა ბოლოს - წადი რა, დაიძინე. ორ დღეში ნაგეყავნენ.

- მანდ არ სწერია ორი დღეო, ეგებ ამაღამაც მომადგენ, მილიციის წესი არ იცი?

- არა, არ მოვლენ. წადი.

- ეგრე ქუჩაში მტოვებ გოგო ქართველ კაცს? მგლის პირში მაძლე?

- რამ გვატამამა? იმ დღეს ძლივს ბლუკუნებდი.

- ნაჭშიც ვარ... უჭმელობას მიჩვეული ვარ. ცოტა ხანს შემიხახე გოგო...

- შენც გაგაგდებენ და მეც...

- ორი ღამე გამოთვივე სადმე, ნუ მომკუნტავ სხვისი კარის წინ ეიმ კაცივით, ზემოთ რო წვიც...

- რატომ არ გინდა იქ წასვლა?

- უშეშოდ მე ვერ გაეძღვბ. შენ უნდა გამოვიყნო ცხოვრებაში და მერე ნახე, მალხაზამ რა პატივი გცეს...

- დედა, რა დავაშავე, - აღმოხდა ნინის...

ბაბრქალბა ჰამდბა ნოზარბი



არტ-კლუბი

თბილისს მიზანმიმართულად ეზრძვიან საუბრობენ ეკა ჯაფარიძე და დათო მაღრაძე

დათო მაღრაძე: - დღესდღეობით ყველა აღნიშნავს, რომ დედაქალაქის ისტორიული ნაწილი, ძველი თბილისი გადასარჩენია. ამას ამბობს ყველა - მხატვარი, პოეტი, მეცნიერი, ხელი-სუფალი. მაგრამ საქმე ისაა, ვინ რას გულისხმობს, როცა გადარჩენაზე ლაპარაკობს, რას მიიჩნევს გადარჩენად, ვის რა ეძვირფასება და როგორ წარმოუდგენია გადარჩენილი ქალაქის სახე. თავს ნუ მოვიტყუებთ, ამ საკითხზე სრულიად განსხვავდება არტიკული საზოგადოებისა და ხელისუფლების აზრი. ამ ქალაქში ტრადიციადღაა ქვეყელი, რომ თბილისის გადასარჩენის ლოზუნგით ეთმობა ზურღულ და უბერიო საქმე. რატომ ხდება ასე, რა არის მიზეზი, რომ ძველი თბილისის გადარჩენაში ჩვენ და ხელისუფალნი სხვადასხვა რამეს ვეულისხმობთ. სრულიად განსხვავებული კონცეფციაა, განსხვავებული დამოკიდებულება, პოზიცია. შეიძლება დაემთხვას სიტყვები, მაგრამ შედეგი და მიზანი განსხვავდება. რა არის მიზეზი - წინაიერიება და უწინაურობა, პროფესიონალიზმი და კვალიფიკაციის დეფიციტი?

ეკა ჯაფარიძე: - მე გეგონა, ძველი თბილისის წერტილის პროცესი მხოლოდ ამ ხელისუფლების დროს არ დაწყებულა. ამ ქალაქს დიდი ხანია, მიზანმიმართულად ეზრძვიან. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ხდება, უგულვებელყოფაზე უფრო ჰგავს მიზანმიმართულ ბრძოლას იმისთვის, რომ ქალაქმა სახე შეიცვალოს და გახდეს იმ წინის მატარებელი, რა წინის მატარებელიცაა დღევანდელი ხელისუფლება, გუმინდელი ხელისუფლება, გუმინდელი ხელისუფლება. და რაც დრო გადის, ქალაქი ხელუდან გვევლება. ეს აღარ არის ქალაქი, ეს არის ლანდი, ქიშერა, რომელსაც მიეტივით და რაღაც ფრაგმენტებში ვეძებთ. შორს აღარ არის ის დრო, როცა ძველი თბილისი მხოლოდ ინფანტილურ სადგურად ქცეულიყო იარსებებდა, ხელშეკრები აღარაფერი დაგვრჩება. ძველი თბილისი არის ძალზე ფაქიზი ქსოვილი, ფაქიზი ცოცხალი ორგანიზმი. რასაკვირველია, აქ ყველაფერი არ არის ძველი, ყველაფერი არ არის შესახა, გადასარჩენი, მაგრამ ეს არის ქსოვილი, რომლის ხელოვნურად დარღვევა არ შეიძლება. აქ არის სახლები, რომლებიც ინგრევა, დაბრეცილია, აივანი ჩამოწოვილი აქვს, შეიძლება ბევრი მათგანი ძველი არ არის, მაგრამ საერთო კონტექსტში ესაა ჩვენი ისტორია, რომელიც არაერთი შემთხვევაში არ უნდა ამოვიღოთ, ამოიძირკვოს, ამოვარდეს იმ კონტექსტთან იმისთვის, რომ ამ სახლების ადგილას დაიდგას მოწინააღმდეგე, რომლებიც თვალში საცემად მოძრავდება. ეს საშინელება ძალზე თვალსაზრისითაა დასაბრუნებელი, ყოფილი ენგელსის ქუჩაზე, სადაც უცებ განდგარი შენობა.

- ფეოხანიონი...
- არა, ზემოთ. ბეთლემი უფრო ქვევითაა. ამ ორ შენობას საერთოდ არ ეტყობა კვალიფიციური არქიტექტორის ხელი; არ ეტყობა, რომ მისმა მშენებელმა რამე გაიაზრა, სანამ შენებდა დაიწყებდა. მერე, ჩამოყვები ქუჩას და დაგვხვდება ბეთლემთან ჩადგმული ორი შენობა. ნუთუ ასეთი დასაძლი და დასაფარი იყო ეს ტაძარი! ისეთი მდაბური არქიტექტორის ნაგებობები წამოყვები წინ, რომ მათ ვერ დაარქმევ ვერც სახლს, ვერც შენობას, უბრალოდ, სტიქიურად დახვებულნი სართულეებია. თან ისე აფარეს ტაძარს, რომ ახლა ბეთლემი მხოლოდ ამ სახლის ფანჯარიდან ჩანს. ვიღაცა - ამ სახლის ბინადარმა, - დაისაკუთრა ბეთლემის ხედი, და ამას არაივნი ადუღა წინ. მერე, ქუჩას ჩაივლი და აღრევე განადგურებული რიყე დაგვხვდება, მერე - აბანოთუბანი, სადაც მასშტაბიდან სრულიად ამოვარდნილი შენობა დგას... ესაა პროცესი, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერაფერი ვერ აღუდგა წინ. თქვენ ამბობთ, რომ ყველას სხვადასხვა თბილისი აქვს. რა თქმა უნდა, ყველას თავისი იდეა აქვს და ვის - როგორი, ძალიან კარგად ჩანს. მაგრამ ყოველივე ამის დასარეგულირებლად არსებობს ელემენტარული კანონი და რეგლამენტი. ეს ჩვენი მოგონიერ არ არის და არც არაფრის მოფიქრებაა საჭირო. დიდი ხანია, ყველა ქვეყანაში არსებობს რეგლამენტი, რომელიც ნამდვილად ამართლებს. თუკი ქალაქში არსებობს ზონირება, ამ ქალაქში აუცილებლად მოქმედებს რეგლამენტი და ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა და სურვილი, სახლი აიშენოს ძველ ქალაქში, უნდა იცოდეს, რომ აქ მკაცრადაა განსაზღვრული სახლის ფართი, სიმაღლე, გადახურვა, მასალა, განსაზღვრულია ყველა დეტალი; და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ რეგლამენტს ვერ გადაუხვევ. მაშინ ადამიანი უკვე არჩევანის წინაშე დგება - იქნებ, უარყვინა, ამ შეზღუდვების გარეშე, სხვა უბანში

ააშენოს უზარმაზარი სახლი? კი ბატონო, აშენონ, სადაც ინებებენ, ოღონდ არა ძველ თბილისში. ესაა ისტორიული ნაწილი, სადაც ზუსტადაა განსაზღვრული, რა შეიძლება, რა არა. აქ არ არის ლაპარაკი გემოვნებასა და თვითმოქმედებაზე; აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რა მომწონს მე ან რა მომწონს ჩინოვნიკს - საკითხი თავისთავად მოგვარებულია, როცა რეგლამენტი მოქმედებს. აღარ არის საჭირო ეს გაუთავებული საბჭოები, გაუთავებული კომისიები, არქიტექტურის დეპარტამენტის ღონისძიებები - ყველა-ნიკს - საკითხი თავისთავად მოგვარებულია, როცა რეგლამენტი მოგვარებს და აღარ იქნება აქტუალური გემოვნებაზე ლაპარაკი.

- მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენთან რეგლამენტი არსებობს, შეიძლება, იგი იდეალურად არ არის შედგენილი, მაგრამ არსებობს; და ეს რეგლამენტი ყოველი ფეხის ნაბიჯზე სრულიად იგნორირებულია. ამიტომ იწყება თვითმოქმედება, რომელშიც მოწინააღმდეგე ჩინოვნიკი და მასთან დაახლოებული პირი, შემკვეთი და არქიტექტორი. თვითმოქმედება კარგია ფოლკლორში, როცა იქნება ხალხური ნაწარმოები, მაგრამ გაუმართლებელია, როცა საქმე გვაქვს საგანძურთან, რასაც ფასეულობა და ქართული კულტურის ისტორია ჰქვია. ამას განაპირობებს მსოფლმხედველობრივი შექმნა, ქვეყნის პირველი პირი, ვინც საკუთარი მაგალითით უბიძგებს თვითმოქმედებისკენ. ჩვენს ქალაქში დღეს თვითმოქმედება მძინვარებს და ვიზუალურად ეს ყველაზე კარგად ჩანს ძველი თბილისის არქიტექტურულ ანსამბლში. ამ თვითმოქმედებას შეიძლება დაეფიციოს მხოლოდ და მხოლოდ კანონის დაცვის მოთხოვნა. მაგრამ ყოველ ნუთუმი ვრწმუნდებით, რომ რეგლამენტი არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ იარსებოს როგორც ფურცელზე დაწერილია რაღაც დოკუმენტმა, რომელიც რეალურად ვერ აისახება; შთაბეჭდილება გვრჩება, რომ იგი არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო ნორმების მიხედვით ეს აუცილებელია. სხვაგვარად ვერ იფიქრებ, რადგან ხელისუფალნი არ ასრულებენ თავისივე მიღებულ რეგლამენტს. ვასაგებია, რომ ამის მიზეზია კორუფცია, მასაც წინ უძღვის მსოფლმხედველობა, რომელიც ამ კორუფციის არსებობას უმჯობეს ყოველივე ამას ისევ და ისევ მივყავართ პომპეზურობისკენ, პათეტიკისკენ, ხელისუფლების უსაფუძვლო, მდაბიური ემოციების დაკმაყოფილებისკენ; ხელისუფლებისა, რომელსაც უნდა, მთავრდეს მოსახლეობას, რომ რაღაც კედლებზე მაგრამ არ არის ის რაღაცეა კეთდება ნამდვილად ცოდნა და კვალიფიკაცია სჭირდება. როდესაც ეს ცოდნა და კვალიფიკაცია არ გაგანია და ხელისუფლებაში საქმიანობს, არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და მარტო კანონის შესრულება მოითხოვოს; თუ ერევი, ესე იგი, თვითმოქმედებას უწყობ ხელს. ჩემი აზრით, ამას უნდა დაეფიციოს მხოლოდ საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებამ უნდა იფარგოს და გააცნობიეროს, რისი უფლება აქვს.

- დღევანდელ ვითარებას, ყოველივე ამის გარდა, აქვს ძალზე ობიექტური მიზეზები. ახალს არაფერს ვიტყვი - არქიტექტურით ინერება ისტორია. არქიტექტურა არის სარკე ყველა იმ ეპოქის, იმ საზოგადოების, იმ მშობრთვობისა, სადაც ეს კონკრეტული არქიტექტურა იქმნება. რატომ აშენდა თავის დროზე სვეტიცხოველი, ბაგრატი? იმიტომ, რომ მაშინ სხვა ფასეულობები იყო; ეს ტაძრები ეპოქის სარკეა. მაშინ საქართველო იყო ძლიერი, ეთიანი, სხვანაირი. რატომ გაჩნდა კრემლი - ავტორიტარული რეჟიმის ზუსტი განსახიერება, მერე "სრულშოკვა" - ეპოქის ასლი, ამერიკული ციათამბეჯენები - იმ ეპოქის სიმბოლოა? შენობების მიხედვით რეგლამენტი არ არსებობს ადგენენ, თუ რა დიდგოდა ამა თუ იმ პერიოდში. ამა, ენახოთ თბილისში ბოლო წლებში აშენებული სახლები - ესაა ამ მშობრთვობის, ამ ხელისუფლების, ამ საზოგადოების სახე. ჩვენს ქალაქში ახალი შენობები კი არა, სიმბოლოებია - ადამიანები ტოვებენ საკუთარი უმეცრების მონუმენტებს. პრობლემა ისაა, რომ ეს ნაგებობები თვითონ ძალიან კარგი ჰგონიან. თუმცა, ეს სრულიად ლოგიკურია. ჩვენ არ გავგაჩნია არქიტექტურის სკოლა. ეს სიტყვები შეიძლება შეურაცხყოფად მოეჩვენოთ ჩვენს არქიტექტორებს, ვისაც თავი პატრიარქებად მოაქვთ და ვისი შენობებიც ნიშნა იმ არქიტექტურისა, რომელზეც ვლაპარაკობთ. სერიოზული არქიტექტურა არ არის ჩვენისთანა გავლენის მქონე და დაჩაჩანაკებული ქვეყნის საქმე. არქიტექტურა იბადება ისეთ ქვეყანაში, სადაც არის ფინანსები, სერიოზული სკოლები, სადაც არ განყვეტილა არქიტექტურის განვითარება (როგორც ჩვენთან მოხდა კომუნისტების დროს), სადაც არსებობს ახალი ტექნოლოგიები, ახალი სკოლები.

ჩვენ ამის მიღმა დავრჩით და ამიტომაც ვიღებთ შედეგად იმას, რაც ყველაფერია, არქიტექტურის გარდა. ის, რაც ჩვენს გარშემო შენდება, არის ტიპიური თვითმოქმედება, ნიმუში იმისა, როგორი არ უნდა იყოს არქიტექტურა; ამ შენობების მიხედვით უნდა ასწავლო ბავშვს, როგორ არ უნდა აშენოს, როგორ არ უნდა ებრძოლოს თავის ქალაქს და არ დაარქვას ამას აღმშენებლობა. არქიტექტურა არ არის ადვილად განსავითარებელი, ადვილად ჩამოსაყალიბებელი დარგი. ესაა დახვეწილი, კომპლექსური პროფესია. ესაა დარგი, რომელიც მოიცავს ფილოსოფიას, პარმონიას, პოეზიას, მუსიკას. წარმოდგინეთ, როგორი განათლება, როგორი კულტურა, სიფაქიზე, გემოვნება სჭირდება ადამიანს, რომ რღაც ღირებული შექმნას. და ეს გვინდა ქვეყანაში, სადაც განათლების დიდი დეფიციტია. კატასტროფული მდგომარეობაა ყველა დარგში. ეს საერთო კონტექსტში განსახილველი პრობლემაა. არქიტექტურა, ასე განკერძოებულად, კარგი ვერ იქნება იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ცუდია, სადაც ყველაფერი დანგრეულია.

- ამას წინათ, დიდგორის მემორიალი რომ გაიძარცვა, სახელისუფლებო ელიტიმ დიდი განცაში ატება ამის გამო. რასაკვირველია, ცუდია, რომ დიდგორის ველზე გაიძარცვა ოსტატის ნაკეთობები, მაგრამ ამას თავისი მოტივები აქვს. ჩემი აზრით, ეს არ იყო განაპირობებული დავით აღმაშენებლის შეურაცხყოფის სურვილით. ამ პარცის მიზეზი იყო უკიდურესი სილატაქე...

- შიმშილი! მხოლოდ და მხოლოდ შიმშილი!

- დაიხ, იმ ველის გარშემო დასახლებული სოფლების უკიდურესი სიღუჭირე; დანაშაულის მთავარი ბიძგი იყო უსამყელო სილატაქე, ამ სოფლებში რომ მძინვარებს. მაგრამ როცა სახელისუფლებო ელიტამ ცდილობს ამ ფაქტს ისეთი ელფერი მისცეს, თითქოს ვანდალიზმი გამოწვეული იყო სინძინდის შეურაცხყოფის სურვილით, მე მიჩნდება სურვილი, ასეთი კითხვა დასვა: რატომბა ნაკეთები სინძინდის თბილისი, რომელიც წინდა მეფემ ვახტანგ გორგასალმა დააარსა, რომელიც თხოთმეტი საუკუნეა, სატახტო ქალაქია, რომელიც დასაბრუნებლად იბრძოდა დავით აღმაშენებელმა? სატახტო კულტურა ამ ქალაქს უკავშირდება. რატომ არ არის ეს სინძინდე, რატომ მიეცა მის განადგურებას და ხელყოფას ასეთი ასპარეზი და რატომ არ აღუდგებებს ეს სახელისუფლებო ელიტას?

- მე მიმართია, რომ ჩვენი "ელიტა" ცოტათი საკუთარ თავს ებრანჭებოდა, როცა ასეთი აჟიოტაჟი ატება დიდგორის გამო. როცა ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ადამიანმა ღირსება დაკარგოს, აღარ უნდა მოითხოვოს, რომ ვინმე რაღაც ფასეულობას გაუფრთხილდეს ან მაღალ მატერიალურ გელაპარაკოს. დღეს ადამიანისთვის მთავარია, რომ მის შვილს შია. ეს ელემენტარული რამ არის. ხალხს ამ ქვეყანაში გამოაცალეს ყველაფერი და, რაც მთავარია - ღირსება. როცა ადამიანს მიზანმიმართულად აკარგვიან ღირსებას და აკინებენ, ნუღარ მოითხოვ მისგან სულიერებაზე ფიქრს. ეს სხვა საზოგადოების უბრაუტესობაა. მე ძალიან მეჭეჭვებს იმ საზოგადოების მომავალი, რომელიც უგულვებელყოფს საკუთარ წარსულსა და ისტორიას. ეს ანბანური ტექშიმარტებაა.

- თუ ძალიან ხატონდა არ გამოვივა, გეგონა, რომ თბილისში ხანჯლით ფხაჭინან საქართველოს ისტორიას, ბულდოზერებით მლიან...

- არადა, ამის გარეშე მომავალი არ არსებობს. ესაა ქეა, რომელზეც მეორე ქეა უნდა დაიდოს, და თუკი საძირკველი გამოაცალე, ველარაფერი ააშენებ. არის კიდევ ერთი, ჩემთვის სრულიად გაუგებარი ტენდენცია - რაღაცაზე ამბობენ - ეს ძველია, გაცნობილიაო და ცხვირს უზზუებენ. ჩვენს კონკრეტულ ეპოქაში აბსოლუტურად დაკარგული აქვს ინდივიდუალობა არათუ ნივთს და შენობას, არამედ ადამიანსაც კი, თვითმყოფადობის ტოტალურ დეფიციტს განვიცდივით, და ყველაფერი, რასაც ვეხებით - წინი, ჭიჭი, კარის სახელური, ბინა, - ტირაფირებულია, კონვეიერული და ჩვენც, უხეზლით, ამ მახეში ვართ მოქცეული. ამ ვითარებაში განსაკუთრებული ფასი აქვს ნივთს, რომელსაც აკეთილშობილებს, ათობს ადამიანის ნიჭი, ხელების შეხება. ასეთი ნივთების დეფიციტი მთელ მსოფლიოშია. ყველგან განსაკუთრებული ფასი აქვს ადამიანის ხელით შექმნილ ნივთებს, შენობებს, რომლებსაც ყოველთვის საკუთარი სახე აქვთ. ოღონდ მათ მთელ მსოფლიოში უფრთხილდებიან, ჩვენ - ვანადგურებთ - და ვერ ვხვდებით, რომ დრო არასოდეს არაფერი არ აფუჭებს. დროის პატინა მხოლოდ უხდება ყველაფერს.



ქალიშვილი ბიჭნასთან ერთად



შაჰ ფეხ-ალის პორტრეტი

- ადრეც მითქვამს - ჰომეროსის სამყაროს სიყვარულით ადამიანებმა მინისკვემ წამარხული ტროა გათხარეს, ჩვენ კი ფიროსმანის სამყარო მინის ზედაპირზე, თვალწინ გვაქვს და იგი უმოწყალოდ ნადგურდება.

- ეს ძალზე მტკივნეული თემაა. ფიროსმანი ერთია, იგი ერთადერთი ჰყავს საქართველოს. მისი მხატვრობით ინფანტილური აღტაცება ძალზე ზედაპირულია. მეეჭვება, ბევრს ესმოდას სრულად, რა მხატვარი გვეყავდა. მან იდეალურად გადმოსცა პირველყოფილი სიყვარული, სიფაქიზე; ასეთი დამოკიდებულება, გრძნობის ასეთი სიღრმე, ასეთი გულწრფელობა არავისთან არ მინახავს. 1965 წელს ლუკრში გაიმართა ფიროსმანის გამოფენა, რომელიც ვახსანანდრე მალრომ. მე მგონია, ეს არ არის პატარა საქმე. მსოფლიოში ყველა მხატვარს, ვისაც ნოღად ზედა ლუკრში გამოფენის პატივი, თავის ქალაქში მუზეუმი აქვს. ფიროსმანის დღევანდელი ექსპოზიცია კი, უბრალოდ, სამარცხვინოა. ესაა კიდევ ერთი ნიმუში იმისა, რომ არაფრად ვაგდებთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას. ნუთუ არ შეიძლება, ფიროსმანს ერთი პატარა მუზეუმი გავუკეთოთ. უამრავი შენობაა თბილისში, რომელიც ამ საქმისთვის გამოდგებოდა. ჩემი აზრით, ამ საქმისთვის იდეალური იქნებოდა თუნდაც ყოფილი კომკავშირის ცეკას შენობა. იქვე მოწყობოდა პატარა გამოდგემლობა, სადაც დაიბეჭდებოდა ფიროსმანის პლაკატები, ალბომები; იქვე გაიხსნებოდა კაფე... ამას სლიდური თანხა დასჭირდება, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც ყოველად უმიზნოდ იღვანება ხოლმე. ის კაცი, ვინც ამას თავს მოაბამს, კარგ საქმესაც გააკეთებს და თვითონაც შევა ისტორიაში.

- ისე მოხდა, რომ ფიროსმანის საფლავიც კი დაკარგულია, ალბათ ეს ბედისწერა იყო, მაგრამ ის სამყარო მანაც შევიანარჩუნოთ, რომელიც ფიროსმანის შემქმნელიც იყო და შემქმნილიც; თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ფიროსმანისაა. სხვა ღირსეულება რომ არ ჰქონდეს, ამით მაინცაა მნიშვნელოვანი. მითუმეტეს, რომ ლამის თითოეულ სახლს დიდი ისტორია აქვს, თავისი სახე, თავისი ცხოვრება. მისი ყოველი კუთხე, ყოველი დეტალი, ყოველი კარი ღირსეულება. ამასთან დაკავშირებით მინდა თქვენ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნი "თბილისის სადარბაზოები" გაეხიზნოთ, რომელსაც ტონინო გუერას წინასიტყვაობა აქვს.

- წინასიტყვაობა საგანგებოდ ამ წიგნისთვის დაწერა. ტონინო გუერა თბილისის დიდი მეგობარი და დამფასებელია და მისთვის არ არის უცხო ეს სამყარო. წინასიტყვაობა სულ ერთი აბზაცია და სრულადაა ნათქვამი ის, რისთვისაც შეიქმნა წიგნი. "თბილისის სადარბაზოები" ჩაფიქრებული იყო, როგორც ძალიან სვედიანი, ძალიან ნოსტალგიური ალბომი. სიყვარულს ყველა თავისებურად გამოხატავს. მე ცვადაც გამოძეხებდა ჩემი დამოკიდებულება ქალაქისადმი, რომელიც ძალიან მიყვარს და ძალიან მენახება, რადგან საქმე ისე მიდის, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, ჩემს შვილს ვეღარ აუხსნას, რატომ მიყვარდა ასე ძალიან ეს ქალაქი. ალბომში წარმოდგენილია ერთი მშვენიერი იმედი იმ განძისა, რაც ნელ-ნელა ქრება. ესაა ერთ-ერთი ვიზუალური დოკუმენტი იმისა, რაც გვეკრძადა და აღარ გვექნება.

- ფელინიმ მოახერხა "ამარკორდში" თავისი ბავშვობის ქალაქის გაცოცხლება. ჩვენმა რეჟისორებმა რომ მოინდომინ თავიანთი ბავშვობის ქალაქის გადაღება, ალბათ ვეღარ მოახერხებდნ...

- ფრაგმენტებს თუ მოძებნიან... სხვათა შორის, ერთმა მეგობარმა მამომ საინტერესო იმაზეც ტონინო გუერაზე. იმ პატარა ქალაქში, სადაც ტონინო ცხოვრობს, იყო პატარა ტბა, და ერთმა კორპორაციაში მისი ამოშრობა დააპირა. საზოგადოება სასტიკად აღუდგა წინ ამას და დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა. როცა ტონინოს ჰკითხეს, რატომ ეწინააღმდეგებოდა ტბის ამოშრობასო, უპასუხა, ბავშვობიდან მიჩვეული ვარ, რომ ტბასთან უნდა მივიდე და ჩემი თავი დავიხარხო; რომ ვეღარ დავინახავ, მერე რაღა ვქნაო... ტონინო გუერაც, ფედერიკო ფელინიც, ჯულიეტა მახინაც თვითონ არიან გაცოცხლებული პერსონაჟები იმ წარმავალი სამყაროსი, ეს ადამიანები უკვე თვითონ იქნენ არქაული სამყაროს ნაწილად, ამიტომაცაა, რომ ზუსტად გრძნობენ ამ სამყაროს, რომელიც მარტო ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოში თანდათანობით ქრება. თვითონ ტონინო ლანდია, იგივეა, რაც ის ძველი, ძალზე ძვირფასი ნივთები, კარგია, შენობები...

- თუმცა... ამ სამყაროს იტალია შეინარჩუნებს...

მხსნა ბავრდობიდან

- რა თქმა უნდა, მაგრამ არა მგონია, ეს მხოლოდ კულტურაზე იყოს დამოკიდებული. არა მგონია, ვთქვათ, პოლანდიაში, რიგითი მოქალაქე მხოლოდ თვითშეგნების გამო არ ყრიდეს ნაგავს ქუჩაში. უბრალოდ, იქ კანონი მოქმედებს. ყველას ვერ მოვთხოვთ, სიძველის ფასი იცოდეს და მაღალი ესთეტიკის მატარებელი იყოს, მძაფრად განიცდიდეს და უყვარდეს. მაგრამ ნორმალურ ქვეყანაში ამას კანონი აუბრუნებელი უნდა. კულტურის პოლიტიკა ყველგან სახელმწიფო პოლიტიკაა. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფომ კულტურას ზურგი შეაქცია.

- ზურგი რომ შეაქციოს, ეგ კიდევ არაფერი; უბედურება ისაა, რომ აქტიურად ერევა და მიაჩნია, რომ ამის საფუძველი აქვს.

- არქიტექტურა სერიოზული კორუფციის წყაროა - უმცირესი ინსტანციიდან უმაღლესამდე. კადასტრი, მინის კანონი, პროექტის დამტკიცება - ეს არის კორუფციის ჯაჭვი; ამ სისტემაში ყველა რაღაც სარგებლითაა დაინტერესებული, 10 ლარიდან 100 000 ლარამდე, პატარა თუ დიდი ჩინოვნიკი, ყველა ხელს ითბობს და ამას ვერ შევლევინ. სამწუხაროდ, ამაში მონაწილეობენ სწორედ ის უწყებები, რომლებსაც ევალებათ, რომ ამ საქმეს კონტროლი გაუწიონ.

- საცოდაობაა, რომ ქალაქი აბარით ჩინოვნიკებს, ვისაც გაგონილიც კი არა აქვთ, რა არის ძველი თბილისის ხუროთმოძღვრება. არადა, მათ უნდა გადაწყვიტონ ქალაქის ბედი.

- გლობალურად რომ ვთქვათ, ოცნა, ოცდაათიან წლებში განადგურეს ის ხალხი, ვინც ქმნიდა კულტურას, სკოლებს, განადგურეს ქვეყნის ინტელექტუური პოტენციალი და შედეგებს დღემდე ვიმკით. ბურთი და მოედანი დარჩა იმ ადამიანებს, ვისი ხელითაც განხორციელდა რეპრესიები.

- სახელისუფლებო შტოებში დღემდე გრძელდება მათი სულიერი მემკვიდრეების დანიშნაობის ინერცია. ესაა მსოფლმედიელობრივი კონფლიქტის საფუძველი... თუმცა, მინდა, ისევე თქვენს საქმიანობას დავეუბრუნდეთ. ვიცი, რომ ახლა ყაჯარების კოლექციაზე მუშაობთ. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ეს უნიკალური განიხი თბილისშია დაცული.

- ძველი თბილისის მომხიბვლელობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ აქ თვითმყოფადი ქართული არქიტექტურის, ისეთი ფაქიზი თბილისური არქიტექტურის გვერდით, როგორცაა კალა, არის ყველა ევროპული მიმდინარეობა - ფსევდოგოთიკა, ნეოკლასიციზმი, იუგენდი; აქვეა შირვანის ტიპის არქიტექტურა, აღმოსავლური ქარვასლები. ეს ყველაფერი თბილისის მასშტაბშია მოქცეული. ყაჯარების კოლექცია ამ ეკლექტური პარამონის ერთ-ერთი ნაწილია. კოლექცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სრული პორტრეტის ასახვას მაკმადაინური რელიგია, კერძოდ, სუნიტები, კრძალავდნენ. როცა ირანში ყაჯარების დინასტია - შიიტები - მოვიდნენ, დაიწყო ფერწერული პორტრეტების შექმნა. ეს სულ ათი წელი გაგრძელდა. 70-იანი წლების ბოლოს, ირანიდან რეზა ფეხლევრი რომ გამოაქვევს და ხელისუფლებაში ფუნდამენტალისტები მოვიდნენ, ამ ფერწერული ტილოების ნაწილი დაინვა, თუმცა რაც გადარჩა, ახლა უკვე უფროსი ნაწილია. ყაჯარების ხელოვნების ნიმუშები კერძო კოლექციების გარდა, შემორჩენილია მსოფლიოს რამდენიმე მუზეუმში -



ყაჯარების სახლი თბილისში. ყაზბეგის ქუჩა. N14

ლი ტილოების ნაწილი დაინვა, თუმცა რაც გადარჩა, ახლა უკვე უფროსი ნაწილია. ყაჯარების ხელოვნების ნიმუშები კერძო კოლექციების გარდა, შემორჩენილია მსოფლიოს რამდენიმე მუზეუმში -

მეტროპოლიტენის, ვიქტორია ალბერტის, ბრუკლინის მუზეუმებში, ერმიტაჟში და თბილისში. არის ერთი, სუსტი ნამუშევარი ბრიტანეთის მუზეუმში. თბილისში ეს ნამუშევრები არის ოცდაშვიდი ცალი.

აქედან ჩვიდმეტი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შედევრია. ისე მოხდა, რომ ნიუ-იორკში ჩემი ყოფნისას, ბრუკლინის მუზეუმში იყო ყაჯარების ნამუშევართა გამოფენა. აქ მოახერხეს მთელი მსოფლი-

ოდან მოუბოვებინათ ტილოები. მთელი მსოფლიოდან - საქართველოც გარდა. გამოიცა არაჩვეულებრივი კატალოგი, სადაც ექსპერტები წერდნენ, ირანის მარგალიტი ჯერ კიდევ საქართველო-

შიაო. ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს საგანძური სრულიად უყურადღებოდა. ყაჯარების კოლექცია შალვა ამირანაშვილის მუზეუმშია, აღმოსავლურ განყოფილებაში, და სრულად არ არის გამოფენილი. კოლექცია ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, სჭირდება რესტავრაცია, კონსერვაცია. ერთადერთხელ გამოიცა ნიგნი ამ კოლექციაზე. ეს იყო 1940 წელს გამოცემული შალვა ამირანაშვილის ნიგნი, რუსულ ენაზე, რომელიც დღეს იშვიათობაა. ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ გამოიცეს ნიგნი ყაჯარებზე. პირველყოფილსა, იმიტომ, რომ მივიპყროთ საზოგადოების ყურადღება, იქნებ, რამით დაეხმაროთ ამ კოლექციას. ეს მსოფლიო კულტურის ნაწილია, დიდი საგანძურია. დღეს ნიგნის დეფიციტი ჩვენში აღარ არის, მაგრამ მე ვცდილობ, ჩემი გამოცემული ნიგნი ერთგვარად განვივითებულო იყოს, ნივთად ქცეული. ვცდილობ, ამ ფორმით გადავითო დიზაინი, ყდა. "თბილისურ სადარბაზოებში" თითო გვერდზე თითო ფოტოა, რადგან ვფიქრობ, რომ ბევრი კარგი ფოტო ერთად ვერ ახდენს ისეთ გავლენას, ვერ გვრის ადამიანს სინანულის, ნოსტალგიის, სიფაქიზის შეგრძნებას. სხვათაშორის, ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო: პარიზში, ლუვრში ხუთი საათი დაყვავი. გარეთ რომ გამოვიდეთ, არაფერი არ მახსოვდა ნიკეს გარდა. იმიტომ, რომ ეს ქანდაკება განსაკუთრებულ ადგილას, განსაკუთრებულად დგას. არადა, მოგვხსენებთ, ლუვრში ყოველი მეორე ნამუშევარი შედევრია. ჩემთვის ამ ნიგნების კეთება დიდი ფუფუნებაა, რადგან ეს არის ნიგნები იმაზე, რაც მიყვარს და მომწონს. ესაა ჩემი საყვარელი თემები, რომლებსაც პავლევიჩთან ვუტრიალებ. "თბილისური სადარბაზოები" სიყვარულის ასხან იყო ჩემი ქალაქისთვის... ყაჯარები დაახლოებით თოთხმეტი წლისამ აღმოვაჩინე, ჩემი მასწავლებლის, შესანიშნავი და დაუფასებელი მხატვრის, ალბერტ დილბარინის წყალობით. როცა პირველად მიმიყვანეს მასთან, მითხრა, სწავლით მერე ვისწავლით, მოდი, ახლა მუზეუმში წავიდეთო და მიმიყვანა ერთ პორტრეტთან - ქალი დგას ბიჭთან ერთად. მითხრა: "Стой и смотри". ახლა უფრო ვხვდები, რას გულისხმობდა... წელან ნიგნის დიზაინი და ყდა ვახსენე. ყაჯარების კოლექციაზე ნიგნის ყდას გადაკრული ქენება ნამდვილი ქერმანისა და ქაშანის ქსოვილები.

- ვინატრებდი, პოეტისა და მხატვრის დასაცავი არ იყოს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და სახელმწიფო იცავდეს მას.

- მაგრამ ეს ქვეყანა ბევრჯერ გადაურჩენიათ პირიგნებებს და არა სახელმწიფოს.

- გადარჩენა ალბათ ის იქნება, თუ მოვახერხებთ, სახელმწიფოს თუ ვაითქვინებთ, რომ კანონი სრულდებოდეს და ყველა თავის საქმეს აკეთებდეს.

P.S. საუბარი ჩაწერილია მედიანში, ელდარ მემულ-ზადეს ხალიჩების სალონში, რომელმაც გააცოცხლა მედნის სურნელი. ეს კაცი არის ამ უბნის უკანასკნელი მოპიკანი, კაცი, რომელმაც იცის სად იყო შეთანხმებაში, სად იყო "ვირების პარკინგი". ჩვენ შევეცდებით, მოხვალში უფრო რეკლამით მოვიხიროთ ელდარ მემულ-ზადესა და მისი საქმიანობის შესახებ.

ქალაქური პოეზია

ბიორბი მირზაზვიდი

მისაკი სათბურებიდან

"ადამიანი ამფობია". ძეხვი სასწორზე. აგურის კედელი, გამჭოლი მზერა, გამჭოლი ეზოები. სარკე რუსთავიდან, ძველი ნატურმორტი. ცხელი ბუტერბროდი, ცივი გამოხეცვა. ლუდი "თოფაქე", სველი მაქვს ხელი, ახალი ქართველები, ახალი გემოვნება, ახალი ლექსიკონი, ახალი გარიგება, ახალი სახეები, ახალი ტარიფები. ნეონის აბრა, სარდაფი - მალაზია, სარდაფი - კაზინო, სარდაფი - პიცერია, სარდაფი - რესტორანი, კლუბი "სარდაფი". გამოფენა - აუქციონი... ბარმენის ლიმონი, მთვრალი კონტურები. მისაკი სათბურიდან, "ბიძია, დამეხმარე!" მშრალი მაქვს ხელი ლამის ქალაქში, სასტუმრო "მარიოტი" ჯერ ვერ ამოქმედდა...



ბურუსი, ნოტიო საღამო, ალუი სარკმელში, "ინტერნეტ კაფე". დაეკარგე საფულე. "ფერადი ქსეროქსი". მაკარტნის სიმღერა, ლენონის ლანდი.

ბესიკის ქუჩა, ბზარი კედელზე, ბზარი ასფალტზე, ბზარი... ნითელი ვარდები, "კომუნიკატორი". მამადავითი, პანიონი, კამელოები. ნაცნობი საფულა... კპკპ.

ხელი: უსახო ტაძარი - დეკორაცია, მახლას! მივხედოთ ქალაქს, მივხედოთ ეზოს, მივხედოთ ქუჩას, მივხედოთ სახლებს, მივხედოთ საქმეს.

ხელი აივანზე, ბზარი ვალავანზე, ნამწვავი ბორდიურზე. მოაქვთ ანგარიში, 12 ლარი, მიმტანი კლიმატული, ვაშლის ნამცხვარი, კაფე "არ იდარდო!" ორი პროფილი, ორთაქალაქის, ადიდდა მტკვარი.

ლერნამი, სანაპირო, სასწრაფო დახმარება, სასწრაფო შევლა, სასწრაფო შევლა, სასწრაფო აღსასრული.

ბინდია. ლევის ხე. სიჩუმი. ჩალისფერი ძალი, ბნელი შუშაბანი. კრამიტი აყრილია. გამოზირი, გამოზირი: ვერაზე ნიათი, ვერაზე სიმედიდა, ვერაზე სმარია.

... იგი ამბობდა:

- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიაყროს ფიქრი, - სადღაც ვილაცას სცივა, სადღაც ვილაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ქრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.

რევაზ ინანიშვილი

www.24hours.ge

24

საბავშვო

მამამ, როგორც იქნა, მოიტანა შინ ეს დალოცვილი კომპიუტერი!

მართლაც რომ დიდი ბედნიერებაა: ინტერნეტი - მთელი მსოფლიოს გონება - ერთ პატარა ყუთშია თავმოყრილი! აირჩიე, სულო და გულო, რაც გაინტერესებს:

ისტორია, მეცნიერება, ტექნიკა, გეოგრაფია, მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა... თუ დაილა-

ლე, ჩართე, ჩემო ბატონო, რომელი თამაშიც მოგწონს: ავტორბოლები, სტრატეგიები, ფეხბურთი, მულტიმედია...
ერთი სიტყვით, კომპიუტერთან მეგობრობა მართლაც რომ კარგია, კარგი!

მაგრამ მხოლოდ ერთი მეგობარი, თუნდაც ასეთი ჭკვიანი და მომხიბვლელი, თუ დამიჯერებ, არაა საკმარისი სრული ბედნიერებისათვის.

პატარა ადამიანმა აუცილებლად უნდა გამოსცადოს, როგორი მეგობრობა იცის ნიგნმა.

ოჰ! ნიგნი თუ დაიმეგობრეს! რას ამბობ!

აი, ძილის წინ რომ ოცნებობ, ისეთ თავგადასაულებს გიყვებიან ნიგნები. კინოში და მულტ-

ფილმში ნანახს არც კი შეედრება შენი თვალთ ნაკითხული ზღაპრები, ანდა, ტომ სოიერის თავგადასავალი, ჰეკლბერი ფინის, პატარა უფლისწულის ამბავი, სახურავის ბინადარი კარლსონი, მაღალწინა პეპი, პინოქიო და ბურატინო, სალამურა, დაჩი, იყალთოელი ბიჭები, მაუგ-

ლი, კაპიტან გრანტის შვილები და აუჰ, რამდენი ნიგნი მეგობრებზე, ნითელკანიან ინდიელებზე...

ნუ იტყვი, ამდენ რამეს რა ნამაკითხებელი! ერთხელ თუ შეგაყვარა ნიგნმა თავი, ისეთი მეგობარი გახდება შენი, სულ ბობლიოთეკებში გაძებნივს თავს.

ჩვენი გაზეთი, კიდევ, გზას გიჩვენებს, მოგეხმარება კარგი ნიგნების არჩევაში.

არდადებები, არდადებები!



ინფორმაცია

როგორ უხდინა ბავშვებს "ხელფასს"

საზღვარგარეთ ხშირად ნახავთ ბავშვებს, რომელსაც მამა "ხელფასს" იმიტომ უხდის, რომ მან მანქანა გაურეცხოს, მაღაზიაში გაეგზავნოს, ავტოფარეზი მიუღოს. მამებს სჯერათ, რომ კარგ საქმეს აკეთებენ და შვილებს დამოუკიდებლობასა და შრომით ნაშოვნ ფულის დაფასებას ასწავლიან.

თუმცა, ახლახან ჩატარებული კვლევამ ცხადყო, რომ ასე პატარები, დამოუკიდებლობასთან ერთად, მექრთამეობასაც ეჩვევიან. ბრიტანეთში კი ასეთი მონდომებული მშობლების წყალობით 16 წლამდე ბავშვები წელიწადში 1200 ფუნტ სტერლინგს აკეთებენ.

ბრიტანულ ოჯახებში ბავშვებისთვის ე.წ. მოჭრილი ხელფასიც არსებობს. მაგალითად, სახლის დალაგებაში მშობელს რომ მიეხმაროს, ბავშვი საშუალოდ 2.77 ფუნტს იღებს, ჭურჭლის სარეცხი მანქანის დაცლისათვის - ყოველ ჯერზე 2.52 ფუნტს. მანქანის გარეცხვა მშობლებს 2.30 ფუნტი სტერლინგი უფლებათ, შინაური ცხოველის გალის გასუფთავება კი - 1.92 ფუნტი.

ზოგიერთ ოჯახში პატარებს გასამრჯელოს გაკვეთილების სწავლისთვისაც უხდიათ. ეს ყოველ საღამოს დაახლოებით 1.02 ფუნტი ღირს. ყველაზე იაფი მშობლებს საწოლის დალაგება უფლებათ - ბავშვებს ამისთვის 75 პენს უხდიათ. ასეთ ოჯახებში ყველაზე დიდ მექრთამეებად ბიჭები ყალიბდებიან, რადგან მათ საოჯახო საქმეების შესრულებ-

ისთვის უფრო სოლიდური თანხით აჯილდოვებენ. მაგალითად, ჭურჭლის სარეცხი მანქანა ბიჭმა რომ გაასუფთავოს, ის ამისთვის მთელ 5.10 ფუნტს მიიღებს.

შრომის გაკვეთილი განებივრებულითათვის

შვილებს მეტნაკლებად ყველა მშობელი ანებივრებს, მაგრამ სინგაპურში - განსაკუთრებით. იქ ბავშვები ძიების და მოსამსახურეების გარეშე, უბრალოდ, ვერ ცხოვრობენ.

პრობლემის გამოსასწორებლად სინგაპურის სკოლების დაწყებით კლასებში ე.წ. საოჯახო გაკვეთილებს შემოიღებენ. თავიდან პატარებს საწოლების დალაგებას ასწავლიან, შემდეგ კი ფეხსაცმლის განმენდას, სენდვიჩის მომზადებას, მაკარონის მოხარშვას, ლილის დაკრებას

და დაუთოებასაც.

გამოკითხვაში, რომელშიც სინგაპურელი თინეიჯერები მონაწილეობდნენ, დაახლოებით 40 პროცენტმა აღიარა, რომ მათ მოსამსახურეების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომ არის, რომ მოსამსახურედ სინგაპურში დაახლოებით 140 ათასი ქალი მუშაობს. მათი უმრავლესობა იქ ფილიპინებიდან, ინდონეზიიდან და შრი ლანკიდან ჩადის.

"მაკონალდსი" მსუქანი ბავშვების წინააღმდეგ

წონა დაიგდეთო - ეს მოწოდება რამდენმე ხნის წინ თავად აშშ-ს პრეზიდენტმა გასცა. თუმცა, როგორც ამერიკელი ზრდასრულებისთვის, ისე პატარებისთვის სიმსუქნე ჯერაც უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება.

ახლახან პრეზიდენტს სწრაფი კვების რესტორნების ქსელებიც ამოუდგნენ მხარში. ისინი ცდილობენ 2.4 მილიონ დოლარაინ კამპანიის დაფინანსებას, რომლის მიზანიც არის, ამერიკელ მოზარდებს უფრო ჯანრთელად კვება ასწავლოს.

ამ საქმეში ბუშის გვერდით დგანან "მაკონალდსის", "პურგერ კინგის" და "კოკა-კოლას" ხელმძღვანელები.

თუმცა, ყველამ იცის, რომ სიმსუქნის, ძირითადად, სწორედ სწრაფი კვების კულტურას აბრალდებენ. "მაკონალდსის" წარმომადგენელი კი ამტკიცებს: "ბავშვი "მაკონალდსის" ბურგერებს რომც ჭამდეს, მაინც შეიძლება ჯანსაღი წესით იკვებოს. ამისთვის ახალი ხილი, პოსტნეული და რძეა აუცილებელი", - ასკენის ის.

სიმსუქნის წინააღმდეგ ფინანსებს გასცემენ "პეპსი", "უნილევერი" და "მონსანტოც". ნიუ იორკსა და ფლორიდაში უკვე გახსნილია რამდენიმე სასამართლო საქმე, რომლებიც სწრაფი კვების პრობლემებს ეხება.

თეთრი დათვი

თეთრი დათვი ყველაზე დიდ-ტანიანი მტაცებელია დედამიწაზე. იგი დაახლოებით 800 კგ-ს იწონის. მოხერხებული მონადირე და შესანიშნავი მოცურავეა. ნადირობისას, ხშირად, ასობით კილომეტრს გაცურავს ხოლმე. ცნობილია ისიც, რომ თეთრ დათვს შეუძლია ყინულოვან წყალში რამდენიმე საათი გაძლოს. სიცვიისაგან მას იცავს ფაფუკი ბუნჯი და კანქვეშ ჩადებული ქონის დიდი ფენა. ეს ცხიმი ცხოველის წონის თითქმის ნახევარს შეადგენს. ამის ბრალია, რომ თეთრი დათვი ტივტივასავით დევს წყალზე, ადვილადაც ცურავს და გაყინვისაც არ ეშინია.

შუა ზამთარში ყინულის ბუნაგში თეთრ დათვს ბელეები უჩნდება. დედა დათვი რძეს აწოვებს შვილებს, თვითონ კი მანამდე შიმშილობს, სანამ ცოტათი ისე არ დათბება, სანადიროდ გამოსვლა რომ შეიძლებოდეს.



თეთრი დათვი.

ბოთლის გადაგდება ან შეიძლება!

არავითარ შემთხვევაში არ დაგდოთ გზაზე ან ტყეში (ცარიელი ბოთლები ან რაიმე მინის ჭურჭელი. მათ აქვთ უნარი, როგორც გამაღივებელ მუშას, თავი მოუყარონ მზის სხივებს ერთ ფოკუსში, ამათ კი, ადვილი შესაძლებელია, ხანძარი გამოიწვიოს.

ავტომანქანის შესახებ

დღეისათვის მსოფლიოში 300 მილიონამდე ავტომანქანაა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეთუთმეტე კაცი საკუთარი მანქანით დადის. ყოველწლიურად კი დედამიწაზე 30 მილიონამდე ახალი ავტომანქანა მზადდება.

დამსვნი სკაფანდრები

მთვარეზე ატმოსფერო არაა, ესე იგი მთვარის ზედაპირზე მზის სხივების რადიაციისაგან არაფერი გვიცავს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მზე მთვარეზე გაცილებით ძლიერად აცხუნებს, ვიდრე დედამიწაზე.

ამიტომაც, რომ ასტრონავტები მზისგან თავის დასაცავად განსაკუთრებულ დამცავ კოსტიუმებს - სკაფანდრებს იცვამენ, რომლებსაც მზის სხივების არეკვლა შეუძლიათ.



ყველაზე ძლიერი სახანძრო მანქანა

ყველაზე ძლიერ ცეცხლქრობელ მოწყობილობად მსოფლიოში ითვლება სახანძრო მანქანა "ოშკოში", რომელიც თვითმფრინავებზე გაჩენილი ხანძრების ჩასაქრობად გამოიყენება.

მხოლოდ სამი წუთი სჭირდება ამ მანქანას იმ აუარება ქაფის გამოსაფრქვევად, რომელიც მთლიანად გადაფარავდა ფეხბურთის ყველაზე დიდ სტადიონს.

ცოცხალი ქვები

წლის უმეტეს დროს სამხრეთ აფრიკის ქვიანი უდაბნოები სრულიად უსიცოცხლო გეგონებათ, მხოლოდ ცოტა ხნით, წვიმების პერიოდში ხდება სასწაული: ზოგიერთი ქვა უცებ... აყვავილდება ხოლმე. ზოგიერთ ყვავილს შეფერილობა არა აქვს და ქვებისგან მხოლოდ ზემოდან გადაკრული გამჭვირვალე "ფირით" გამოირჩევა, რომელიც წყლითაა გაჟღერებული, მზეზე ბრჭყვიალებს და თან ქვასაც იცავს გადახურებისაგან.

ბაობაბი



ბუნებაში გვხვდება რამდენიმე სახეობა ისეთი ხეებისა, რომლებიც უწყლო ადგილებში ხარობენ და თავს მშვენივრად გრძობენ. მაგალითად, აკაცია, ეკვალიპტი და ბაობაბი იზრდებიან აფრიკისა და ავსტრალიის სავანებში. ამ ხეებს ისეთივე ხისტი ფოთლები აქვთ, როგორც უდაბნოს მცენარეებს.

ბაობაბი, მაგალითად, დიდი რაოდენობის წყალს აგროვებს წვიმების დროს სპეციალურ ლულაში. იქ იმდენი წყალია, რომ მოწყურებული სპილოები ხეთქავენ ამ ლულებს და ბაობაბის სვეულიდან სვამენ წყალს.


მფრინავი ბაყაყები

ზოგიერთ ბაყაყს პლანერივით შეუძლია ხიდან ხეზე გადაფრენა. წინა და უკანა ფეხების გრძელ თითებზე ამ ბაყაყებს აპკები აქვთ გადაკრული. გადახტომა-გადაფრენის წინ ისინი იბერებიან და ჰაერში, რაც შეიძლება, განზე მლიან კიდურებს.

მოკლედ, ამ ბაყაყს შეუძლია 10-12 მეტრზე გადაფრინდეს!



ცოცხალი ქვები.



ბაობაბი



ტყუპი კვირტოანება

ტიპული კომპიუტერული ადამიანი უნდა იყოს, უნდა იყოს, უნდა იყოს და უნდა იყოს ბიზნესმენი. ღირსეულობა ტიპის უნდა იყოს, უნდა იყოს, უნდა იყოს და უნდა იყოს კომპიუტერული ადამიანი და ის უნდა იყოს უნდა იყოს და უნდა იყოს და უნდა იყოს...



ნამუშაოდ
დავან ბიზნესმენი



აი ნამუშაოდ
აი ნამუშაოდ,
აი ნამუშაოდ
უბრალოდ და?

აი, აი, აი,
აი, აი, აი,
აი, აი, აი?



კვირტოანება, კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება



ეს არის და, ეს არის და,
ეს არის და, ეს არის და -
არის და



ეს არის
არის და?

აი, ეს არის
არის და?

არის კვირტოანება
კვირტოანება?
ეს არის კვირტოანება
კვირტოანება და კვირტოანება




ეს არის და



არის კვირტოანება
კვირტოანება, ეს არის
ეს არის და



ეს არის კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება



არის კვირტოანება



ეს არის კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება



ეს არის კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება
კვირტოანება, კვირტოანება

არის კვირტოანება - კვირტოანება, კვირტოანება - კვირტოანება, კვირტოანება, კვირტოანება, კვირტოანება

კვირტოანება კვირტოანება
კვირტოანება კვირტოანება



რა გააცოცხლებს მოზარდმაცურებელთა თეატრს?

(ანუ რატომ შეაქცია ზურგი თავის ზვილოზილს რკინიგზის დეპარტამენტმა და ძინა აკაკი ჩხიტიანი)

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაცურებელთა სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი გია კიტია:

- ვერ კიდევ 1927 წელს ქართველმა რკინიგზელებმა სპეციალურად ააშენეს შენობა ბავშვებისათვის (ახლანდელი რკინიგზელთა სახლი) და მსოფლიოში მეორე პროფესიული საბავშვო თეატრი ჩამოაყალიბეს. თეატრი მაშინდელი რკინიგზის მინისტრის - კაგანიოვიჩის სახელს ატარებდა. საბავშვო თეატრის კოლექტივის ინიციატივით გაკეთდა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა მუშტაიდის ბაღში. ასეთია მოზარდმაცურებელთა თეატრისა და რკინიგზის დეპარტამენტის შორეული მეგობრობის ისტორია. მოგვიანებით, მოზარდმაცურებელთა თეატრმა ზემელზე გადაინაცვლა.

25 წლის წინ, ჩვენი შენობა რომ დაანგრეს და რესპუბლიკის მოედანი მოაწყვეს სამთავრობო მი-

ტინგებისათვის, ჩვენ გავხდით პირველი ლტოლვილები საქართველოს დედაქალაქში. ისევ რკინიგზელებმა გვიშველეს და შეგვიკედლეს რკინიგზელთა სახლში. გაფორმდა ხელშეკრულება რკინიგზის დეპარტამენტსა და თეატრს შორის. რკინიგზელებმა თავის თავზე აიღეს კომუნალური, სადადგმო და სხვა ხარჯები, აგრეთვე მატერიალურ დახმარებასაც შეჰპირდნენ მსახიობებს დამატებითი ხელფასის სახით.

გვეშველაო, რომ ვიფიქრეთ, სწორედ მაშინ ნავიდა საქმე უკან: 1998 წელს, როცა სამი თეატრის გაერთიანებით დაფუძნდა მოზარდმაცურებელთა თეატრი და სამი პატრონი, როგორც დამფუძნებლები, ერთად გამოგვიჩნდა: რკინიგზის დეპარტამენტი, თბილისის მერია და კულტურის სამინისტრო, ერთ მშვენიერ დღეს (დღემდე არ ვიცი, ვინ მოიფიქრა და რატომ) რკინიგზელთა სახ-

ლიდან ჩვენი რეკვიზიტებიანად გამოგვყარეს და იმის შემდეგ რკინიგზის დეპარტამენტს მოზარდმაცურებელთა თეატრის არსებობა საერთოდ დაავინწყდა.

ბევრ კარგ საქმეს აკეთებს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, მართო განახლებული ლოკომოტივის სტადიონი რად ლირს, მაგრამ მოზარდებმა, ჩვენი ქვეყნის მომავალმა რა დაამავა? ბავშვებზე ზრუნვა აღარაა საჭირო?

რაც შეუძლია, გვეხმარება ქალაქის მერია და კულტურის სამინისტრო, მაგრამ რა ქანს, ფული არა აქვთ.


ჩვენი მაცურებელი თბილისის სკოლების მოსწავლეებია. განათლების სამინისტრომ სკოლებში ჩვენი ბილეთების გაყიდვა აკრძალა. რა ვქნათ?

თითოეული სპექტაკლის დადგმა, მოგვხსენებათ, ფანტასტიურ თანხებს უკავშირდება. არადა, სჭირდებათ ბავშვებს თე-

ატრი.

ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ენთუზიაზმით ვაკეთებთ და კვლავაც ასე გავაგრძელებთ, მაგრამ სანამდე? იმედს მაინც არ ვკარგავთ.

წელს ჩვენი თეატრიც სამოცდათხუთმეტი წლის ხდება და ბავშვების საყვარელი მწერალი ნოდარ დუმბაძეც. მაინც მჯერა, ღმერთი ისე მოაწყობს, რომ ამ ორ იუბილესაც ღირსეულად გადავიხდით, დამხმარებელიც გამოგვიჩნდება და სექტემბრის თვეში არდადეგებიდან დაბრუნებულ ბავშვებს საინტერესო პრემიერებსაც შევთავაზებთ. თუმცა, ახლანდელი რეპერტუარიც ძალიან საინტერესო გვაქვს: "ნი-თელკანიანთა ბელადი", "ბანკეტი", "ამიკო", "ვინ დაიცავს ავილუმისაგან ტყავს", მართო "საშობაო ზღაპარი" რად ლირს, ჩვენი თეატრის ბოლო ნამუშევარი - ბავშვები ალტაცებას ვერ მალავდნენ, ისე მოეწონათ ეს სპექტაკლი.



გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო-მუნიციპალურ თოჯინების თეატრში სეზონი ჯერ კიდევ არ დასურულა

ერთი თქვენი თანატოლის დღიურებში ასეთ ჩანაწერს წავაწყდით:

“20 იანვარი. კვირა. ძალიან მომინდა თოჯინების თეატრში წასვლა. მამას ვთხოვე დილით, წამიყვანე-თქო, მაგრამ, არ მცალიაო. მართლა არ სცალია. დედასაც სწორედ 12 საათზე ჰყავს მოსწავლეები დაბარებული. მე კიდევ მოვეწინააღმდეგებო!”

დროს, სკოლაში რომ გვაკითხავდა ავტობუსი და მთელი კლასი ერთად მიეყავდით სპექტაკლზე. მაშინ აბონემენტიც მქონდა, 4-ლარიანი - ოთხ სპექტაკლს მაინც ვნახულობდი სეზონზე!

გვითხე მასწავლებელს, წელს თუ დაგვირიგებენ აბონემენტებს-მეთქი და, არაო! სკოლაში ყველაფრის გაყიდვა რომ აკ-

რძალეს, ველარ გაიგეთო? ნეტავი, ვის მოუვიდა თავში ასეთი აზრი?

პირველად რომ ვიყავი თეატრში, გამახსენდა - “სამი გოჭი” ვნახე. ვარდისფერი, ფუმფულა გოჭები ახლაც თვალწინ მიდგას. სახლში რომ დავბრუნდი, ჩემს სათამაშოებს ჩავაცვი და მეც დავდგი სპექტაკლი. ეგ, როგორ შეიცვალა

ყველაფერი, რალაცნაირად ყველაფერს ხალისი დაეკარგა!”

ამ ნაღვლიანმა სტრიქონებმა აგვაფორიაქა. მივაკითხეთ მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრებს და ვიკითხეთ მათი აზრები. თურმე, ორივე თეატრს ერთი პრობლემა აწუხებს!

თეატრის დირექტორი თამარ ბაღრიანი: “1934 წლიდან მოყოლებული, რაც ეს თეატრი საქართველოს სახალხო არტისტმა, ბატონმა გიორგი მიქელაძემ დააარსა, ძნელი წარმოსადგენია ერთი ისეთი ადამიანიც კი, თბილისში რომ გაიზარდა და თოჯინების თეატრში ფეხი არ შეუდგამს.

ჩვენს თეატრს არასოდეს მოკლებია მაყურებელი, ინტერესი არც დღესდღეობით განელეზულა,

მაგრამ მაინც გავიჭირდა: მოიშალა ორგანიზებული სისტემა, რომელსაც თეატრისა და სკოლების მჭიდრო ურთიერთობა აგვარებდა. განათლების სამინისტროს სპეციალური დადგენილებით სკოლებში თოჯინების თეატრის აბონემენტების გაყიდვა აიკრძალა (კორუფციას ვებრძვიო!) და გატყდა ჩვენს შორის გადაბული ხიდი.

ახლა ასეთი შედეგი მივიღეთ: მშობლებს დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ

უმეტესობას უჭირს დროის გამოძებნა, რომ შეიღებოთ თეატრში მოიყვანოს, სკოლებში და ბაგა-ბაღებში კი, როგორც გითხარით, აკრძალული აქვთ ჩვენი ბილეთების შექმნა და დარჩნენ ბავშვები თოჯინების თეატრის გარეშე”.

თეატრის დირექტორის მონაწილე ანა სანაძე: “ბედის ირონიით, სწორედ იმ წელიწადს გადაგვიკეტეს სკოლებისკენ გზები, როცა რუსულად


ფეტვიანების ნახატებით გაფორმებული აბონემენტები გავაფრცხვანეთ და “მზიარული გათამაშება” გამოვაცხადეთ. აბონემენტის მფლობელი ავტომატურად თამაშის მონაწილე ხდებოდა.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, მაინც მოვეწყვეთ ზეიმი თამაშში გამარჯვებულ ბავშვებს: “ბასტი ბუბუსთან” ერთად უსასყიდლოდ გაემართეთ შოუ-კონცერტი და 50 პრიზიც გავათამაშეთ. ეს იყო და ეს...”

ჩვენი მკითხველები გვეტყვიან: “ბავშვებს რა ძალა გვაქვს, ეს პრობლემები დიდებმა მოაგვარეთ, ჩვენ ორივე თეატრი გვჭირდება, სპექტაკლებზე სიარული გვიყვარს

და, კეთილი ინებეთ, ამ სიახლოვენებამ იქნებ მოგვარდეთო!” მართლმაც იქნებია. ჩვენ მაინც მოგანოდეთ ორივე თეატრის ხელმძღვანელთა გულ-

სტიკივით, - პრობლემის გახმაურებამ იქნებ გამოაფხიზლოს ყველა, ვისაც ბავშვებზე ფიქრი მართებს.




ანონსი

თუ თბილისიდან არ გასულხართ, შეგიძლიათ მიხვიდეთ თეატრში, დავით აღმაშენებლის 103-ში და ნახოთ: 30 ივნისს, კვირას, დღის 12 საათზე, - 30 წლის სპექტაკლი, - ნ. გერნეტისა და ტ. გურგენიძის “ბატის ქუჩი”, დამდგმელი რეჟისორი შოთა ცუცქერიძე. ამ სპექტაკლით დაიხურება სეზონი და ამ სპექტაკლითვე გაიხსნება იგი სექტემბრის თვეში.

რევაზ ინანიშვილი
რევაზ ინანიშვილი ის მწერალია, რომელიც ყველა ასაკში უნდა იკითხო. "სად ცხოვრობს მეზღაპრე?", "შორი, თეთრი მწვერვალი", "ჩიტების გამომზამთრებელი", "მთვარის ასული" და კიდევ მრავალი წიგნი დაგვიტოვა ძია რევაზი. მან იცხოვრა ძალიან უბრალოდ, ბევრი იმუშავა, დიდი, ამოუწურავი, უკვდავი მეტყვიანობის შექმნა მოასწრო და ჩუმად, უხმაუროდ წავიდა ჩვენგან ომისა და არეულობის მძვინვარების ხანაში.

ბ ი ბ ლ



მეცხე კოსტოპოლიძის ნახატი

ბიბო პატარა ბიჭია. პატარაა, აბა, მამ რა არის, ჯერ ხუთი წლისაც არ გამზდარა! გრძელი ლამის პერანგი აცვია და ისე სძინავს. გადაიხდის საბანს და გდია საბურე კიტრით არხენად საბანგადახდილი. ძალიან კი წსყინს ხოლმე, ვინმე რომ ეტყვის, პატარა ხარო. პატარა, მე კი არა, ჩვენი რობიზონააო. რობიზონა ვილა? ბიბოს ბიძაშვილი. სულ რაღაც ცხრა თუ ათი თვით უმცროსია ბიბოზე, მაგრამ ბიბო ისე ექცევა, როგორც ნამდვილი დიდად შეუფერის. არიგებს: ასე და ასე მოიქეციო. მფარველობს კიდევ - ბიბოს შიშით ვერც ერთი ბიჭი ცუდს ვერას გაუბედავს რობიზონას. თუ მაინც გაუბედეს? მაშინ ბიბო ერთს ღრმად ჩაისუნთქავს, ლოყებს დაბერავს და ბაყბაყვევით დააბრიალებს თვალებს. ბაყბაყვევით თვალებმომბრიალე ბიჭს კი, აბა, ვინ უნდა დაუდგეს წინ!

ბიბო პატარა ბიჭია. პატარაა, აბა, მამ რა არის, ჯერ ხუთი წლისაც არ გამზდარა! გრძელი ლამის პერანგი აცვია და ისე სძინავს. გადაიხდის საბანს და გდია საბურე კიტრით არხენად საბანგადახდილი. ძალიან კი წსყინს ხოლმე, ვინმე რომ ეტყვის, პატარა ხარო. პატარა, მე კი არა, ჩვენი რობიზონააო. რობიზონა ვილა? ბიბოს ბიძაშვილი. სულ რაღაც ცხრა თუ ათი თვით უმცროსია ბიბოზე, მაგრამ ბიბო ისე ექცევა, როგორც ნამდვილი დიდად შეუფერის. არიგებს: ასე და ასე მოიქეციო. მფარველობს კიდევ - ბიბოს შიშით ვერც ერთი ბიჭი ცუდს ვერას გაუბედავს რობიზონას. თუ მაინც გაუბედეს? მაშინ ბიბო ერთს ღრმად ჩაისუნთქავს, ლოყებს დაბერავს და ბაყბაყვევით დააბრიალებს თვალებს. ბაყბაყვევით თვალებმომბრიალე ბიჭს კი, აბა, ვინ უნდა დაუდგეს წინ!

ზოგიერთ უხეიროს კი არა ჰგავს, მოსვენებას რომ არ აძლევდნ დაუდას და ბებუას. საჭმელია, ძალით უნდა ჩასწარო ამ უხეიროებს, ძილია და... დანებებიან და დაინწყებენ ჩხავილს: ზღაპარი მიაბზეთ, თორემ ისე არ დავიძინებო. ბიბო დიდებით მიუჯდება მაგიდას, თვითონვე აიფარებს ხელსაწმენდს გულზე, მარჯვენა ხელში დიდ კოვზს დაიჭერს, მარცხენაში - დიდ პურს, და დინჯად, საქმიანად შეუდგება ჭამას. კერძს რომ ვაათავებს, ახლა ჩაის მოითხოვს, ჩაისსაც წყნარად, დაგემოვნებით დაინჯებს, მოინწყენს ტუჩებს, - აგა-შენოთო, - იტყვის ნამდვილი კაცივით და ნამოდგება.

ბიბო კი დაამთქნარებს. ეს იმის ნიშანია, რომ იმასაც ეძინება. მაგრამ ისე არ დაიძინებს, ერთხელ კიდევ არ გავიდეს გარეთ და ერთხელ კიდევ არ გახედოს გზას, აბა, მამაჩემი ხომ არ მოდიხარო. მამამისი, შაქრო, შოფერია. უზარმაზარი "ზილი" დაჰყავს და ხან მთელი კვირით მისი შორს, შორს, ყიზლარში. ახლაც ყიზლარშია და მის მოლოდინში თვალი გზაზე აწყდება ბიბოს. გადგება აივანზე და შემოიყრის დოინჯს. ძირს ჩაბნელებული ივრის დიდი ჭალაა, იმ ჭალის იქით ნალშიანის გორა, იმ გორაზე კი შარავა მიიკლავება და ზედ ციციანთელეზივით მიცოცავენ მანქანები.

ლაშა. დედა საკერავ მანქანას უზის, ბებია საბანს ალინდავებს, - პრიალა ნემსით მართლაც ლინდავით სწორი ხაზები გაჰყავს საბანის ერთი კუთხიდან მეორემდე. - ხომ არაფერი გჭირდებათ!

ბიბო კი დაამთქნარებს. ეს იმის ნიშანია, რომ იმასაც ეძინება. მაგრამ ისე არ დაიძინებს, ერთხელ კიდევ არ გავიდეს გარეთ და ერთხელ კიდევ არ გახედოს გზას, აბა, მამაჩემი ხომ არ მოდიხარო. მამამისი, შაქრო, შოფერია. უზარმაზარი "ზილი" დაჰყავს და ხან მთელი კვირით მისი შორს, შორს, ყიზლარში. ახლაც ყიზლარშია და მის მოლოდინში თვალი გზაზე აწყდება ბიბოს. გადგება აივანზე და შემოიყრის დოინჯს. ძირს ჩაბნელებული ივრის დიდი ჭალაა, იმ ჭალის იქით ნალშიანის გორა, იმ გორაზე კი შარავა მიიკლავება და ზედ ციციანთელეზივით მიცოცავენ მანქანები.

რისკენ მიდიან და ბიბოს გული სწყდება. - ეპეპე! - დაადგენებს ვაჟკაცურ ძახილს, - ეპეპე! მაგრამ იქიდან კი არ ღებულობს პასუხს, მეზობელი სახლიდან გაეხმაურება ვილაც: - ეპეპე, ბიბო! ეს რობიზონაა, პატარა რობიზონა. ისიც აივანზე გამოდის და დიდი ხნის უნახავით ხელეზნეული, გახარებული ეძახის ბიბოს: - ბიბოოო! ბიბოოო! ბიბოს არ უყვარს, სხვა ვინმე რომ ერევა მის ამგვარ ოცნებებში, მაგრამ რობიზონა პატარაა, ჯერ ჭკუა არა აქვს, ამიტომ მხოლოდ კეთილი მოხუცივით ტუქსავს: - რალა დროს შენი ღვიძლია, ბიჭო, ნადა, დაწეკი ახლავე! და რობიზონას შინ შესვლას აღარ დაუცდის, თვითონ შებრუნდება შინ, დინჯად გაიხდის ტანსაცმელს, კობტად დაანწყობს ერთ ადგილას, დანებება და დაიძინებს.

ფაფარაყრილი თერგი, ეუპ! - ფაფარაყრილი თერგი! ჰაერში კიდევ ნისლებია გაიდებული. თანაც ათასი მთვრალი მოფერი დადის, ათასი ზეავია, ათასი ოხრობაა... მამა კიდევ ფიცხია, სულ ჩქარობს. ნეტავ რა ეჩქარება! როცა ნელა მიდიხარ, განა მამინ უფრო კარგად არა ჩანს ყველაფერი?! მერმის შენც წაგიყვანო. ეუპ, რა იქნება! ნეტავ მართლა მოერევა დათოკანთ ძალი ჩვენსას? ერთი კომშზე უნდა გამოვცადო ჩემი ნალდუნა, კომში მაგარიოო... ილუკმება, ილუკმება ბიბო, ფიქრობს, ფიქრობს და ჩაუძინება ასე.

გორ მუშაობს ის ამნე? თანაც... ძანლივით შემოხვევია ეს ფიქრი გულზე: მამა ჯერაც არ დაბრუნებულა ყიზლარიდან, ეეპ, მამა ჯერაც არ დაბრუნებულა ყიზლარიდან. - ბიბოს გაუმარჯოს, ბიბოს! - ესალმებიან მეზობლები. - გაგიმარჯოთ! - როგორა ხარ, კაცო, ბიბო! - გული დარდინა მატქს. - რათა, კაცო, რათა! - მამაჩემი ყიზლარშია და... - მორე, კაცო, მაგაზე რა გადარდებს. - რა ვიცი, გზაა, ათასი მთვრალი დაეხეტება, ათასი ზეავია, ათასი ოხრობა...

გათენებას ჯერ ბევრი აკლია, რომ ერთი პირობა მამინ გაიღვიძებს. დედას და ბებუას სძინავთ. ეცოდება, არ უნდა, შეანუხოს. ნევს გატვრუნილი, აპარპალებს იმ დიდრონ თვალებს და იცდის, იქნებ თავისით გაიღვიძონო, მაგრამ თავისით არ იღვიძებენ და როდემდე იქნება ასე, კაცს პური შია!

როცა ხელახლა გაიღვიძებს, უკვე ქვეყანასაც ღვიძავს. დედა კოლმეურნეობაშია წასული. ბებია მარანში აბრაზუნებს რალაცას. ვეებერთელა მზე აივინს ბოძსა და ბოძს შუა გაჩერებულია და ბიბოს ელოდება. ბიბოც გადის ფეხშიშველა, თვალების ფშვნეტი. ახლა იქით ის ვეებერთელა მზეა აივინს ბოძსა და ბოძს შუა, აქეთ - ბიბო. ერთხანს ჯიუტი ბოტეზივით ათვალთერებენ ერთმანეთს. მერე ბიბო მხარს შეაქცევს, - მე შენი აყოლა რას გამომაგდებაო, - ტანსაცმელს ჩაიცმევს ნვალბებით, ხენშით, მაგრამ გმირული სიჯიუტით. ფეხსაცმელსაც შეიკრავს და ნელ-ნელა ჩავა კიბეზე.

ბიბოც იზრდება და იზრდება. ამყად დააბიჯებს ამ დიდ, ლონიერ დედამინაზე და ჯერჯერობით, სანამ მთლად დიდი გაიზრდებოდეს, სანამ მოფერი გახდებოდეს, თავის ბავშვურ საქმეებს აგვარებს ხენშით, გმირული სიჯიუტით. თან დაჰყვება მისი მეგობარი მზეც.

გათენებას ჯერ ბევრი აკლია, რომ ერთი პირობა მამინ გაიღვიძებს. დედას და ბებუას სძინავთ. ეცოდება, არ უნდა, შეანუხოს. ნევს გატვრუნილი, აპარპალებს იმ დიდრონ თვალებს და იცდის, იქნებ თავისით გაიღვიძონო, მაგრამ თავისით არ იღვიძებენ და როდემდე იქნება ასე, კაცს პური შია!

მზე მაინც თავს არ ანებებს. მისდევს და იცინის მხიარულად. რატომ არ იქნება მხიარული, რა! აინევს ასე, აინევს და მერე არხენად ჩაგორდება ნალშიანის უკან. ბიბოს კი რამდენი საქმე უკვს მოსაგვარებელი: საქათმეში უნდა შეძერეს და ნახოს, აბა, დალო თუ არა კვერცხი ქოჩორა დედალმა. ძალი უნდა წაიყვანოს და დათოკანთ ძალს აჩხუბოს. ნალდუნაც ხომ უნდა გამოსცადოს კომშზე?! გუმინ ამნე მოიტანეს სკოლის მშენებლობაზე, დღეს მაინც არ უნდა ნახოს, რო-



გიორგი ჭიჭინაია

მსახიობსა და საბავშვო პოეტს, ბატონ გივი ჭიჭინაიას მართლაც რომ განებივრებული ჰყავდა პატარა მკითხველები: საბავშვო ჟურნალ-გაზეთები მისი ლექსებით იყო გადაჭედებული, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში მისი პიესები იდგმებოდა. ლამაზად დასურათებულ წიგნებს, კიდევ, ვინ მოთვლის: წელიწადი არ გაველიოდა, გივი ჭიჭინაიას ერთი საბავშვო წიგნი რომ არ გამოცემულიყო.

ბევრი თქვენგანის დედ-მამას ემახსოვრება თოვლის ბაბუად გადაცემული საყვარელი პოეტი და ნიჭიერი მსახიობი, თავისი სტუმრობით ნამდვილ დღესასწაულად რომ უქცევდა ხოლმე პატარა ადამიანებს ახალი წლის ზეიმს.

“ნია-ნია პანია”, “წყაროსთვალა”, “დათუნია დრუნჩა”, “თავგმა კატა დაიჭირა”, “ვინ დახატავს ცხრათვალა მზეს?”, “ყველაზე ლამაზი”, “რა ახარებთ პინგვინებს”, “ოქროყანა - მზისყანა”... - ეს გახლავთ არასრული სია მისი წიგნებისა, რომელთა ნაკითხვის ბედნიერება წინ გელოთ.

აი, როგორი ლექსებია დაბეჭდილი ამ წიგნებში:

სულელი ჭილყავი

ყოველდღე ეკითხებოდა ჭილყავს პატარა ჭილყავი: - დედი, თეთრ კვერცხში რომ ვიჯექ, იქაც ჭილყავი ვიყავი?

- ჭილყავი იყავ, ჭილყავი! - კარგი, დამლაღე სამინლაღ... - დედი, ჭილყავი ვიქნები, რომ გავიზრდები, მაშინაც?

დედამ იფიქრა: “ეს ბრიყვი ბოლოს მომიღებს კითხვებით” და ასე უთხრა: - დამშვიდდი, მაშინ ბულბული იქნები!



იმ დღის მერე

იმ დღის მერე, რაც სოფელში მარიკელა ჩამობრძანდა, უფრო მეტად გავხალისდი, მომემატა ჭამის მადა. თედო პაპას ველარ იცნობთ, დიდ-პატარას გულით გვლოცავს. აქეთ-იქით დაცუხცუხებს,

ალარა აქვს ნუთით მოცლა. ჩამოგვივლის უბნის ბიჭებს: - აბა, ვანო, აბა, ბესო, არაფერი მიწყენინოთ მარიკელა ქალაქელსო. - იმ დღის მერე ნინო ბებოც ძველებურად როდი ოხრავს, ასე ამბობს: - გეფიცებით, მეტს ინველის ჩემი ძროხა! -

ის კი არა, იმ დღის მერე, ალარ გვიყვებს ცელქი ცუგაც, მასაც მოსწონს მარიკელა, სულ ნკმუტუნით დასდევს უკან. თითქოს ფერი მოემატა ჩვენი სოფლის მინდვრებს, სერებს. რაც მარიკა ჩამობრძანდა, სხვა ბიჭი ვარ იმ დღის მერე...

ნოდარ დუბაძე

ვაი დედასა!

ტყეში გაისმა კიკინი, შეიძრა მთები სურების, კუჭგამომხმარმა ტურებმა გამოიფხიკეს ყურები.

სოროებიდან გამოძვრნენ, აუბაგუნდათ გულები, გაიხედ-გამოიხედეს, დაზვერეს გზები ურები.

უცებ ნაანყდნენ ბეკეკას, დრო ალარ იყო ყურების, თონეში ცეცხლი ჩაანთეს, დააცხვეს დედას პურები.

მოიპატიჟეს სტუმრები, მოხადეს სავსე ჭურები. ვაი დედასა! სად იყვნენ ბროლიები და მურები!



სტილი: ნოდარ დუბაძე

იცნობდით - ირაკლი კახაძე



ირაკლი კახაძე ცამეტი წლისაა. სწავლობს თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მერვე კლასში. ფლობს ფრანგულ და რუსულ ენებს. ორი წლის იყო, პირველად რომ აიღო ხელში კალამი და, იქიდან მოყოლებული, ხატავს და წერს.

ორი წლის და ექვსი თვის იყო, როდესაც მამა დააფიქრა მისმა ნამუშევრებმა და ბავშვთა ნახატების გალერეაში (დირექტორი ავთო კუხიანიძე) მიიტანა კონსულტაციისათვის. ბატონმა ავთომ აღნიშნა: ბავშვი მხატვრად არის დაბადებული, მისი ყველა ეკლესია სუნთქავსო. ისე, გახსოვდეთ, ბავშვები პოპულარობას ვერ უძლებენ, გამოფენაში მონაწილეობა არ მიაღებინოთო. კარგი იქნება, ფერშიც სცადოს ხატვაო (გულის საღებავებით). თუ შედეგად, ნულარ აწვალვით და მხოლოდ გრაფიკაში იმუშაოსო. შემდეგ, როცა ფერში ნამუშევრები ნახა, მოულოცა მამამისს - ბავშვს ფერის აბსოლუტური აღქმა აქვსო.

პირველ კლასში სამი სამაგდო ნიგნი ჰქონდა: ბიბლია, ვეფხისტყაოსანი და ვაჟას პოემები. ყოველდღე სამივე წიგნიდან კითხულობდა დიდ მონაკეთებს. ამის შემდეგ დაინიშნა ბიბლიურ თემაზე ნახატების შესრულება.

30 წუთამდე ანდომებდა (ფერში). აქ სამი დღის განმავლობაში 4-4 საათს მუშაობდა. ფაკულტეტის დეკანი (ეკა ბალიშვილი) გაოცდა, მსგავსი რამ სასულიერო აკადემიის არსებობის მანძილზე არ მომხდარაო.

თავიდანვე უყვარდა ბერძნული მითოლოგია. ეგონა, რომ მედეამ დახოცა თავისი შვილები. ერთ ჟურნალში ამოიკითხა, ევრიპიდემ მითი შეცვალაო და მაშინვე წერას შეუდგა. გააკეთა 8-გვერდიანი ზღაპარი. ამ დროს ხმა გაუფრცხვლეს, "ზღაპრად გარდათქმული ვეფხისტყაოსანი" ბავშვის დაწერილი არ არისო. ირაკლი გაბრაზდა, აბა თუ არ ვიცი წერაო და 8-გვერდიანი "მედეა" 15 გვერდამდე გაზარდა. ამის შემდეგ ალაპარაკებდნენ, მხოლოდ სხვის ნაწარმოებებს თუ გადააკეთებსო და მაშინვე "გზავნავდნენ" მოაყლოა, საოდაც აღწერა მთელი ისტორია ერეკლე II-დან მოყოლებული, როგორ მოვედით დღემდე და რა გადაარჩენს საქართველოსო.

ყველაზე მეტად ირაკლის ფეხბურთი უყვარს, ძალიან კარგადაც თამაშობს და ოცნებობს, გახდეს პროფესიონალი ფეხბურთელი და ითამაშოს "ბარსელონაში". ფეხბურთზე ვერ დადის (ოჯახს მატერიალური პრობლემა აქვს).

თულ ფსევებს მოწყდება, ვერაფრის შექმნას ვეღარ შეძლებს.

რასაც ადვილად აკეთებს, აღარ აინტერესებს. ძნელი საქმე შეუძლია დიდხანს აკეთოს. დონკიხოტის პორტრეტი არ გამოსდიოდა და 20 ნახატი გააკეთა. მაინც არ მოეშვა და 21-ე გამოუვიდა.

როდესაც ბავშვები ფეხბურთის სათამაშოდ ეძახიან, შეუძლია საღებავში დასველებული ფუნჯი ნახატს აღარ შეახოს, დააგდოს მაგიდაზე და სათამაშოდ გაიქცეს. ნახევარ საათში ისე იღლება ხატვისგან, რომ ფუნჯების გარეცხვის თავი აღარ აქვს. თუ რამეს აკეთებს, შეუძლია ყურადღების ისეთი კონცენტრაცია, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს. ერთადერთი არის ფეხბურთი, რამაც შეიძლება ასეთ დროს გამოაფხიზლოს.

ნახატს სახელს არ არქმევს. თვლის, თუ ნახატს წარწერა დასჭირდა, ე.ი. არ ვარგა.

მის ყველა მონასმში მისდა უნებურად რაღაც ფიგურა იხატება.

არ აქვს საყვარელი ფერი. ყველა ფერი მოსწონს მისთვის საჭირო ადგილას.

სუფთა ქაღალდზე იმდენად კარგად ხედავს მომავალ ნახატს, რომ ფაქტობრივად მისი აგება

- 1995 წელს მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა ბავშვთა ნახატების ეროვნულ გალერეაში. ამ დროისათვის ირაკლის უკვე შესრულებული ჰქონდა 4000-ზე მეტი ნამუშევარი (გამოფენა მოაწყო ავთო კუხიანიძე, სპორტსმენმა, მთარგმნელმა, გალერეის დირექტორმა);

- 1999 წელს მიწვეული იყო საფრანგეთში პერსონალური გამოფენით; თბილისის სასულიერო აკადემიაში ხატვის ტექნიკისა და კანონიკის დაცვით შესრულა წმიდა ლეონტი მობლის ხატი; დაიმსახურა მთავარი პრიზი კონკურსში, სადაც მონაწილეებმა ადგილებზე შეასრულეს ნახატები;

- 2000 წელს მოაწყო 4 პერსონალური გამოფენა: აშშ საელჩოში, თბილისის მერიამი, იტალიის კულტურის ცენტრში და ინფორმატიკის რესპუბლიკურ ლაბორატორიაში; წიგნად გამოიცა მის მიერ დასურათებული და ზღაპრად გარდაქმნილი შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი";

- 2001 წელს ზღაპრად გარდაქმნილი "ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემისთვის შესასრულა ნიგნის დიზაინი და ახალი ილუსტრაციები; წიგნად გამოიცა ზღაპარი "კოლხი მედეა", სადაც თვითონ არის ტექ-



შიდი წლისამ მონაწილეობა მიიღო კონკურსში "ტაძარი და ბუნება". მისი ნახატი ილია II-ს იმდენად მოეწონა, რომ კონკურსის დამთავრების შემდეგ, კიბეზე გასული უკან შემობრუნდა და ირაკლის ნახატთან კიდევ ერთხელ მივიდა. ეს ნახატი დღესაც საპატრიარქოში ინახება. ათი წლის იყო, სასულიერო აკადემიაში ხატვის შესასწავლად რომ მიიყვანეს. რვა თვის მეცადინეობის შემდეგ შეასრულა წმიდა ლეონტი მობლის ხატი. ითხოვა, ხის დაფა მომეცითო, მაგრამ პედაგოგმა აუხსნა: პირველად, გამოჩენილ მხატვრებსაც არ გამოსდით და გული დაგწყდებოდა, სჯობს, მუყაოზე გააკეთოთ. ირაკლი ნახატს 15-დან

სამხატვრო სკოლაშიც არ დადის. იქ ყოველდღე 4 საათს ხატავდნენ!

7 წლიდან მოყოლებული, სულ ესმის, ბავშვს ასეთი ნახატების შესრულება არ შეუძლიაო. 11 წლისამ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ისეთ კონკურსში, სადაც ნახატების ადგილზევე შესრულება იყო სავალდებულო.

გულის საღებავებით ხატავს ზეთის ტექნიკით და ილუსტრაციები ზეთის საღებავით შესრულებული ჰგონიაო.

11 წლისა მიწვეული იყო საფრანგეთში თანამედროვე მხატვრობის შესასწავლად. უარი განაცხადა წასვლაზე, რადგან თვლის, რომ თუ ქარ-

არ სჭირდება.

დაძინების დროს უნდებოდა ხატვა. თან ცალი თვლით ფილმს უყურებდა. ფერწერების დიდი ნაწილი ასე აქვს შესრულებული.

ბავშვობაში მულტფილმები არ უყვარდა. მხატვრულ ფილმებს უყურებდა. ძირითადად ომბზე. 6 წლიდან დაინიშნა მულტფილმების ყურება და დღემდე ძალიან უყვარს.

თუ ხატვის სურვილმა წამოუარა და მაშინვე არ დახატა, შეიძლება, ცუდად გახდეს. ძალიან უკვირს, სამხატვრო სკოლაში როგორ მუშაობენ ბავშვები. თუ გრაფიკის გაკვეთილია და ფერწერის კეთება მოუნდათ, როგორ შეუძლიათ ასეთ დროს თავის შეკავებაო.

სტის, ილუსტრაციების და წიგნის დიზაინის ავტორი. ნაწარმოებებით დაინტერესდა თბილისის პანტომიმისა და თოჯინების სახელმწიფო თეატრები და მალე მაყურებელი იხილავს "კოლხი მედეას" ირაკლისეული ვარიანტის ინსცენირებას; იტალიის კულტურის ცენტრში მიიღო მონაწილეობა პროფესიონალ მხატვართა ერთობლივ გამოფენაში;

დამატებითი ინფორმაცია:
- არის საქართველოს პრეზიდენტის 1999-2000 წწ. სტიპენდიანტი;

- საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა გადაიღო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ირაკლიზე - "მხატვრის სახელისწილი".

აქვე ვებჭდავთ და შეგიძლიათ იხილოთ ირაკლის რამდენიმე ილუსტრაცია თავისი წიგნებისათვის. ისიც გასინჯეთ, როგორ წერს პატარა მწერალი:

ფრაგმენტები ირაკლი კახაძის ზღაპრიდან "გზატყვარედინი":

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. მისი სამეფო ქვეყნიერების მთავარ გზატყვარედინზე მდებარეობდა. გზათა შესაყარზე ქალაქი იყო გაშენებული, მაღალი გალავნით და ოთხი კარიბჭით. ყველა გზა ქალაქის ცენტრში, ერთ პატარა ქარის ნისქვილთან იკრიბებოდა, რომლის სხვერშიც დიდყურა ქონდრისკაცი ცხოვრობდა.

დრო გადიოდა. პატარა ქარის ნისქვილს მრავალმა ქარავანმა ჩაუარა. ქვეყანა მდიდრდებოდა და შენდებოდა. მცირერიცხოვანი, მაგრამ უძლეველი ჯარი ერთგულად ემსახურებოდა მეფეს. გამუდმებული შემოსევები ქვეყანას ვერაფერს აკლებდა, ვიდრე ვერაგი და დაუნდობელი სულთანნი არ გამოჩნდა, რომელსაც მთელი ქვეყნიერების დაპყრობა განეზრახა.

კეთილი მეფე საგონებელში ჩავარდა. ბევრი ფიქრის შემდეგ სასახლის ბაღში განმარტოვდა და ვარსკვლავთმრიცხველის მოყვანა ბრძანა, რომლის სიტყვებშიც ეჭვი არასდროს ეპარებოდა. მსახურმა ჩირაღდანი აიღო და კომპის ბნელ კიბეს აუყვა.

მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი თეთრნეჭრა ვარსკვლავთმრიცხველი სასახლის ყველაზე მაღალ კომპში ცხოვრობდა. მისი საქციელი ყველას აკვირებდა. ცაში ყურების ნაცვლად სულ მინას დასწერებოდა, შებინდები-

სას კი სადღაც გაუჩინარდებოდა და მხოლოდ გამთენიისას ბრუნდებოდა. ვარსკვლავთმრიცხველი კომპის კიბეებზე დაეშვა. სასახლის ბაღს მიახლოებულმა მეფეს თავი ვანი სცა. უზარმაზარი ჯოხი ცისკენ აღმართა და მტრის მოახლოება ინიხანსწამებდა.

მეფემ სოფლის მოსახლეობა მთებში გახიზნა, ჯარს სათავეში ჩაუდგა და მტრის შესახვედრად გაემართა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გამოჩნდა ცეცხლის ალში გახვეული სოფლები და მტრის უთვალავი მეომარი.

მეფე შემალვებულ ადგილზე დაბანაკდა და ლოცვა დაიწყო. ბრძოლის ველს მთავრის მკრთალი შუქი ანათებდა. საზარელ სიჩუმეს მხოლოდ გუმბათა გადაძახილის ხმა არღვევდა. მუხლმოყრილი მეფე მთელი ღამე ლოცულობდა. გამთენიისას, ბუკის ხმაზე წამოშლილი მებრძოლები სასნაულის მონმენი გახდნენ. ზეცაში ჯვარცმული მაცხოვარი გამოისახა, მაგრამ მტერი ვერც ამან შეაჩერა.

ოში შვის პირველი სხივის გამოჩენისთანავე დაიწყო. ბრძოლის ველი დაჭრილებით მოიფინა. ყველგან კენესა და საომარი ყიფინა ისმოდა. მეფის მებრძოლები მტერს უმოწყალოდ ანადგურებდნენ. სულთანს ჯარი გაუნახევრდა. სიმწრისაგან გონებაარეულმა გზატყვარედინს თავი ანება და უკან გაბრუნდა.

ფრაგმენტები ირაკლი კახაძის ზღაპრიდან "კოლხი მედეა":

მაღე დედოფალს გოგო შეეძინა. სახელად მედეა დაარქვეს. ბავშვის აღზრდა მის მამიდას, ჯადოქარ კირკეს სთხოვეს და თავისი კუნძულიდან კოლხეთში ჩამოიყვანეს.

კირკემ და მედეამ სასახლის უკან მდებარე სპილენძისქონგურებიან კომპში დაიდეს ბინა. ბავშვი მშვიდი ხასიათის აღმოჩნდა. შვიდი წლისა გონიერებით და სილამაზით ყველასგან გამოირჩეოდა. მამიდას ყოველ ღამე აპყავდა კომპის სახურავზე და ჯადოქრობას ასწავლიდა. ცხრა წლისას უკვე შეეძლო მთავრისთვის ფერი ეცვალა, ზღვაზე ქარიშხალი გამოეწვია, დღე დაეღამებინა და ღამე გაეთენებინა. მის თვალს არ გამოეპარებოდა ის, რაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ხდებოდა. თორმეტი წლის მედეა უკვე მამის გვერდით იჯდა და საქვეყნო საქმეების გადანყვებში ეხმარებოდა. მტრის მოახლოებას პირველი ის გრძნობდა და აიეტს ატყობინებდა. კოლხები მტერს მომზადებული ხვდებოდნენ და ადვილად აპარცხებდნენ.

დრო გადიოდა. აიეტის შიშით კოლხეთს მტრობას ვერავინ უბედვდა.

როდესაც მედეა წამოიზარდა, ქვეყნის ქალღმერთ ჰეკატეს ტაძრის ქურუმში გახდა. შეღამებისას მიდიოდა ტაძარში და დილაამდე იქ რჩებოდა. ქალღმერთმა ქურუმთანავე მხოლოდ

ოქროს ქვიშას გადმობერტყავდნენ და მეორე დღეს ტყავი მზად იყო ოქროს შესაგროვებლად. დროთა განმავლობაში ოქროს მტვრით დაფარული ტყავი გამოუსადეგარი ხდებოდა და სასახლის შესამკობად იყენებდნენ.

მდინარეს მიახლოებულ მეფეს თვალს ჭრიდა დახვევებული ოქროს ბრწყინვალება. მსახურები და მონები მუხლმოყრილი ელოდნენ აიეტის ეტილიდან ჩამობრძანებას. მეფე კმაყოფილი გადახედვდა ოქროს გროვას და ზღვისკენ გაუყვებოდა გზას.

აიეტის ცხენები ქარზე სწრაფად მიქროდნენ ოქროს კენჭებით მოფენილ ნაპირზე. მალე გამოჩნდა ზღვაში გაშენებული ქალაქი დიოსი. ნაპირიდან ქალაქამდე ვინრო გზა მიდიოდა. მეფის შესახვედრად გამოსულმა დიდებულებმა თავი სცეს აიეტს და ყველანი ერთად პორტისაკენ გაემართნენ, სადაც ცხოველთა საეაჭრო გემში იდგა. ვაჭრები გაკვირვებულნი უყურებდნენ კოლხთა სამხედრო გემების სიმრავლეს. აიეტის ფლოტის ძლიერება საქვეყნოდ იყო ცნობილი. მეფე მშვიდად ადევნებდა თვალს მეზღვაურთა წვრთნას, რომელთაც აფსირტე ედგა სათავეში. იქვე, შორიახლოს, ბავშვები ოქროს კენჭებით თამაშობდნენ. უცხოელ ვაჭრებს თვალს ჭრიდა ოქროს სიკაშკაშე, მაგრამ აიეტის შიშით ნაპირზე გადმოსვლას ვერ ბედავდნენ. რა იცოდნენ, რომ ეს ჩვეულებრივი ზღვის კენჭები იყო, რომლებსაც ვარშემო ოქროს ქვიშა ჰქონდა შემოკრული.

ფრაგმენტი ირაკლი კახაძის მიერ ზღაპრად გარდაქმნილი რუსთაველის პოემიდან "ვეფხისტყაოსანი":

ვეფხვის ტყავზე დასხდნენ და უცნობმა თხრობა დაიწყო. რომ სახელად ავთანდილი ჰქვია და არაბთა მეფე როსტევისი გაზრდილია. სამართლიან და მონყალე მეფეს ღმერთი მფარველობას არ აკლებს. მეომარი მრავალი ჰყავს და თვითონაც შეუდარებელი მეომარია. როსტევისს ძე არ ჰყავს. ღმერთმა მხოლოდ ასული, ჭკვიანი და მუსკავით ლამაზი თინათინი უბოძა.

ერთ დღეს მეფემ ვეზირები დაიბარა და თინათინის გამეფება ბრძანა. ვეზირებმა ძლიერ გაიხარეს. თინათინს მეფობა რომ შეეძლო, ეს უთქვენოდაც ხშირად გვითქვამს, ქალი და კაცი ხომ ორივე ღვთის განწილიაო, - უპასუხეს. მეფეს დიდად ეამა ვეზირთა თათბირი და თინათინი ტახტზე დასვა. თინათინმა უამრავი საბოძვარი გასცა. თვითონაც ხარობდა და სხვასაც ახარებდა. ყველაზე მეტად მე მახარებდა თინათინის გამეფება. თინათინი დიდი ხანია მიყვარდა და ახლა მას უფრო ხშირად ვნახავდი.

ბუკსა ჰქრეს და მოვიდა ურიცხვი ლაშქარი თინათინის თავყვანსაცემად. როსტევისმა შვიდი დალოცა და დაროცა: დიღს და პატარას ყველა შენიე, ღმერთისთვის ყველა ერთია, რასაც გასცემ, იგივე დაგიბრუნდება, ამიტომ ბევრი სიკეთის მქმნელს ღმერთიც სიკეთეში გამყოფებს.



... გამარჯვებით გახარებულმა მეფემ ტახტი კანონიერ მემკვიდრეს გადაულოცა, გადაძალადული განძი ხალხს გაუნანილა და მშვიდ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ხალხმა არ დაივიწყა გონიერი მოხუცი და მრავალი წელი ადიდებდა მის სახელს. ადამიანები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ხილული ბერდება და კვდება, მხოლოდ უხილავია მარადიული. გზატყვარედინზე ოთხი ისარი ისევ ქვეყნის ოთხ მხარეს მიუთითებს, მეხუთე კი ცისკენ არის მიმართული. დროდადრო პატარა ქარის ნისქვილის თავზე ზეცა იხსნება და ადამიანისათვის საოცნებო ედემის ბაღი მოსჩანს. ამით უფალი გვაფრთხილებს, რომ ცოდვის ჩამდენი აუცილებლად დაისჯება.

ის გამოარჩია. ასწავლა მცენარეთაგან ჯადოსნური წამლების დამზადება და უბრძანა, მიღებული ცოდნა საიდუმლოდ შეენახა. ჯადოსნურ წამალთაგან უპირველესი იყო პრომეთეს სისხლზე ამოსული მენამური ფერის ყვავილისგან დამზადებული მალაიმი. მის მფლობელს ვერც მახვილი გაკვეთდა და ვერც ცეცხლი დასწავდა.

კოლხეთის მდინარეები მნახველს აოცებდა ოქროს სიმრავლით. იქვე მცხოვრები მონები ყოველ დღით გამოიტანდნენ ცხვრის ტყავებს და წყალში ჩაუშვებდნენ. საღამოს ამოიღებდნენ და მინდორში ფენდნენ გასაშრობად. ჩამავალი მზის სხივები ტყავზე ისე ირეკლებოდა, რომ ადამიანს მინდორი ოქროსი ეგონებოდა. გამშრლი ტყავებიდან

ელგუჯა ხინთიბიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: "რუსთაველის ენა ყველა მის კომენტატორზე და გარდამთქმელზე ბევრად უფრო დიდი და მიმზიდველია. ამიტომ, სჯობს, ყველამ წაიკითხოს რუსთაველი, ვიდრე, ვინმეს მიერ (თუგინდ, ჩემს მიერ) კომენტირებული "ვეფხისტყაოსანი". მაგრამ აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ირაკლი ბავშვია. მან თავისებურად და საინტერესოდ დაინახა ბევრი რამ და თანატოლებს თავიანთ ენაზე ელაპარაკება. ვფიქრობ, ამ ნამუშევრის მიზოდება ბავშვებისა და მოზარდების ფართო ფენებისათვის აუცილებელია..."

მინ ბუღაძე - მხატვარი: "ირაკლის ნახატები და ილუსტრაციები, თავისი ექსპრესიით და მხატვრული ტემპერამენტით, თავისუფალი, უშუალო ინტერპრეტაციის პათოსით, უდაოდ უნიკალური მოვლენაა "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრირების ისტორიაში".


3. კოტორი

როგორ დავიწყო ბაბუამ სკოლაში სიარული

დიდი ხნის წინათ, გერმანიაში, მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ისინი დღე-ღამე ასწორებდნენ, დაუღალავად შრომობდნენ, მაგრამ სიღარიბისაგან თავის დაღწევას მაინც ვერ ახერხებდნენ.

ერთ დღეს ბაბუამ უთხრა ცოლს: ჩვენი საშუალო იმიტომ არისა ჩანს, წერა-კითხვა რომ არ ვიცითო. ხომ ხედავ, ჩვენს დროში ის ცხოვრობს კარგად, ვინც წასწავლი და განათლებულიაო. მოდი, ერთი, მეც ვივლი სკოლაში, წერა-კითხვას ვისწავლი და ჩვენი ცხოვრებაც უკეთესად წავაო!

- მე არ ვიცი, თუ ასე გინდა, იარე სკოლაშიო, - დაეთანხმა ცოლი. ადგა ბაბუა, უკანასკნელი გრომებით ნივთებისა თვის ჩანთა



იყიდა, გადაიკიდა მხარზე და გაუდგა გზას სკოლისაკენ.

სკოლის მასწავლებელს ძალიან გაუკვირდა: რას ამბობ, ბაბუ, რა დროს შეინათლებააო, მაგრამ მოხუცი ისე გაჯირა ფერი მოუხერხა, შეეცანა

კლასში და პატარა მოსწავლეებს მიუსვია მერხზე. იმ დღეს ყურადღებით მოისმინა ბაბუამ გაკვეთილი და როცა სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, დახეულობდა: გზაზე დაგდებულ იქნა ოქროთი პირამდე სავსე ქისა იპოვა!

გახარებულმა მოხუცმა ქისას თავის ჩანთაში უკრა თავი და ფაცხა-ფუცხით გაიქცა სახლისაკენ, რათა სასიხარულო ამბავი ცოლისთვის საჩქაროდ მიეტანა: "აი, დედაკაცო, რა სიკეთე მოაქვს სკოლაში სიარულსო!"

"ო, რა ბედნიერებაა, მგონი

სიბერეში მაინც ეღირსა დასვენება ჩემს ხელეხსო", - გაუხარდა ბებუას.

მეორე დღით, ჯერ მამალსაც არ ეცვილა, მოხუცებს ქისის კარებზე რომ დაუკაკუნეს. თურმე ის ოქროთი სავსე ქისა მდიდარ და ძუნწ ვაჭარს დაჰკარგოდა. გამწარებული ვაჭარი აქეთ-იქით აწყდებოდა და ყველას ეკითხებოდა, ჩემი ქისა ხომ არ გინახავთო.

ბაბუას თავის სიცოცხლეში ტყუილი არ ეთქვა და ახლაც გულმართლად გაუხილა ვაჭარს, შენი ქისა მე ვიპოვეო!

- როგორ? სად? როდის იპოვ-

ნე? ოქროები ისევე ქისაში დევსო?!

- სულს ვერ ითქვამდა გახარებული ვაჭარი.

- სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, გზაზე დაგდებული ვიპოვეო!

- უპასუხა ბაბუამ.

- ოჰ, მე ჩერჩეტო ბებერო, რას მასულელებ, ტყუილად დამაკარგვინე ამდენი დრო! შენ რომ სკოლაში დადიოდი, მაშინ მე დაბადებულიც კი არ ვიყავიო! - მიამხა გაცეცხლებულმა ვაჭარმა და უკან მოუხედავად გაეხარა თავისი ქისის საძებნელად.

ასე დარჩა ლარიბ ცოლ-ქმარს ოქროთი გაუფუჭი ქისა. გამოიზოგეს ის ფული და დარჩენილი სიცოცხლე სიმდიდრე-ფუფუნებაში გალიეს.

გერმანულიდან თარგმნა დალი ბუჩუკურმა



სახელოვან ადამიანთა უცნაური თავბადასავლები

გამომგონებელი

ცნობილ ამერიკელ გამომგონებელთან, თომას ალვა ედისონთან მისულ სტუმრებს ძალიან უკვირდათ, რომ მისი ბაღის ჭიშკარი მძიმედ და გაჭირვებით იღებოდა.

ბოლოს, ერთმა მეგობარმა ევლარ მოითმინა და შენიშვნა მისცა:

- ტექნიკის დარგში შენისთანა გენიოსს უკეთესი ჭიშკარი უნდა გაეკეთებინა, უფრო ადვილად რომ მოძრაობდეს!

- რას ერჩი, შესანიშნავადაა მოწყობილი, - მიუგო ლიმილი მეცნიერმა, - ჭიშკარს საქაჩი აქვს

მიბმული და ყოველი აქ შემომსვლელი ავტომატურად ოც ლიტრ წყალს ქაჩავს ჩემს რეზერვუარში!

შეგონება

ერთ საზოგადოებაში ახალგაზრდა ქალმა გამოჩენილ ინგლისელ მწერალს, დრამატურგსა და პუბლიცისტს ჯორჯ ბერნარდ შოუს თავი მოაბეზრა შეკითხვებით.

- მაინც, რატომ აქვს ადამიანს ორი ყური და ერთი ენა? - არ ეშვებოდა ქალი.

- იმიტომ, რომ ბევრი ვისმინოთ და ნაკლები ვილაპარაკოთ, - მიუგო მწერალმა.

მოკლედ და გასაგებად

ერთმა ავსტრიელმა კინოკრიტიკოსმა ამერიკული ფილმი "დოქტორ დესმონდის მეცამეტე მსხვერპლი" რომ ნახა, ერთნიშნადადებიანი რეცენზია გაავრცელა "დეილი ექსპრესის" რედაქციაში: "მეთოთხმეტე მე ვიყავი!"

ნორჩი მკითხველი

მეზღაპრე იაკო გრიშთან პატარა გოგონა მივიდა და ჰკითხა:

- შენ ხარ ბატონი გრიში,

ჭკვიანი თერძის ზღაპარი რომ დანერა?

- დიახ, პატარავ, მე და ჩემმა

ძმა ვილჰელმმა დავნერეთ ეს ზღაპარი.

- მაშინ გამომართვი სამი გრომი. მართალია, ზღაპრის ბოლოს წერია: "ვინც ამ ამბავს არ დაიჯერებს, ერთ ტალერს გადაიხდისო", მაგრამ დანარჩენი ფული ყულაბაში მაქვს და მევე მოგიტან.

რატომ ვარ ცოცხალი?

როდესაც გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი ბერლინში ერთ-ერთი უფრანლის რედაქტორი იყო, რომელიც ავტორისაგან ლექსი მიიღო. ლექსს ასეთი სათაური

ჰქონდა: "რატომ ვარ ცოცხალი?" რამდენიმე დღის შემდეგ ლესინგმა ავტორს ლექსი უკან გაუზავა და თან მისწერა: "ცოცხალი იმიტომ ხართ, რომ ეს ლექსი პირადად არ მოგიტანიათ!"

დიდბუნებუვიანი

დიდი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ შილერი, პატარაობისას, ერთ სადღესასწაულო სუფრაზე მთლად ახალი ტანსაცმლით გამოცხადდა, და ფეხსაცმელი ეცვა ძველი. ძალიან კი მოუნდომებინა და გაეპრიანებინა, მაგრამ დედამ მაინც შეამჩნია და უსაყვედურა:

- რატომ ფეხსაცმელიც ახალი არ ჩაიცვი?

- ახალი ფეხსაცმელი ერთ ჩემს ამხანაგს ვაჩუქე.

- რატომ, მაინცდამაინც, ახალი?

- აბა, ძველი ხომ თვითონაც ჰქონდა? - გაუკვირა ფრიდრიხს.

სასამართლო პროცესზე

ცნობილი გერმანელი კომიკოსი კარლ ვალენტინი სასამართლოში მოწმედ გამოდიოდა.

- ბატონო ვალენტინ, სასამართლოს უნდა მოახსენოთ მხოლოდ საკუთარი თვალით ნანახი და არა სხვისგან გადმოცემული ამბები, - განუმარტა მოსამართლემ.

მოწმემ თავი დაუქნია.

- მამ ასე, როდის დაიბადეთ?

- ეს ამბავი მხოლოდ მშობლების გადმოცემით ვიცი, ბატონო მოსამართლე, - უპასუხა კომიკოსმა.



ნახაზი ლაპინინის მიერ

ანა-კატარინა ვისტლი

დედა, მამა, დიდედა და რვა ბავშვი ტყეში

ფრაგმენტები წიგნიდან

ანა-კატარინა ვისტლი ნორვეგიელი მწერალია. მამამისი მის წიგნებს მსოფლიოს ყველა კუთხის ბავშვები კითხულობენ დიდი ბატონობით. ყველას აინტერესებს იმ მომენტის საშუალოდ და უცნაურ კაღალთან, "სამოქმედო მიმართა" ერთად. თუ ამ დაბეჭდილი ფრაგმენტებით დაინტერესდებით, მოიკითხეთ და იკითხეთ ეს წიგნები:

"დედა, მამა, დიდედა და რვა ბავშვი ტყეში", "დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა", რომელიც ქართულ ენაზე ქალბატონმა ლია გომიშვილმა გადმოთარგმნა.

ოცნებები

დიდედა გაზეთს კითხულობდა. გაზეთში ეწერა, ალდგომამდე ორი კვირა დადგინდა, ესე იგი, მოსწავლეთა საგანგებო არდადეგებაზე ამდენი დრო იყო დარჩენილი. ორი კვირის შემდეგ კი ნორვეგიელები, დიდი თუ პატარა, ზურგჩანთებს მოიკიდებენ, თხილაპურებს მოამზადებენ და მთებში წაივლიან.

ამიტომ გაზეთების ფურცლები აჭრელებული იყო რეკლამებით.

"დრო იზრუნოთ მთებში სააღდგომო მოგზაურობისათვის", - მოუწოდებდა ერთი გაზეთი. "ნეს-რიგში გაქვთ თუ არა სათხილაპური კოსტიუმები?" - კითხულობდა მეორე. "არაფერი შეეძრება მთის პაერს განაფხულზე", - აცხადებდა მესამე. "მთებში გამოჯანმრთლებდებით და მოლონიერდებით", - წერდა მეოთხე.

- აპაპ, რამდენი კარგი რამის შექმნა შეიძლება ერთბაშად, - ამოიხრა დიდედამ. - ეს მთის ჰაერი, ჯანმრთელობა, ძალ-ღონეო... დიდედა ჩაფიქრდა, ის დრო ახსენდებოდა, მეფურე რომ იყო.

... ყოველ განაფხულზე ძროხებს მთის საძოვრებზე მიერეკებოდნენ და შემოდგომამდე იქ რჩებოდნენ. მაგრამ მთაში მამის ადი-

ონდენ, როცა ბალახი აბინდებოდა. ოპ, რა სილამაზე იყო მთებში! მთების გახსენებაზე დიდედას გაეღიმა კიდეც, ისეთი მსუბუქი, გამჭვირვალე პაერი არსად არისო. და უცებ დიდედამ გაკვირვებით გაიფიქრა, მთებში ზაფხულობით ავიდოდი ხოლმე, ზამთარში კი ერთხელაც არ ვყოფილვარ, ალბათ, არც თოვლით დაფარული მწვერვალები და ხეობები იქნება იმაზე ნაკლებად ლამაზი სანახაურო.

- ნეტავი, ხომ არ გავგიჟდი? - ხმამაღლა იკითხა დიდედამ. - ფიქრებში გავერთე, ვითომ ალდგომის მთებში წასვლას ვაპირებდი. მეგონი მთლად შევიშალე ქუიდან.

მაგრამ რამდენი არ ელაპარაკა თავის თავს, დატუქსა კიდეც, მაინც არაფერმა გაჭრა. სულ უფრო მეტად უნდოდა დათოვლილი მშობლიური მთების ნახვა.

- ფუჭი ოცნებებია, - კვლავ ჩაილაპარაკა დიდედამ.

- დიდედა, ვის ელაპარაკები? - ჰკითხა მადსმა. იგი სამზარეულოში გაკვეთილებს ამზადებდა, კარი ღია იყო და ყველაფერი ესმოდა, რასაც დიდედა ლაპარაკობდა.

მაგრამ დიდედამ სწრაფად დახუჭა თვალები და თავი მოიმჩინა, ხერხივაც კი ამოუშვა, იქნებ ასე უფრო ვერ გაიგონოს, რაზე

ვფიქრობო.

დედა პატარებს აძინებდა; უფროსები კი მამასთან ერთად ფარულში მუშაობდნენ. მადსი მარტო იყო სამზარეულოში. ფეხაკრეფით მიიპარა დიდედას ოთახთან და შიგ შეიხედა. დიდედამ ისევ ხერხივა ამოუშვა, თვალები დახუჭული ჰქონდა. მადსი ფეხაკრეფით დაბრუნდა თავის ადგილას.

მამა და დანარჩენი ბავშვები რომ შემოვიდნენ, მადსმა "ჩუ-ო", გააჩუქა ისინი და უთხრა:

- დიდედას სძინავს, სიზმარში უცნაურ რამეებს ლაპარაკობს. ჩუმად, არ გაავიძოთ!

დიდედას გაეღიმა და თვალები გაახილა: მოებზნდა თვალდახუჭული ყოფნა. მაგრამ კვლავ გაიტაცა მიებზე ოცნებამ. რატომღაც ასეთი აზრი მოუვიდა თავში: მამას რომ ზედმეტი მარვალი აქვს, იმას ჩაიცვამს. აბა მიეზმი კაბის ამარა ხომ არ წავალ, ძალიან უხერხულად ვიქნები, თანაც იქ ეციებაო. დიდედამ უცებ წარმოიდგინა, როგორ მისრიალებს თხილაპურებით მამის მარვალში გამოწყობილი. ველარ შეიკავა თავი და ხმამაღლა გაეცინა.

- აი, მარველიანი ქალბატონი! მადსმა ყველას ანიშნა, გაუშურა, და ისევ ფეხაკრეფით მიიპარა დიდედას ოთახთან. ამჯერად

დიდედას არ შეუმჩნევია არც მადსი, არც ის, რომ კვლავ ხმამაღლა ლაპარაკობდა. უბრალოდ, ოცნებას განაგრძობდა.

- ნეტა თუ ავალ მწვერვალზე? - ხმამაღლა თქვა დიდედამ, როცა თავისი თავი თხილაპურებით გასეირნებისას წარმოიდგინა.

"უცებ მოეჩვენა, რომ მის წინ მაღალი მთაა.

- არა, უმჯობესია დავბრუნდე. ქარბუქი არ ატყდეს. ჩქარა უნდა დავბრუნდე შინ... მაინც სად ვცხოვრობ მე? - უცებ იკითხა მან.

მადსს ძალიან შეეშინდა. დიდედა სულ მარტო, თვალგახელილი იჯდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა... და რაც მთავარია, აღარ ახსოვდა, სად ცხოვრობდა.

- დიდედა ავად გახდა! - თქვა მან, სამზარეულოში რომ დაბრუნდა.

- თავის თავს ელაპარაკება! - შეეშინდა მარტას.

- განა მარტო ელაპარაკება, სად ცხოვრობს, ისიც აღარ ახსოვს!

- მოდი, ისე მოვიქცეთ, ვითომ ვერაფერს ვამჩნევთ. ყველაფერზე დავთანხმდეთ, - უთხრა მამამ ბავშვებს. - მე მგონი, მალე გაუვლის.

ამის თქმა იყო და, დიდედამაც შემოიხედა სამზარეულოში.

- ყვეს მიირთმევთ? - იკითხა მან.

- ერთი ნუთით მომიტინეთ! - მამა გაიტაცა ქურისაკენ, გაზეთი ხელიდან გაუვარდა, სწრაფად დაანთო ცეცხლი და დადგა საყავე. ყოველივე ეს ელვის სისწრაფით მოხდა. დიდედამ თვალის დახამხამებაც კი ვერ მოახსრო. - გთხოვთ სუფრასთან, - მიიპატივა მან დიდედა, - ყავა ახლავე მზად იქნება. აი, შენ ფინჯანი, ლამბაქი, რძეც აქ არის. ნამცხვარს მიირთმევ?

დიდედამ თავი გვერდზე გადაიგდო და გაკვირვებით შეჰყურებდა მამას.

- შენ რა, ავად ხომ არა ხარ? - ჰკითხა მან.

მამა ყოველთვის კარგად ექცეოდა დიდედას, მაგრამ დღეს... არა,

ასე არასოდეს უფაციფუცია მის გარშემო.

- მე კი ვარ ჯანმრთელად, - უპასუხა მამამ, - მე მგონი, შენც უკეთ გახდები, ყავას რომ დალივ.

დიდედამ გაკვირვებისაგან პირი დაალო და მამას მიაჩერდა. უკეთ გახდებიო! განა ავად არის? დიდედა თავის ოთახში გაცუნცულდა და პატარა სარკე მოიმარჯვა. გაისინჯა ყელი, ყურადღებით დააცქერდა თვალებს, მაგრამ ავადმყოფობის ვერავითარი ნიშანწყალი ვერ იპოვა. მართალია, ცოტა შეშინებული კი გამოიყურებოდა, მაგრამ მამამ ხომ მართლა შეაშინა!

- სამზარეულოში წავალ, - გადწყვიტა დიდედამ, - ერთი შევხედო, ბავშვებსაც ხომ არ ვეჩვენები საექო.

ასეც იყო. როგორც კი დიდედა სამზარეულოში გამოჩნდა, მარტამ მიიჩინა და ხელი მოჰკიდა.

- მოდი, დიდედა, დაგსვამ, - უთხრა მან.

დიდედა გაოცებული შეჩერდა.

- თვითონ შევძლებ სკამამდე მისვლას! ეს რა თამაში წამოიწყეთ? - გაბრაზებით იკითხა მან.

- დაბრძანდი, დიდედა, აი შენი ყავა! - უთხრა მამამ და ფინჯანი ყავით აუწყო.

- გამდლობთ. შენ არ დალივ?

- რადგან ასე გინდა, დავლივ, - უპასუხა მამამ.

- მე მგონი, ეს შენ უნდა იცოდე, გინდა თუ არა ყავა! - გაბრაზდა დიდედა.

- არა, მამამ თქვა, ყველაფერი შეუსრულეთ, რასაც დიდედა მოისურვებსო, - აუხსნა მადსმა.

- აი, თურმე რა ყოფილა! კი მაგრამ, რატომ?

ბავშვები დუმდნენ. დიდედამ მამას შეხედა. მამა ნაზად უღიროდა.

- რა გაეწყობა! - თქვა დიდედა. - ეს ჩემთვის ხელსაყრელია. მამ, მისმინეთ: ალდგომას მინდა მთებში წასვლა, ოღონდ მარტო კი არა, მეცნებანი ერთად.

ესა თქვა, ყავიანი ფინჯანი აიღო და თავის ოთახში შევიდა, მაგრამ კარი მაგრად არ მიუხურავს: უნდოდა გაეგო, რას იტყოდნენ მამა და ბავშვები. ისინი კი ჩუმად ისხდნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ზემოდან დედა ჩამოვიდა; ბავშვებმა ჩურჩულით აუხსნეს ყველაფერი. მაგრამ დედას სულაც არ შეშინებია; ისე გადაიკისკისა, ცრემლიც კი წამოცვივდა: რა არის ეს დიდედა - ყოველთვის რალაცას გამოიგონებს ხოლმე. მართალი თუ გინდათ, დედასაც სურდა ერთხელ მაინც გამგზავრებულიყო მთებში ალდგომას, მაგრამ ამაზე ლაპარაკის დაწყებასაც ვერ ბედავდა.

- მორჩები თუ არა სიცილს! - გაჯავრდა მამა. - რა არის სასაცილო, თუ დიდედა ავადაა, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ გამოჯანსაღდეს. მაგრამ ასეთი უგუნური ოცნების ასრულებას, არ ვიცი, როგორ შევძლებთ.

- რასაკვირველია, - ამოიხრა იმედგაცრუებულმა დედა.

მამამ გაოცებით შეხედა დედას. ნეტავი დიდედას ავადმყოფობა ხომ არ გადაელო? ამახაც ხომ არ სურს ალდგომას მთებში გასეირნებაო?

მამამ ბავშვებს გადახედა. იმათაც რალაც საეჭო სახეები ჰქონდათ. მამას უცებ მოეჩვენა, რომ ბავშვებსაც მოუწოდებდა მთებში წასვლა. ქურთუქს დაავლო ხელი და ეზომი გაეწვინა, ცოტა ხანს მარტო უნდოდა დარჩენა. სერიოზულ საქმეზე მამას განმარტობით უყვარდა ფიქრი.

უვლიდა არყის ხეს გარშემო და

ბაბრქილაბა მი-12 ბაქარქა



თან ფიქრობდა. რაღაცას ნაიბუტ-ბუტებდა და მერე ისევ ფიქრობდა. იმდენ ხანს იფიქრა, რომ ამასობაში უფროსი ბავშვებიც წავიდნენ და-საძინებლად.

მარენმა საწოლში თქვა: - წარმოგიდგენია, მარტა, რა იქნება, მართლა რომ... - მეც სულ ამაზე ვფიქრობ, - ამოიოხრა მარტამ. - ჩვენ ხომ არასოდეს ვყოფილვართ მთებში, - განაგრძობდა მარენი, - არც კი ვიცით, როგორია მთები. - მე მგონი, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მთებია, - ჩურჩულით თქვა მარტამ. - არა მჯერა, რომ დიდდა ავა-დაა, - თქვა მარტამ. - მართალს ამბობ, სრულიად ჯანმრთელია, - დაეთანხმა მარტა. ცოტა ხნის შემდეგ მარენმა თქვა: - ტყუილად ნუ ვფიქრობთ მთებზე! - იქნებ ტყუილად ვფიქრობთ, მაგრამ მაინც არ შემოძლია, არ ვი-ფიქრო, - უპასუხა მარტამ.

სამოვრის მილს საძილე ტომარას უკერავენ

უკვე რამდენიმე საღამოა, მამა არყის ხის გარშემო დადის და რა-ღაცაზე ფიქრობს. ადვილი საქმე როდია მოისახრო, სად შეიძლება თერთმეტი კაცის დაბინავება მთებში! სასტუმროში რომ იცხოვრონ, ძვირია. ეს მამამ კარგად იცის. ძალიან ბევრი ფული უნდა გქონდეს, რომ სასტუმროში იქი-რაყო ნომერი სამი დიდი ადამიანის, რვა ბავშვისა და ერთი სამოვრის მილისათვის! სხვა რაღაც უნ-და მოიფიქროს. მთებში სახლის დაქირავება უკვე გვიან იყო. სადა-ცაა, საადგილომ არ დადებები და-ინწყებოდა.

თავდაპირველად დიდდას ეგონა, ყველანი დამცინიანო, მაგ-რამ მალე დარწმუნდა, რომ ეს ასე არ იყო. ერთხელ ბავშვები მის ოთახში შევიდნენ და სთხოვეს, მთებზე რაიმე გვიამბეო.

- მე ხომ მარტო ზაფხულობით მინახავს მთები, - უთხრა მათ დი-დედამ.

- ჰოდა, გვიამბე. როგორია მთები? - ჰკითხა მილიმ.

- მამ, ყური მიგდეთ, - თქვა დი-დედამ. - მთები უზარმაზარი კლდეები, ხეობები, მაღალი მწვერვალები და ისევ ხეობებია. მთები ერთმანეთს ებჯინებიან; ზოგი დიდა, ზოგი მომცრო. შეიძ-ლება დიდხანს იარო, იარო და მა-ინც ვერაფერი დაინახო მთის მწვერვალების, მთის ხეობებისა და ცის გარდა. მარტო იქ შეიგრძ-ნობს კაცი ნამდვილ მთის ჰერს.

ოთახში დედა შემოვიდა. პატა-რობისას დედაც დიდდასთან ერ-თად ცხოვრობდა მთებში. მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო! ახლა დედას დიდდაზე ნაკლებად როდი უნდოდა მთების ნახვა.

სამუშაოდან დაბრუნებულ მა-მას ყველანი დიდდას ოთახში დახვდნენ. მამა მაშინვე მიხვდა, რაზეც საუბრობდნენ და სასოწარ-კვეთილებაში ჩავარდა. დღესაც ხომ მთელ დღეს იფიქრა, იფიქრა და მაინც ვერაფერი მოიფიქრა. სა-დილობისას სულ ჩუმად იჯდა და თავი მაღლა არ აუწევია.

- მგონი, ვიცი, რაც უნდა ვქნათ, - ნაიბუტბუტად დიდამ ნა-სადილეც, თავის ოთახში გავიდა და კარი გადაარაზა.

მაგიდას მიუჯდა და, აი, რა მისწერა თავის ყოფილ მეპატრო-ნეს, რომელსაც მრავალი წელი ედგა მეფურედ.



"მინდა გითხროთ, ამ ადგილას თქვენს ყველის ქარხანას ხომ არ მოგვაქირავებდით. იგი გვჭირდებ-და მე, კიდევ ორ მოზრდილ ადამი-ანს და რვა ბავშვს - ჩემს შვილიშ-ვილებს. მათ არასოდეს უნახავთ მთები. მე კარგად ვცხოვრობ და ამასვე ვისურვებ თქვენც".

მორე დღეს ბავშვებს სთხოვა, სკოლაში რომ წახვალთ, გზად ნე-რილი გაგზავნეთო, მაგრამ ამაზე მამას და დედას არაფერი უთხრა-თო.

გავიდა რამდენიმე დღე. დიდე-და მოულოდნელად ელოდა ფოს-ტას.

- პასუხს, ალბათ, ვერ მივიღებ, - ამოიხვნეშა ერთხელ დიდდამ, მაგრამ სწორედ იმ დღეს მიიღო წერილი.

დიდდამ ხელი დასტაცა ნე-რილის და თავის ოთახში გაავარდა. მერე ისევ სამზარეულოში დაბ-რუნდა. ისე იცინოდა, ცხვირზე სათვალე უხტოდა.

- რამ გაგამხიარულა? - ჰკითხა დედამ.

- ახლა ვიცი, სადაც ვიცხოვ-რებთ მთებში არდადეგების დროს, - სიხარულით უთხრა დიდდამ. - მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ: ეს უჩვეულო სახლი იქნება.

- სასტუმრო? - ჰკითხა მარენმა.

- არა, ამდენი ფული სადა გვაქვს, - გაუღიმა დიდდამ.

- მთის პატარა სახლი? - ჰკითხა დედამ.

- როგორ გითხრა, მთლად სახ-ლი როდია.

- შენს ძველ ყველის ქარხანაში ხომ არა? - ნაშოიძაბა დედამ.

- ჰო, დაახლოებით, - საიდუმ-ლოდ უპასუხა დიდდამ, - მაგრამ ყველის ქარხანა უკვე დაკავებუ-ლია. იქ ჩემი ყოფილი მეპატრონე-ები და მათი სტუმრები იცხოვრე-ბენ. მე კი საზაფხულო ბოსელი შე-მოითავაზეს. ძროხები შიგ უკვე დიდი ხანია არა ჰყავთ. იგი დაუ-ბუნებიათ, დაუგიათ იატაკი და ლემელი დაუდგამთ, ლემელზე კი საჭმლის მომზადება შეიძლება.

რას იტყვი, მოგონი?

- ბოსელი ვიცხოვრებთ? - გა-უხარდა მილის. - ძროხობანა ვი-თამაშობთ, დიდდა კი ჩვენი მეფუ-რე იქნება.

- მთებში წავალი, ბოსელში ვიცხოვრებთ! - აღიინდა მინა.

- მუ-უ! - რაც შეიძლება ბოხი ხმით დაიღმეულა მორტენმა.

- კი მაგრამ, სად დავიძინებთ ხოლმე? - შეწუხდა დედა. - ბოსელ-ში ხომ მხოლოდ ბაგები.

- არც კი ვიცი, ალბათ, ბაგებში, - თქვა დიდდამ. - ისინი მწერენ, უკვე ორი წელია ბოსლით არ ესარგებლობთ. ახლა ზაფხულში აღარ მიერეკებიან ძროხებს მთე-ში, მაგრამ, მე მგონი, ცოტა თივა მაინც ექნებათ.

დედამ ჯერ ბავშვებს შეხედა, მერე დიდდას, და, ბოლოს, მამას.

- მუ-უ-უ! - მრისხანედ დაიღ-მეულა მამამ.

- სწორედ ჩვენი ხარით დღე-იხარ, - გაეცინა დიდდას. მამამ თავი ვეღარ შეიკავა. ისე ახარხარ-

და, კინალამ დიდდა წააქცია.

- აი, მესმის, დიდდაც ასეთი უნდა! - ხარხარებდა იგი, - ყური მიგდეთ, ბავშვებო, თუ დიდდათ-ქვენს შეუძლია ბაგებში დაძინება, ნუთუ მე და თქვენ ვერ შევძლებთ?

- მე შემოძლია, - მტკიცედ თქვა მონამ.

- მეც, - მხარი აუბა მამამ. - ჩვენ გვაქვს საბარგო მანქანა, თან ნაწილები საბნებს და არც ერთიც არ გაიყინებთ.

მამამ რაღაც გადაუჩურჩულა დედას, მან თავი დაუქნია.

დედამ საღამოს ბავშვებს უთხ-რა, თქვენ-თქვენი საბნები მოიტა-ნეთო და მაგიდაზე ძველი საკერა-ვი მანქანა დადგა. თვალის დახამ-ხამებაში ყველა საბანი დიდ ტომ-რებად გადაიქცა.

- ეს რად გვინდა? - იკითხა მო-ნამ.

- ამ ტომრებში დავიძინებთ, - უპასუხა დედამ. - ყური მიგდე, მა-მილო, მგონი, ახალი ბრეზენტის

ყიდვას აპირებდი ძარისათვის!

- კი ვაპირებდი, მაგრამ, თუ მთებში წავდილი, ახალი ბრეზენ-ტისათვის ფული აღარ გვეყოფა.

- ნუ წუხვდები: იმაზე მეტი ფუ-ლი არ დაგვეხარჯება, რასაც მინ ვხარჯავთ, - დამამეიდა დედამ. - სულ ერთია, ჭამა ყველგან გვინდა, სადაც უნდა ვიყოთ. საბარგო მან-ქანით მგზავრობა ძვირი არ დაგ-ვიჯდება, ბოსელს კი, როგორც დიდდა ამბობს, უფასოდ გვაძლე-ვენ. იყიდე ახალი ბრეზენტები, ძვე-ლი კი მე მომეცი.

დედამ დაჭრა ძველი ბრეზენტი და საბნებს ნაპირებზე შემოაკერა. ახლა კი ნამდვილი საძილე ტომრე-ბი გამოვიდა. მერე დედამ რაღაც ნაჭრებისაგან კიდევ ერთი ვიწრო და გრძელი ტომარა შეკერა. ეს უკ-ვე სამოვრის მილის საძილე ტომა-რა იყო. სამოვრის მილი ისეთი ცნობისმოყვარე იყო, რომ მაშინვე ჩაქვრა. ტომარა სწორედ ზედგა-მოჭრილი იყო მისთვის.



მ. ბაქრაძის ილუსტრაცია

ქ. თელიანის გამგობის თავმჯდომარეს, პატივცემულ გიორგი ბიძიას!

მოგახსენებთ, რომ მე და ჩემი ორი პატარა ძმა ვცხოვრობთ ქ. თელიანში, სახანძროსთან. ჩვენთან ცხოვრობენ აგრეთვე მამაჩემი და ბებიის. სანამ ჩემს სათხოვარს გაგაცნობდით, მინდა მოგიყვებო ჩემი ძმების ამბავი. მე ოჯახში ბაიყუს მძინარე, მაგრამ, სამაგიეროდ, უმცროსები ისეთი გიჟი-გადარეულები არიან, ადგილზე ვერ ისვენებენ. საითაც შუათანა გაუტყვეს, ნაბოლარაც, მეცამეტე გოჭივით, იქ მიებეტება. გაიხედავ, - მაგიდაზე ამძვრალან, გამოიხედავ, - უკვე ფანჯარაში გადადიან. მოკლედ, მათი ეზოში მარტო გაშვება არაფრით არ შეიძლება. მე, მაგალითად, შუადღისას რომ დამსვენდნენ ქვიშასთან, დაბინდებამდე ვბუნებოდი ერთ ადგილზე: გავაკეთებდი გვირგვინს და მერე ჩამოვანგრევდი, გავაკეთებდი და ისევ ჩამოვანგრევდი. ქვიშა ახლაც გამოუღვევლად ყრია ჩვენს ეზოში, მაგრამ ჩემს ძამიკოებს გვირგვინის გაყვანა ნაკლებად აინტერესებთ. ვერც გავამტყუნებ, კაცია და გუნება - ჩვენი ეზოს გადაღმა რა ხდება, იმის გაგება უფრო უნდა და მეც სხვა რა გზა მაქვს: დავანებებ თავს ჩემს საქმეებს, ჩავკიდებ მაგრად ხელს ორთავეს და დავხეტიალობთ ქალაქის ქუჩებში. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, ხანდახან უცნაური აჩემება რომ არ იცოდნენ:

- უჩა, დიდი ხიდიდან გადავიხედოთ მდინარეში, ხო?
- შეტყვეს ნაბოლარა, როგორც კი ეზოდან გადავალთ.
- არა, ჯერ გედებს ვნახავთ და მერე მდინარეზე... - იმწამსვე გასცემს ჩემს მაგივრად პასუხს შუათანა.
- არაფერიც! ჯერ მდინარეზე, ხო, უჩა?
ყველანაირი პასუხი ვცადავ უკვე, მაგრამ ერთხელ არ მახსოვს, ორივენი კმაყოფილი დამრჩენოდნენ. რომ დაიწინებენ თავისას და გასცხებენ ხელსა და ფეხს, ჩვენს ყურებას არ სჯობია არაფერი.
თქვენც კარგად მოგესხენებათ, თეატრის გვერდით რომ პატარა გუბურაა შემოღობილი და შიგ ორი თეთრი გედი დაცურავს. იქ მისასვლელად საჭიროა სახანძროსთან მარცხნივ ჩავუხვიოთ და ნინიბურას აღმართზე ავიდეთ, ხოლო თუ მდინარესთან გვიწინა ჩასვლა, მაშინ სულ სხვა მხარეს, თქვენი გამგობისაკენ უნდა წამოვიდეთ. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ერთი ძმა ზემოთ მექაჩება

ვალერი ჭინჭარაძე

ნერილი



გიორგი ბიძიას ნახატი

და მეორე - ქვემოთ. კი ვიცი, სწორად რომ არ ვიქცევი, მაგრამ როცა გამახსენდება, რამდენი გაკეთილი დამრჩა მოსამზადებელი, გაბრაზებული გულზე ერთი-ორს ნავუთაქებ კიდევ ზოგჯერ ორთავეს, მაგრამ ეს მთლად უარესი - ათჯერ მაღალ ხმაზე იწყებენ ბღავილს.
მე კიდევ რა მიჭირს, ბეზიჩემს სულ შავ დღეს აყრია: არაქათგამოცლილი რომ დაბრუნდება ასეთი გასიერნიბიდან, ბევრი სიარულისგან ფეხები უსივდება და მთელი ღამე კვნესის. ამას ნინათ ერთი ხერხი მოიგონა ბეზიჩემმა, ქუჩებში ხეტიალი რომ თავიდან აეცილებინა: პირველ ნომერ ავტობუსში აუყვანია ჩემი ძმები, ნინა სკამზე დაუსვამს ორივენი, იქნებ ფანჯარაში ყურებით გაერთონო. ამ უკუღმარებელ ფანჯარაში ყურება, მართალია, არ უსურვებიათ, მაგრამ მოლხენით მშვენივრად მოუღებიათ: ერთმანეთის ჯიბრზე უკითხავთ და უკითხავთ, რაც ლექსები იცოდნენ, მერე კი ხმის ჩახლჩამდე უმღერიან, გადაურევიან მგზავრები. ბეზიჩემმა თქვა: არაფრით აღარ შეიძლება ავტობუსიდან ჩამოსვლა, სამჯერ გავედით და გამოვედით ქალაქის თავიდან


ბოლოში, დავინვი სირცხვილისაგან, უამრავი ნაცნობი შემხვდა და ყველა ბილეთს მიღებდა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამათი ბალის მასწავლებელს შრომის გმირობას მივანიჭებდი უყოყმანოდ.
როცა ჩემი ძმები ბაღში არიან, კი ვართ მოსვენებული, მაგრამ შაბათ-კვირას, მთელი დღე რომ შინ სხედან, ოთახების დალაგებას ვერ აუღის ბეზიჩემი. შიში და ხათრი მარტო მამაჩემისა აქვთ ჩემს ძმებს, მაგრამ მამაჩემი, გათენებული არაა, სახლიდან მიდის და გვიან ღამით ბრუნდება, რადგან დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ორ სამსახურში მუშაობს შეთავსებით.
გიორგი ბიძია!
მე იმიტომ მოგიყვებო ჩვენი გაჭირვების ამბავი, რომ სათხოვარი მაქვს თქვენთან.
ამას ნინათ ტელევიზიით აჩვენეს, თუ როგორ ათვალეირებენ ამერიკელი ბავშვები "დისნი ლენდს". ძალიან კარგი იქნება, თუ თელიანშიც გააშენებთ ასეთ დასასვენებელ პარკს. მაშინ ჩემს ძამიკოებს ისე მოეწონებათ იქ ყოფნა, რომ სხვაგან წაყვანას აღარ მოგვთხოვენ მე და ბეზიჩემს.

თქმულბა ანდაზითურთ

ბ ა ტ ი

ბატი წყალში დაცურავდა და თავის თავს ელაპარაკებოდა: "მე სწორედ საკვირველი ფრინველი ვარო, - მინახედაც დავდივარ, პაერშიც ვფრინავ და წყალშიც დავცურავო". გაიგონა წერო და უთხრა: "მე სანყალო, არც სიარული გივარგა, არც ფრენა იცი ხეირიანი და არც ცურვაო. ისევ ისა სჯობდა, ერთი რამე გცოდნოდა კარგად, მინამ ბევრი რამე ცუდადო".

ანდაზა: უჭაუო აღამიანს ცოტა გაუჭირდებო.



ნახატი ლავროვის ნახატი

ეს ამბავი მოხდა სამასი წლის წინათ, მეთექვსმეტე საუკუნის დამლევი. ამ დროს საქართველო აღარ შეადგენდა ერთეულსა და ძლიერ სახელმწიფოს, როგორც იყო იგი თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის დროსა. წინააღმდეგ ამისა, იგი დაყოფილი იყო რვა ნაწილად: სამს სამეფოდ და ხუთ დამოუკიდებელ სამთავროდ. ყოველს ნაწილს თავისი მემკვიდრეობითი მბრძანებელი ჰყავდა და განცალკევებული ცხოვრობდა. სამწუხაროდ, ამ მბრძანებლებს ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში შინაური ომი და იმის გამო ძლიერ უძღურდებოდა ჩვენი ქვეყანა, გარეშე მტრების სათელავად ხდებოდა.

ქართლის მეფე სვიმონმა მოინადინა შეერთება მთელი საქართველოსა, გაილაშქრა დასავლეთისაკენ, გადალახა სურამის მთა და დაიპყრო ჯერ რაჭა, მერე - იმერეთი. იმერეთის მეფე როსტომი გაიქცა თავისი ჯარით თავის სიმამრთან, სამეგრელოს მთავარ დადიანთან და სთხოვა შემწეობა. სვიმონიც ჯარით უკან დაედევნა როსტომსა. ქართლის ძლევამოსილ ჯარს თანა ჰქონდა ვეებერთელა ზარბაზნები და საომრად მშვენივლი იყო აღჭურვილი. მთავარ დადიანს იმედი არა ჰქონდა გამარჯვებისა და ამიტომ მოინადინა ზავი ჩამოეგდო. მან გამოუგზავნა მეფეს მოციქული და შემოუთვალა: "დიდებულო მეფე, გათხოვ, პატივი დაბლო და შერიგო სიძე ჩემი როსტომი და მისცე მას სარჩო მამული და იყოს იგი დამორჩეული და მორჩილი ბრძანებისა თქვენისა, და მეც ვიქნები დამორჩილებული, როგორც ერთი თავადი შენი ერთგული და მონა, მორჩილი ბრძანებისა თქვენისა, და ესე ერთობით დაიმკვიდრო საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმა.

მეფე სვიმონ იყო მეტად გამბედავი და უშიშარი მეომარი; თავს არასდროს არ ზოგავდა ქვეყნისათვის, უყვარდა ხალხი და ფიზიკურად ზრუნავდა მის კეთილდღეობაზე, მაგრამ ხუსტური სჭირდა და ხანდახან იმისთანა რასებზე ჩაუდგებოდა.

ნაყოფი ბრძანებითი

ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად

(ისტორიული ამბავი)

და, რაც არ შეეფერებოდა მის ჭკუასა და ხასიათსა. სამწუხაროდ, ამ დროსაც მეფეს ეს ხუსტური დამარტყმა და განალხულები საქმე უკუღმა დატრიალდა. იგი დადაინის თხოვნას სიამაყით მოეპყრა, არავის რჩევა არ გაიგონა, გაჯიუტდა, უარი შეუთვალა და მოითხოვა სრული დამორჩილება უპირობოდ. ეს უარი იწყინეს და უმართებულოდ ჩათვალეს არა მარტო მეგრელებმა და იმერელებმა, არამედ ქართველებმაცა. პირველი გაცეცხლდნენ და სიმამრის ციტი აიგნენ, მეორენი შეძრწუნდნენ და ომის უნარი თითქოს დაჰკარგეს.

დადიანმა მარჯვედ ისარგებლა ამ გარემოებით. იგი თავისი ჯარით სვიმონ მეფეს მოულოდნელად თავს დაესხა სისხამ დილაზე, ბინდისას, და ისიც როგორ ადგილას? ჭაობიანში, სადაც ცხენოსანი ჯარის და ზარბაზნების მოხარება უხერხული იყო. ამასთან ქართლებს არც გული ერჩო დათ ომისათვის, რომელიც საჭიროდ აღარ მიაჩნდათ მას უკან, რაც დადიანმა მორჩილება შემოუთვალა სვიმონ მეფესა. ამისთანა გარემოებაში მყოფს ჯარს დამარცხება ვერ ასცდებოდა და ქართლებიც დამარცხდნენ. დამარცხდნენ იმდენად, რომ ყველა მათი ზარბაზნები მეგრელებს ჩაუვარდათ ხელში.

როგორც მეტად გამოცდილი მეომარმა, სვიმონ მეფემ, ადრინადვე შეიტყო, რომ ომს წააგებდა და, რათა ტყვედ არ ჩაეყვანებოდა ხელში მოინააღმდეგეთ, უცებ პირი უკან ჰქმნა და თავისი ბედით მარტოდმარტო გამოსწია ჩუმად აღმოსავლეთისაკენ. მოდიო-

და საოცარის სისწრაფითა. გამოიარა ჯერ სამეგრელო, მერემ - ქვემო იმერეთი, ამოვიდა ზემო იმერეთში, გადმოლახა სურამის მთა, გამოიარა ზემო ქართლი და, როცა მოუახლოვდა თბილისს, ღამემ უსწრო სოფელს კავთისხევში. თანაც საშინელს დაღლილობასა გრძნობდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა აქ სადმე დაესვენა. კავთისხევეში სცხოვრობდნენ თავადებიც, აზნაურებიც და გლეხებიც. პირველად აქ სადმე დაესვენა. კავთისხევეში სცხოვრობდნენ თავადებიც, აზნაურებიც და გლეხებიც. პირველად აქ სადმე დაესვენა. კავთისხევეში სცხოვრობდნენ თავადებიც, აზნაურებიც და გლეხებიც.

სახლის პატრონები უკვე შელაგებულნი იყვნენ შიგნით, - ოჯახში იმყოფილი, ერთი გარეთ გამოიხედეს - შესძახა სტუმარმა. იმავე წამს ქოხის კარები გააღო ხნიერმა დაიასახლისმა და ანთებული კვართი ხელში გარეთ გამოვიდა, მას თან გამოჰყვა პატარა ცქციტი ბიჭი.

ამათ მეფე ვერ იცნეს, რადგანაც არსად არ ენახათ. ვინა ბრძანდებოდათ? - შეეკითხა დაიასახლისი. - მე ვარ ქართველი კეთილმოზობილი, დასავლეთიდან მოვიდვარ, დავილაღე, დამიღამდა და ცოტა ხნოვით მისტუმრეთი. - მობრძანდით, თქვენი ჭირიმი! - ტყობილად უთხრა დაიასახლისმა; მართალია, თქვენი საკარისი არა ვგაზაბდა რა, მაგრამ არას-კი დავიჭურვებთ, რაც ღმერთის მოუცია. სტუმარი გადმოხტა ცხენიდან, რომელიც დედის ბრძანებით, პატარა ბიჭმა ჩამოართვა, და იქვე ტარება დააწყებინა, რადგანაც ბედური ოფლში ცურავდა. დაიასახლისი კვართი შეუძღვა უცნაურს სტუმარს დაბალ ქოხში. სტუმარი თავდალუნული შეჰყვებოდა შიგნით და ქართველურად წარმოსთქვა: აქა ღვთის წყალობა!

- ღმერთმა ნურც თქვენ მოგაკლოთ თავისი უხვი წყალობა! - სამაგიეროდ უთხრა დაიასახლისმა. - დაბრძანდით, თქვენი ჭირიმი! - თავაზიანად მიმართა დედაცაცმა. სტუმარი დაჯდა დაბალ ტახტზე, რომელიც დაფენილი იყო სუფთა ქილოებით. დაიასახლისმა მამინათვე ხელი დაიბანა და მიართვა: ყველი, პური, მწვანილი და ერთი ხელადა ღვინო. სტუმარს ძლიერ მოეწონდა და ისე გულიანად შეექცა ამ ღარიბს ვახშამსა, რომ არც ერთს მდიდარს ვახშამს მისთვის ამოღენა სიამოვნება არ გამოუტარებია. ამ დროს ქოხში შემოვიდა პატარა ბიჭი და სტუმარს მოახსენა: - ცხენის ფიქრი ნუ გაქვთ, მე ის ვერ კარგად ვატარე და ახლა ქერი მივეცი საქმელად. - გაგზარდა ღმერთმა და შენი სიკეთეც გადამახდევინოსო, - უთხრა სტუმარმა.

დაიასახლისმა ჰკითხა: დასავლეთიდან მობრძანდები, იქნება ლაშქრობის ამბავი მოგესხენებოდათ, მიბრძანე, შენი ჭირიმი, რა იქნა ჩვენი ძვირფასი მეფე, ხომ ცოცხალი ბრძანდება, ომიდან ხომ მშვიდობით გამოვიდაო, და სხვაინი. სტუმარმა უპასუხა: სამწუხაროდ, მე მეფისა სრულიად არაფერი ვიციო. - შემდეგ ჰკითხა ამბავი თავისი ქმრისა და ვაჟისა და იმათი ნიშნებიც დაუსახელა. სტუმარმა ახლაც იგივე უპასუხა: - არც ის ვიცი, თუ რა შეემთხვა მეფის ლაშქარსაო.

დაიასახლისი მეტად მწუხარე შეიქმნა, ამოუჯდა გული და მდუღარე ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან. სტიროდა უფრო მეფეზე, ქვეყნის პატრონზე, ვიდრე თავის ქმარ-შვილზე და იტყუა: "ნეტავი უფალმა წყალობა მოი-

ლოს ჩვენი მეფეზე, გვაღიროსო მისი მშვიდობით მოსვლა და სხვანი ყველანი სპანი მისნი ჭირისა მისისა სანაცვლო იყოსო".

ასეთი გულწრფელი და გულბრყვილი სიყვარული მეფისადმი სტუმრის ნაღვლიან გულს სწორედ მალამოდ დაედო და მოეფინა მასში იდუმალი სიხარული.

სტუმარი ნასასველელად ადგა. დაიასახლისმა ბევრი სთხოვა: ამაღამ ჩვენთან მოსვენეთ და ხვალ წაბრძანდით; მაგრამ უცნაურმა სტუმარმა უპასუხა: თბილისში ძლიერ საქარო საქმე მაქვს, ხვალ დილით უთუოდ იქ უნდა გაეწინდე და ერთს საათსაც ვეღარ დავიგვიანებ აქაო. გამოუსალმა, მადლობა გადაუხადა, შეჯდა თავის ბედაურზე და სწრაფად გასწია ქვევით, აღმოსავლეთისაკენ.

დაიასახლისს ეგონა, უბრალო აზნაურიშვილს გაუმეპასპინძლოდო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მოტყუებული იყო და ისეთიანად, რომ ღმერთმა ყველას არც უწუნოს წილად ამისთანა მოტყუება.

გიათარ ცოტა ხანმა და ამ ქოხის პატრონები - მამა-შვილი - მალე დაბრუნდნენ მშვიდობით და უცნებლად ლაქროდნენ თავის საყვარელ ქოხში. დაიასახლისმა დანერვილებით უამბო იმ უცნაური სტუმრის წვევა და დაუსახელა ყველა მისი ნიშანი, რამაც ძლიერ გააოცა ახალმოსულნი მეომარნი. გააოცა იმის გამო, რომ ნიშნები მეფისა იყო, მაგრამ ფიქრობდნენ, მეფეს რა მოეყენდა ამ ჩვენს დატაკს ქოხშიო. ერთ დიდ გამოცანად გადაეცქათ ეს ამბავი, მაგრამ მალე სანეტაროდ აიხსნა ეს გამოცანა.

მშვენიერი კვირა დღე იდგა. კავთისხევის მცხოვრებნი სულ გარეთ იყვნენ და მზის სხივებიდან ტყუბებოდნენ ზოგი ბანზე და ზოგიც კარმიდამოზე. უცებ აღმოსავლეთიდან შარავნი შემოვიდა სოფელში შრიანი და ღამაზე ეტლი, დატვირთული სხვადასხვა ძვირფასი ნივთებით, ეტლს წინ მოჰქოდა კარგად ჩაცმული ცხენოსანი.

- სადა დაგას გლეხი ქელივიძე? - ჰკითხა ცხენოსანმა წინ დახედვლად ხალხსა. აი აგერ იმ ქოხშია! - ანიშნეს გლეხებმა. ცხენოსანი და ეტლი მალე გაჩნდნენ ქოხის წინა და თავს წაადგნენ მთელ სახლობას, რომელიც გარეთ ისხდა. თქვენ ხარო ქელივიძინი? - ჰკითხა ცხენოსანმა. ყველანი ზეზე ნამომალნენ და უფროსმა მოახსენა: ჩვენ ვახლავართ, შენი ჭირიმი! ყველა შეკრთა და შემინდა, და არც ვასაკვირველია, რადგანაც გლეხის ცხოვრებაში არაწველებრივ მოვლენას თითქმის ყოველთვის მწუხარება მოჰქონდა და მოაქვს.

ცხენოსანმა ხმამალა წარმოსთქვა: - ჩვენმა მოწყალე მეფემ სვიმონმა მადლობა შემოგიტვალათ კარგი ქართველური მასპინძლობისათვის და სამაგიეროდ გამოგიგზავნათ საუკეთესო საფენი, ავეჯულობა, ტანისამოსი, ჭურჭელი, იარაღი და სხვა. გარდა ამისა, გიბოძათ წყალობის წერილი, ანუ სიგელი; ამ სიგელით თქვენ გენიჭებათ აზნაურობის ხარისხი, გეძლევათ მამულ-დედული და ყმები დასახლებული ამ მამულზე. და გადასცა სიგელი ოჯახის უფროსს.

საწყალი გლეხის სახლობა სულ დაიბნა მეტისმეტი სიხარულისაგან და არ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა.

ამ გაბედნიერებული გლეხის ჩამომავალი ახლაც ცხოვრობენ სოფელ კავთისხევში და იწოდებიან აზნაურ ქელივიძეებად.



მელიას ეზმაკობა

ქართული ხალხური ზღაპარი

მელიამ ნაფეტვარზე გაიარა, ნახა, ბევრი თავთავი ეყარა ტყუილად. იფიქრა: "ამ თავთავებით ბევრ ზიანს ვიზამო". დაჯდა და დაიწყო აკრიფა ერთი კონა, ამოიღლია და გაუდგა გზას. გზაზე დაულამდა. მივიდა ერთ სახლთან და დაიძახა:

- ოჯახიშვილებო, ღამეს ხომ არ გამათევინებთო?
- გაგათევინებთო, - უპასუხეს შიგნიდან.

მელია შევიდა. თავთავების კონა მასპინძელს მიაბარა და უთხრა, საქათმეში შეიტანეთო. შეიტანეს მელიას თავთავები საქათმეში და ისეთ ადგილას დადეს, ქათმებს არ გამოეკენკათ. შუალამისას, ყველამ რომ დაიძინა, მელია ადგა, აიღო თავთავები და დიდ, წითელ მამალს დაულოცვირწინა.

მეორე დღეს მასპინძელს მინაბარები მოსთხოვა. შევიდა მასპინძელი საქათმეში და გამოკენკილი თავთავები გამოიტანა. მელიამ ტირილი დაიწყო: მაგის მეტი არაფერი მეზადა და ეგეც თქვენმა მამალმა შემეჩამაო.

მასპინძელმა ჰკითხა:

- რა გიყო ახლა, მელიავ, რაღა ეშველება შენ თავთავებსო?
- ან ჩემი თავთავები უნდა მომცეთ, ან ის მამალიო.

რას იზამდა მასპინძელი? აიღო და მისცა მამალი. ამოიღლია მელიამ მამალი და გასწია თავის გზაზე.

ბევრი იარა თუ ცოტა, ისევე დაულამდა. ღამის გასათევად ერთ მეცხვარესთან დადგა. მიაბარა მამალი იმ მეცხვარეს და უთხრა: მაგ მამალს არაფერი დაუშავდეს, თორემ

ცხვარს წაგართმევო. კარგო, უთხრა მეცხვარემ.

ღამე ადგა მელია, შევიდა ფარეხში, აიყვანა მამალი და ერთ ერკემალს რქებზე ჩამოაცვა.

მეორე დღეს კი მეცხვარეს მოსთხოვა:

- ჩემი მამალი მომეცი, უნდა ნავიდეო.

შევიდნენ ფარეხში, ნახეს, მამალი ერკემალს ჰყავს ჩამოცმული რქებზე. მელიამ ისევ ტირილი დაიწყო:

- ეგ ერთი მამალი მყავდა, დილით ეგ მალვიძებდა, ახლა რაღა მეშველებათო.

რალას იზამდა მეცხვარე, მისცა ერკემალი და გაისტუმრა.

გახარებულმა მელიამ გასწია თავის გზაზე. მიდის და მიიმღერის:

ფეტვი გავციდე მამალადა,

მამალი ერკემალადა! დაულამდა მელიას. დადგა ერთ გლეხთან, ერკემალი მიაბარა და უთხრა:

- ემანდ, ეგ ერკემალი ხარებს არ მოაკვლევინოთ, თორემ ხარს წაგართმევთო.

შეიყვანეს ერკემალი გომურში და დააბეს ხარებთან ცალკე. ღამე ადგა მელია და ერკემალი ერთ დიდ ხარს ჩამოაცვა რქებზე. მეორე დღეს კი წაართვა ის ხარი მასპინძელს, გაიგდო წინ და ნავიდა გახარებულს.

გზაზე დაულამდა, მაგრამ სახლში არავინ შეუშვა. ბოლოს ერთ ქვრივთან შევიდა და სთხოვა:

- ხარი მყავს, მეშინია მგელმა არ შემეჩამოს, ბოსელში დამაბმევიანეთ, მე კი კართან დავწევები და ვუყარაულებო.

ღამე ადგა მელია, გამოსწრა ხარს ყელი და დანა ბებრის უმცროს ქალს ჩაულო ჯიბეში. მეორე დღეს მოითხოვა ხარი, უნდა ნავიდეო. ნახეს, ხარი მკვდარია. შეწუხდა მასპინძელი. მელიამ უფრო უარესად შემოიყარა გულს. მერე შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი:

- ვინც ხარი დაკლა, ის უნდა ნავიყვანოო.

ყველამ უარი თქვა, ჩვენ არ დაგვიკლავსო.

- მამ, ვისაც სისხლიანი დანა ჰქონდეს, ის არის დამკვლელიო.

გაუსინჯეს ჯიბეები და სისხლიანი დანა უმცროს ქალს უნახეს.

მელიამ ქალი გუდაში ჩასვა, წამოიკიდა ზურგზე, მიდის და მიიმღერის:

ფეტვი გავციდე მამალადა, მამალი ერკემალადა, ერკემალაი ხარადა, ხარი - ლამაზ ქალადა.

გზაზე მხენელებს გადაეყარა. იმ მხენელ-მთესველებმა დაუძახეს:

- დაისვენე, მელიავ, პური ჭამეო!

დაისვენა მელიამ. მისცეს ერთი ცხრილი და უთხრეს:

- ნადი, შენს გახარებას, სანამ ჩვენ სამხარს მოვამზადებთ, წყალი ამოვიტანეო.

ნავიდა მელია. ავსებს წყლით, მაგრამ ცხრილი რას დაიჭერდა! სანამ მელია წყაროზე იყო, მხენელებმა მოხსნეს გუდას პირი, ამოიყვანეს ქალი და მის მაგივრად ერთი ძალი ჩაუსვეს, თან პური ჩაუდეს, რომ გაჩუმებულიყო და ისევ მოუკრეს პირი.

მელია მოვიდა მხენელებთან და ცხრილზე უთხრა:

- ეს რა გამატანეთო!
- უპო! - თავში შემოიკრეს ხელი მხენელებმა. - შეგვმლოო. დაჯექი, შენ პური ჭამე, წყალს ჩვენ ამოვიტანთო.

დაჯდა მელია და მოუღიხნა სუფრას. მერე უთხრა:

- ახლა კი ნავალ, გამიშვიეთო.

მხენელებმა დიდი პატივით გაისტუმრეს მელია.

მიდის მელია და მიიმღერის ისევ წინანდებურად. გაათავა ძალმა პური გუდაში და დაუნყო ფხაკუნნი ხმელ გუდას. მელიას ეგონა ქალია და უთხრა:

- რა არი, ქალო, რა განუხებს? თუ გწყურია, ამოვიყვანო.

ძალი მაინც აფხაკუნდა. მაშინ მელიამ გუდას პირი მოხსნა. ამოუვარდა ძალი, გაიგდო მელია და თვალის დახამხამებაში გააძრო ქურქი.

ელასა, მელასა, ძილი გაამოთ ყველასა.



გიორგი ბალაშვილი, ნახატი


კროსვორდი



შვეულად: 1. ცირკის ერთ-ერთი მსახიობი; 2. გრძელეული ქალი; 4. ქართული ეპოსის გმირი, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა; 6. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 7. "გამოცანის" ძმაკაცი; 9. ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ეზარება; 10. მინდვრის ყვავილი; 15. მუნჯური კინოს ერთ-ერთი თვალსაჩინო კომიკოსი; 16. თევზის ძვალი; 19. ქართული მხატვრული ფილმი; 21. ჩამონათვალი, რომელსაც მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისას კითხულობს; 23. გარეული ცხოველი; 24. გასანათებელი საშუალება; 25. მთის დახრილი ფერდობი; 28. მეტროს სადგური თბილისში; 33. რა იცის ხოლმე ჭექა-ქუხლის დროს?; 34. ცელქი, მოუსვენარი...

თარგზულად: 1. ტყის პატარა კაცუნა; 3. კახეთში გაერცელებული მცენარე; 5. სასწავლებელი; 8. ზღვის გამჭვირვალე ცხოველი; 11. ფრინველი, რომელიც მხოლოდ დადის და ყვინთავს; 12. სანერი საშუალება, რომლით დაწერილიც ადვილად წაიშლება; 13. დედამიწისილი; 14. ცხენის თმა; 16. ქალის "ჩაფიქრებული" სახელი; 17. რა გადმოგადო კატამ მაგიდიდან? 18. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 20. პირველი სამციფრიანი რიცხვი; 22. ბოსტნეული; 26. "პატიმარი" საინფორმაციო ღრუმი; 27. წლოვანება, ანუ...; 29. ქრისტიანობის შემომტანი საქართველოში; 30. საქართველოს კუთხე; 31. დედამიწის თანამგზავრი; 32. ყაიმი, ანუ ...; 35. ხახვის თავიანი იტალიური ზღაპრის გმირი; 36. ლაშქარი, სპა, ანუ ...

ეს ორი ფრინველი 10 ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვისაც თვალი უჭრის, უცაბ იპოვნის ათივე განსხვავებას!



საში მათევადან ერთ-ერთს ხელი მოეცა. როგორღა დაიჭირა თავისი მამიკრად კონსერვის ქილა?

